დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
ასავალ-დასავალი
2024 წლის
18 - 24 ნოემბერი
N 48 1566
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ან შაეთრიეთ, ან წაეთრიეთ!
2-3



თუ საქართველოს სახელმწიფო ჰქვია,

თუ საქართველოს სახელმწიფო ჰქვია,

4



# ნატერორისტი კირთაძე - ციხეში!





## თბილისის „დინამო“-მოსკოვის „ტორპედო“ 4:1
6-8

ტაშკენტი, 18 ნოემბერი, 1964 წელი



# მაწან-წალები
21

# როდის მოვიცილებთ ზურაბიშვილს?
10

# ან შაეთრიეთ,



## საქართველოსათვის უფრო ხელსაყრელი იქნება, კოლექტიური ნაციონალები კი არ შაეთრიონ, არამედ წაეთრიონ!

*სისხლიანი რეჟიმის გადმონაშთები, ქართული სახელმწიფოს მტრები და უცხო ძალების გავლენის აგენტები როგორ უნდა შეეცოდოს, მაგრამ მკერდში გულის მაგივრად რიყის ქვა თუ არ გიდევს, მის რომელიღაც კუნჭულში მაინც გაგიელვებს სიბრალულის გრძნობა იმ უიმედო მდგომარეობის გამო, რომელშიც ახლა კოლექტიური ნაცოპოზიცია იმყოფება.*

ჯერ იყო და, ნაცპროპაგანდით გაბრუებულ თავიანთ ამომრჩეველს აჯერებდნენ — **არჩევნებში ჩვენს გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება, ჩათვალეთ, უკვე ხელისუფლებაში ვართ და 26 ოქტომბერს ამას ოფიციალურად გავაფორმებთო!**

26 ოქტომბრის საღამოს გაყალბებული ეგზიტპოლების შედეგებზე აცქმუტდნენ და ვითომ გამარჯვება იზეიმეს... **არც ის უთქვამთ,** რომ არჩევნები გაყალბდა; **არც ის უხსენებიათ,** რომ ხმების ფარულობა დაირღვა; **არც იმაზე დაუწყიათ ლაპარაკი,** რომ ხმის მთვლელ ელექტრონულ აპარატებში რაღაც მაჯლაჯუნა იყო ჩამონტაჟებული, რომელიც ოპოზიციისათვის მიცემულ ხმებსაც „ქართულ ოცნებას" აკუთვნებდა... **არა, ამაზე კრინტიც არ დაუძრავთ,** მხოლოდ იდგნენ და ზეიმობდნენ — ხელისუფლებაში მოვედითო!

არჩევნების გაყალბებაზე, ხმების ფარულობის დარღვევაზე, მელნის გაყონვაზე, საარჩევნო კომისიის წევრის მიერ ამომრჩევლის გადაკოცნაზე და ბეჭდებასხმულ მილიონერ ქალბატონზე, რომელიც ამომრჩევლებს ღიმილით ატერორებდა, კოლექტიური ნაცები მხოლოდ მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების ოფიციალური შედეგები გამოაქვეყნა და გაირკვა, რომ „ქართულ ოცნებას" ხმების **თითქმის 54 პროცენტი** მიუღია, მეორე ადგილზე გასული გვარამიას კოალიციისათვის **900 000-ზე მეტი ხმით გაუსწრია** და ერთად აღებული ოთხივე ოპოზიციური ცენტრისათვის **300 000-ზე მეტი ხმით** უჯობნია.

### 26 ოქტომბრის არჩევნებიდან უკვე თითქმის ერთი თვე გავიდა და მთელმა კოლექტიურმა სანაცეთმა, თავის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ერთი ისეთი მტკიცებულებაც კი ვერ წარმოადგინა, რომელიც დაასაბუთებდა, როგორ შეიძლება გაყალბდეს 300 000 ათასი ხმა?

ის კი არა, **კოლექტიური ნაცები** თავიანთ ზომბირებულ სექტასაც კი ვერ არწმუნებენ იმაში, რომ „ქართულმა ოცნებამ" არჩევნები გააყალბა!

ამიტომაც არის, რომ არჩევნებში **800 ათასი ხმის მიმღებ კოლექტიურ ნაცოპოზიციას ქუჩაში 8 ათასი კაციც ვერ გამოჰყავს** და მხოლოდ რამდენიმე ასეული აქტივისტის მონაწილეობით აწყობს უბადრუკ და უნაყოფო აქციებს!

მოკლედ, წვალობს და ჯახირობს კოლექტიური სანაცეთი, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში **დონალდ ტრამპის** გაპრეზიდენტებამ სულ მთლად დანა გამოუსვა ყელში და **გათხოვილი გერმანელი კაცის — მიხაელ როთის, ლიტველი „ლევან ხაბეიშვილის" — გიჟიმანტას პავილიონისისა და პოლონელი „გიორგი ვაშაძის"** — მიჰაუ კამინსკის ანაბარა დატოვა.

შესაბამისად, კოლექტიურ ნაცებს ახლა ორი გზაღა დარჩენიათ — **ან პარლამენტში უნდა შაეთრიონ, ან ქართული პოლიტიკიდან საერთოდ წაეთრიონ!**

მართალია, ახლა იძახიან — **არ შავეთრევითო,** ანუ პარლამენტში არ შევალთო, მაგრამ ოთხი წლის წინათ ზუსტად ასე იძახდნენ და **მერე შაეთრნენ!**

მოიცადეთ, როგორ ამბობდნენ 2020 წელს?

ვინც პარლამენტში შევა, პუფი იქნებაო!

ვინც პარლამენტში შევა, ბიძინას მონა იქნებაო!

ვინც პარლამენტში შევა, პოლიტიკურ ჰარაკირს გაიკეთებსო!

მერე კი რიგში დაეწყვნენ და პარლამენტში შელაგდნენ, თანაც პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე განცხადებები დაწერეს — **გთხოვთ, განაცდური აგვინაზღაუროთ და იმ თვეების ხელფასიც მოგვცეთ, როცა პარლამენტში არ დავდიოდითო!**

ახლაც იმავეს იზამენ — **ისევ შაეთრევიან!**

რასაც დღეს აკეთებენ — ცენტრალური საარჩევნო კომისიის სახელზე ინდივიდუალური განცხადებების დაწერა და ვითომ საარჩევნო სიების ჩახსნა — აბსოლუტური ბლეფია, რადგან საქართველოს კანონმდებლობა მსგავს პროცედურას არ ითვალისწინებს. **ოპოზი-**





**სულ მალე ვნახავთ, რომ გათხოვილი კაცი მიხაელ როთი გერმანიის პარლამენტში აღარ იქნება, გაუთხოვარი ქალი ანა წითლიძე კი კვლავ საქართველოს პარლამენტში გამოიჭიმება!**

## კვირგვინოსნები

**ილია მეორე**
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*



დასრულდა ცესკოს მიერ **არჩევნების შედეგების** გამოვლენის პროცესი, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა **„ქართული ოცნების" ხმების დიდი უმრავლესობით გამარჯვება. გულითადად ვულოცავ მათ ამ წარმატებას.**

„რუსთავი-2"

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



პარლამენტს **არ სჭირდება ოპოზიციის ლეგიტიმაცია,** ქართველმა ხალხმა საქართველოს პარლამენტს და საპარლამენტო უმრავლესობას მიანიჭა **შესაბამისი ლეგიტიმაცია.**

„ინტერპრესნიუსი"

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**გარედან ვერავინ დაგვინიშნავს ხელისუფლებას!** ვიღაცებს ჰგონიათ, რომ საქართველო არის მათი კოლონია და სადღაც რა გადაწყვეტილებასაც მიიღებენ, ისე უნდა იყოს — **არ გამოვა, მეგობრებო, ასე!**

„ინტერპრესნიუსი"

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**საფრანგეთში** პოპულარობით მეორე პარტიის ლიდერის **დაჭერას აპირებენ, გერმანიაში — გაუქმებას.** ამაზეა ნათქვამი: **საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავდე და სხვისაში ბეწვს ეძებდეო!**

„ინტერპრესნიუსი"

**ჯორჯო ბორი**
*ევროპარლამენტარი*



ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის **საქართველო ყველაზე პროევროპულია,** დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, რათა მხარი დავუჭიროთ საქართველოს მოქალაქეთა მისწრაფებებს.

„პირველი არხი"

# ან წაეთრიეთ!



წვალობს და ჯახირობს კოლექტიური სანაცეთი, რომელსაც ამერიკაში დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებამ სულ მთლად დანა გამოუსვა ყელში და გათხოვილი გერმანელი კაცის — მიხაელ როთის, ლიტველი „ლევან ხაბეიშვილის“ — გიჟიმანტას პავილიონისისა და პოლონელი „გიორგი ვაშაძის“ — მიჰაუ კამინსკის ანაბარა დატოვა!

**რაფინირებული და კულტურული გახდება! თანაც, თუ კოლექტიური ნაცები პარლამენტში არ შაეთრევიან, ეს იმის საწინდარი იქნება, რომ პოლიტიკიდან სამუდამოდ წაეთრევიან და თავიანთ ძაღლუმაღურ პოლიტიკურ ცხოვრებას პოლიტიკურ ორღობეში დაასრულებენ!**

მოკლედ, საქართველოსათვის უფრო ხელსაყრელი იქნება, კოლექტიური ნაცები კი არ **შაეთრიონ,** არამედ **წაეთრიონ,** მაგრამ როდის იყო, კოლექტიური ნაცები საქართველოსათვის ხელსაყრელად და ქართველი ხალხის სასარგებლოდ მოქმედებდნენ?!

ამიტომაც, **შაეთრევიან!**

სულ მალე ვნახავთ, რომ **გათხოვილი კაცი მიხაელ როთი** გერმანიის პარლამენტში აღარ იქნება, **გაუთხოვარი ქალი ანა წითლიძე** კი კვლავ საქართველოს პარლამენტში გამოიჭიმება!

***ჯაბა ხუბუა***

**ცია საარჩევნო სიების გაუქმება და სადეპუტატო მანდატებზე უარის თქმა კანონით მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია, რაც ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა შედგება და საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობით არჩეული „ქართული ოცნება“ 150-ივე დეპუტატის უფლებამოსილებას ცნობს.**

კოლექტიური ნაცები ახლა რასაც ცოდვილობენ, ამით ისევ თავიანთი ამომრჩევლის გაცურებას ცდილობენ — **პარლამენტში შესვლას არ ვაპირებთო!**

არადა, სწორედაც მაგას აპირებენ — **პარლამენტში შათრევას!**

**თუ არ შაეთრევიან, უკეთესიც იქნება, პარლამენტი უფრო ნაყოფიერად იმუშავებს, უკეთეს კანონებს მიიღებს და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებაც უფრო მშვიდი,**

## რამდენი და რომელი ოპოზიციონერი მოხვდა ახალარჩეულ პარლამენტში?

***2024 წლის 16 ნოემბერს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, რომლის თანახმადაც 150-წევრიან საკანონმდებლო ორგანოში „ქართულ ოცნებას“ 89 დეპუტატი ეყოლება, ხოლო დანარჩენი 61 მანდატი 4 ოპოზიციურ წარმონაქმნს შორის გადანაწილდა.***

კერძოდ, **გვარამია-მელია-ხოშტარია-ჯაფარიძის გაერთიანებას,** რომელსაც **„კოალიცია ცვლილებებისთვის“** ჰქვია, **19 მანდატი** შეხვდა; **„ერთიანობა — ნაციონალურ მოძრაობას“** არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობა **16 მანდატის** მოსაპოვებლად ეყო; **ხაზარაძის „ლელოს“** გარშემო შეკოწიწებული კოალიცია „ძლიერი საქართველო“ **14 მანდატს** დაეუფლა, ხოლო **„გახარია საქართველოსთვის“ — 12 მანდატს.**

ასე და ამრიგად, **ახალი ნაცებიდან, ანუ გვარამია-მელიას რიგებიდან საქართველოს მე-11 მოწვევის პარლამენტში მოხვდნენ: 1.** ნანა მალაშხია; **2.** ნიკანორ მელია; **3.** ზურაბ გირჩი ჯაფარიძე; **4.** გიგა ლემონჯავა; **5.** თენგიზ თევზაძე; **6.** ცოტნე კობერიძე; **7.** გიორგი კირთაძე; **8.** ივა ჭყონია; **9.** ხათუნა სამნიძე; **10.** ოქტაი ქაზუმოვი; **11.** მაია კოპალეიშვილი; **12.** ბორისი ყურუა; **13.** ანა გოგოლაძე; **14.** გიორგი ბუტიკაშვილი; **15.** გიორგი იმედაშვილი; **16.** ელენე ხოშტარია; **17.** სოფია გოლეთიანი; **18.** მარიკა არევაძე; **19.** ანი ქავთარაძე.

**ძველი ნაცებიდან, ანუ სააკაშვილის 5-ნომრიანი ნაციონალური მოძრაობიდან დეპუტატები გახდნენ: 1.** თინა ბოკუჩავა; **2.** გიორგი ვაშაძე; **3.** სოფო ჯაფარიძე; **4.** კობა ნაყოფია; **5.** გია ჯაფარიძე; **6.** პეტრე ცისკარიშვილი; **7.** გიგი წერეთელი; **8.** ირაკლი ხვადაგიანი; **9.** თამარ კორძაია; **10.** ირაკლი ფავლენიშვილი; **11.** კახაბერ ოქრიაშვილი; **12.** რამაზ ნიკოლეიშვილი; **13.** ეკა ხერხეულიძე; **14.** ლევან ხაბეიშვილი; **15.** ლაშა ბაქრაძე; **16.** ანა წითლიძე.

აღსანიშნავია, რომ

**პოლიტიკური სიბერის ჟამს განაცებულ და სააკაშვილის პერსონალურ მეხოტბედ გადაქცეულ გუბაზ სანიკიძეს, რომელიც ნაცმოძრაობის საარჩევნო სიაში მე-20 ნომრად ეწერა, ამჯერად აღარ გაუმართლა და მე-11 მოწვევის პარლამენტის წევრი ველარ გახდა. იგივე ბედი ეწია მამუკა ხაზარაძის საჯარო მაგინებლიდან მის საჯარო მაქებრად გადასხვაფერებულ ალეკო ელისაშვილსაც, რომელიც საარჩევნო სიის მე-20 ნომერი იყო და სადეპუტატო მანდატს ველარ შესწვდა,**

**ახალ პარლამენტში კი მოხვდნენ: 1.** მამუკა ხაზარაძე; **2.** ანა დოლიძე; **3.** ბადრი ჯაფარიძე; **4.** ანა ნაცვლიშვილი; **5.** ლევან ცუცქირიძე; **6.** ირაკლი კუპრაძე; **7.** ქეთევან თურაზაშვილი; **8.** საბა ბუაძე; **9.** სალომე სამადაშვილი; **10.** დავით რაქვიაშვილი; **11.** თამარ ლალიაშვილი; **12.** გრიგოლ გეგელია; **13.** ლევან სამუშია; **14.** ფიქრია ჩიხრაძე.

რაც შეეხება **გახარიას პარტიას,** რომელმაც ბარიერგადალახულ ოპოზიციურ ძალებს შორის ყველაზე ნაკლები მანდატი მოიპოვა, **პარლამენტში მოხვედრილი 12-ეული ასეთია: 1.** გიორგი გახარია; **2.** ნათია მეზვრიშვილი; **3.** დიმიტრი ცქიტიშვილი; **4.** კახაბერ ქემოკლიძე; **5.** ზვიად ძიძიგური; **6.** ზაზა თავაძე; **7.** ანა ბუჩუკური; **8.** ბერდია სიჭინავა; **9.** როინ ქოჩორაშვილი; **10.** ბექა ლილუაშვილი; **11.** თეონა აქუბარდია; **12.** ლევან გოგიჩაიშვილი.

მოკლედ, ასეთი იქნება საქართველოს მე-11 მოწვევის პარლამენტის ოპოზიციური ფლანგი თუ, რა თქმა უნდა, ბარიერგადალახული ოპოზიციური ჯგუფები, რომლებიც ახლა **თმებს იწეწავენ — პარლამენტში არ შევალთო,** სიტყვას კვლავ გატეხენ და საკანონმდებლო ორგანოში **ისევე შელაგდებიან, როგორც ეს 2020 წელს გააკეთეს!**

## კვირგვინოსნები

**ტომას ფაცი**
*იტალიელი პოლიტოლოგი*



ევროკავშირის, აშშ-ის, ნატოს ისტებლიშმენტი **ცდილობს, გადააქციოს საქართველო მეორე უკრაინად,** თუმცა, ქართველები წარმატებით ეწინააღმდეგებიან მათ თავიანთი სუვერენიტეტის დასაცავად.

„იმედინიუსი“

**ანდრიას ლასლო**
*ევროპარლამენტარი*



არჩევნებზე მოხდა **მცირე ინციდენტები,** მაგრამ არა ისეთი, რაც სხვაგან არ მომხდარა, **„ოცნებამ“ 300 ათასით მეტი ხმა მიიღო,** ევროკავშირის ქვეყნებიდან პოლიტიკოსები კი **დესტაბილიზაციას ცდილობდნენ.**

„პირველი არხი“

**ჰანს ნოიჰოფი**
*ევროპარლამენტარი*



რომც არ გსურდეთ ამის მიღება, **საქართველოში საპარლამენტო არჩევნები კორექტულად იქნა ჩატარებული,** ეს დემოკრატიული არჩევნები იყო, მკაფიო გამარჯვებულით.

„ინტერპრესნიუსი“

**დანილო დელა ვალე**
*ევროპარლამენტარი*



არჩევნებში **ოფიციალური შედეგებით** „ქართულმა ოცნებამ“ 54 პროცენტი მიიღო, **ეუთოს ანგარიშში არ დადასტურებულა ბრალდებები მასშტაბურ თაღლითობასთან დაკავშირებით,** როგორც ამას ოპოზიცია ამტკიცებს.

„პირველი არხი“

**ტიერი მარიანი**
*ევროპარლამენტარი*



26 ოქტომბრის შემდეგ **დღე არ გასულა, რომ ევროპელი ლიდერი არ ჩარეულიყო საქართველოს საქმეებში,** ეს დესტაბილიზაციური ქმედებები უნდა შეწყდეს.

„პირველი არხი“

# ნაცტერორისტი კირთაძე - ციხეში!



***თავიდანვე ვაცხადებთ, რომ ნაცტერორისტი დავით კირთაძე, რომელმაც 2024 წლის 16 ნოემბრის შემაჯამებელ სხდომაზე ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილს სახეში დაუდგენელი წარმოშობის საღებავი შეასხა და მარცხენა თვალი დაუზიანა, თუ საქართველოს სახელმწიფო ჰქვია, ციხეში უნდა მიაბრძანონ!***









ცნობილია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავგასული **კირთაძის** წინააღმდეგ სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით აღძრა საქმე, რაც სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს, მაგრამ ვერაფრით აიწონება ის ზიანი, რომელიც წინა კვირას ქართველ საზოგადოებას მიადგა.

დებოშიორ და, მითუმეტეს, ნაცსექტანტ **კირთაძეზე** ჩვენ დიდი წარმოდგენა არასოდეს გვქონია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2020 წლის არჩევნებზე ცესკოს მაშინდელ თავმჯდომარეს **თამარ ჟვანიას** გაექაჩა და ქალს ცემა დაუპირა, მაგრამ, **ვინც ყველაფრის მიუხედავად, მაინც ფიქრობდა, რომ ეს ფეხებგაპარსული პროვოკატორი ჯერ კიდევ არ იყო სანაგვეზე გადასაგდები, წინა კვირას მომხდარი ინციდენტის შემდეგ იმანაც კი ხელები გაასავსავა.**

როგორც კი ცესკოს თავმჯდომარეს სახეში შავ სითხეს შეასხამს, ნაციონალი **კირთაძე** სხდომათა დარბაზიდან სამარცხვინოდ გაიქცევა და მიატოვებს თავისნაირ ორ პროვოკატორს, რომლებსაც ცესკოს სხდომათა დარბაზიდან კინწისკვრით და ცემა-ტყეპით გააგდებენ.

**ვფიქრობთ, ქართველი სამართალდამცველები ახლა მაინც გამოიჩენენ პრინციპულობას და დავით კირთაძეს ვირის აბანოში უკრავენ თავს, რათა ქვეყანას კიდევ უფრო დიდი უბედურება აარიდონ.** თუ ასე არ მოხდება და კირთაძეს ხელს არ მოჰკიდებენ, მაშინ საზოგადოება წინასწარვე შეეგუოს მოვლენათა განვითარების იმ სცენარს, რის შესახებაც სააკაშვილის საროსკიპოდან გამოქცეულმა **ვაშაძემ და ბოკუჩავამ** ხალხს უკვე ამცნეს — **ყოჩაღ, დავით კირთაძეს, სადაც კი ამ გამყალბებლებს შეხვდებით, ყველას მელანი და საღებავი უნდა შევასხათო!**

თუ რას გამოიწვევს ეს ყველაფერი და რა მიზანს შეიძლება, ემსახურებოდეს **ვაშაძე-ბოკუჩავას** მოწოდებები, ალბათ, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. **ეს შესაძლოა, იმით დასრულდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ლამპიონებზე ჩამოკიდებული ვიხილოთ მამუკა ხაზარაძის, გიორგი ბარამიძისა და ჭიჭე (ჭუჭუ) ვაშაძის დამწვარი გვამები ანდა სულაც აგენტ ელისტრაკო კილაძის საწმერთული, რომელიც მან, სავარაუდოდ, კეზერაშვილის ქოლცენტრში გადამალა.**

საუბედუროდ, ქართულმა სახელმწიფომ მსგავს სიტუაციაში პრინციპულობა ვერა და ვერ გამოიჩინა და არც კი შეეცადა, პასუხისგებაში მიეცა **ალეკო ელისაშვილი,** რომელიც **მამუკა მდინარაძეს** პარლამენტში დაესხა თავს. აღარაფერს ვამბობთ იმ ნარკომანებსა და ბოროტ ჯამბაზებზე, რომლებიც 2024 წლის 7-8 მარტის ცნობილი მოვლენების დროს პარლამენტის შენობას გადაბუგვას უპირებდნენ და პოლიციელებს ცოცხლად წვავდნენ. ეს ლაზარ-მაზარეები დღემდე თავისუფლად მიმოდიან და, ღმერთმა უწყის, ხვალზეგ რას მოიმოქმედებენ.

ქართული სახელმწიფო უტყვი და უმოქმედო იყო მაშინაც, როცა წყეული ადეიშვილის მოადგილე **ჭიჭე (ჭუჭუ) ვაშაძეს** პირდაპირ დაადეს ხელი და პირზე დაადგნენ, რომ მისი უშუალო ძალისხმევით სააკაშვილის რეჟიმმა 300 ათასი ყალბი პირადობის მოწმობა დაბეჭდა.

**სამართალი ვერც მაშინ აღსრულდა,** როცა **ბაჩო ახალაია** ვაშლის გათლისათვის გაასამართლეს. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ სააკაშვილისადმი წაყენებული საპალტოვე პრეტენზიები სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

სამწუხაროდ, უსამართლობას და თვალების პაჭუნს შეეწირა „ასავალ-დასავალის" სიმართლეც, როცა ამჟამად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დესანტირებულმა მოსამართლე **თამაზ ურთმელიძემ** ხანდაზმული თაღლითი **მამუკა ხაზარაძე** გაამართლა და ამ გარყვნილი ლგბტ პროპაგანდისტის სასარგებლოდ, რომელსაც წყეული ადეიშვილის ხელისბიჭები — **ზვიად კორძაძე და ქეთი ქვარცხავა** იცავდნენ, 5 ათასი ლარის გადახდა დაგვაკისრა.

**ურთმელიძის** მიერ დაწერილი განაჩენი სააპელაციო სასამართლოში მოსამართლე **ქეთევან მესხიშვილმა,** ფაქტობრივად, გადაწერა და **მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევი და მეანაბრეების გამტყავებელი ხაზარაძე** კვლავ გაამართლა.






**სამწუხაროდ, ამ უსამართლობას და თვალების პაჭუნს შეეწირა „ასავალ-დასავალის" სიმართლეც, როცა მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ ხანდაზმული თაღლითი მამუკა ხაზარაძე გაამართლა, ხოლო ჩვენ გაგვამტყუნა!**

თუ როგორ და რატომ დაიწნდეს ხანდაზმული თაღლითი **მამუკა ხაზარაძე** და რატომ არავინ იძიებს **„სახალხო საინვესტიციო კორპორაციის"** საქმეს, რომელიც წინ უსწრებდა 90-იან წლებში ქართველი მეანაბრეების ქრესტომათიულ გაყვლეფას, ჩვენ აუცილებლად მივუბრუნდებით და **ყველას ყველაფერზე** მოვკითხავთ!

სწორედ **კოლექტიურმა ურთმელიძეებმა და მესხიშვილებმა** გაამარჯვებინეს მამუკა ხაზარაძეს და გაამტყუნეს „ასავალ-დასავალი". სწორედ მათ მიაფურთხეს იმ სიმართლეს, რომელზეც თავისუფალი და დემოკრატიული საქართველო უნდა აშენებულიყო. რა შეგვრჩა შედეგად ხელში? **პარლამენტში შესასვლელად გამზადებული მამუკა ხაზარაძე და მისი გეი-„უბორნია", ბუღაძისა და სხვა უნიჭო ლექსმწერთა პრემირებული ხროვა, რომელმაც უკვე ტელევიზიებიც ჯიბეში ჩაიდო და სახელმწიფოს საფუძვლებსაც არყევს.**

სახელმწიფოს უსაფრთხოება მოითხოვს, ნაცსექტანტი **დავით კირთაძე** ვირის აბანოში გამოიკეტოს! ღრმად გვწამს, თუ დღევანდელი ხელისუფლება ამ განუკითხაობას არ დაასრულებს, მაშინ ამ ხელისუფლებას **დავით კირთაძე და მისი მსგავსი ნაცტერორისტები** დაასრულებენ!

***დიტო ჩუბინიძე***

***გასულ კვირას ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან რამდენიმე ათეული მდედრი დადგა და ხელში თეთრი ფურცელი დაიჭირა, რომელზეც შავი წრე იყო გამოსახული, შემდეგ კი თბილისში რამდენიმე ძეგლს შემოახვიეს თეთრი ნაჭერი ასევე შავი წრის გამოსახულებით.***



ძეგლებისათვის შავწრიანი თუ შავწერტილიანი ნაჭრის შებმა, რაც ნაცლიბერალმა აქტივისტებმა გააკეთეს, მხოლოდ მორიგი პოლიტიკური სისაძაგლეა და მეტი არაფერი, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ნაცლიბერალებმა ეს პოლიტიკური სისაძაგლე ძეგლების მიმართ ჩაიდინეს, შეგვიძლია, სისაძეგლეც ვუწოდოთ!



# რა სისაძეგლეა?!

როგორც ნაცოპოზიციის წარმომადგენლებმა და მათზე მიბმულმა ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებმა განმარტეს, ეს შავი წრე სიმბოლურად გამოსახავს საარჩევნო ბიულეტენის უკანა მხარეს გაჟონილ მარკერის კვალს, რაც, თურმე, იმის ნიშანია, რომ 26 ოქტომბერს ხმის მიცემის ფარულობა დაირღვა და არჩევნები ხელახლა უნდა ჩატარდეს.

ესე იგი, კოლექტიურ ნაცებს არჩევნები იმიტომ კი არ წააუგიათ, რომ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ნარჩენები, ყაჩაღ-ბანკირები, თაღლითები, ანტიეროვნულები, მართლმადიდებლობისა და ქართული ეკლესიის მტრები, ლგბტ პროპაგანდისტები, გეი-აღლუმებისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების მომხრეები, ოკუპანტებისათვის შიშველი უკანალების მიმშვერები, უცხოეთის გავლენის აგენტები და საქართველოს ომში ჩათრევის დაკვეთის შემსრულებლები არიან!

არა, **კოლექტიური ნაცები არჩევნებში მხოლოდ იმიტომ დამარცხებულან, რომ 2 მილიონზე მეტი ბიულეტენიდან რამდენიმე ათეული თუ ასეული ბიულეტენის უკანა მხარეს მარკერის კვალს გაუჟონია!**

ჰოდა, ეს მარკერის გაჟონილი კვალი ყოფილა, თურმე, არჩევნების გაყალბების, საქართველოს რუსეთიზაციისა და ქართველი ხალხის მომავლის დაბნელების სიმბოლო!

თუმცა, ნაცოპოზიცია საკუთარი მხარდამჭერების დიდ უმრავლესობასაც კი ვერ არწმუნებს იმაში, რომ არჩევნები ბიულეტენზე მელნის გაჟონვის გამო წააგო. როგორც ჩანს, საღი აზრის თუნდაც მცირე დოზით შენარჩუნებას „მთავარი არხის", „ტვ პირველისა" და „ფორმულას" უნიჭო პროპაგანდით ზომბირებული მასის ნაწილიც ახერხებს და რევოლუციის მოსაწყობად ქუჩაში არ გამოდის!

**მაშ, რა უნდა ქნა ასეთ დროს?**

**რა წყალში უნდა გადავარდე და რომელ ქვას უნდა ახალო თავი, როცა ხედავ, რომ წინასწარ გამოცხადებული რევოლუციის ქრონიკა კრახისათვის არის განწირული?**

რა და... საქმეში **ძეგლები** ჩართო — **ილიასა და აკაკის ძეგლი, კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი, ვახტანგ გორგასლის ძეგლი, ქართვლის დედის ძეგლი...** ჰო, მიხვალ ამ ძეგლებთან, შეაბამ თეთრ ნაჭერს **შავი წრის** გამოსახულებით და ეგ არის — ილია, აკაკი, კონსტანტინე, ვახტანგ გორგასალი და ქართვლის დედა ავტომატურად ხდებიან ნაცსექტის აქტივისტები, ნაცებთან და ლიბერალებთან ერთად აპროტესტებენ არჩევნების გაყალბებასა და საქართველოს დაბრუნებას საბჭოთა კავშირში... **გვარამიას, ხაზარაძის, ბოკუჩავასა და სამადაშვილის არ გჯერათ? ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, კონსტანტინე გამსახურდიასა და ქართვლის დედას მაინც დაუჯერეთ!**



**საერთოდ, ამ ქართვლის დედის ქანდაკებას ნამეტანი გაუჭირეს საქმე ამ ნაცლიბერალებმა...**



საერთოდ, ამ ქართვლის დედის ქანდაკებას ნამეტანი გაუჭირეს საქმე ამ ნაცლიბერალებმა! ჯერ იყო, გაუგებარმა წარმონაქმნა **ზურაბ ჭიაბერაშვილმა** დაწერა — **ქართვლის დედას ხელში ხმალი და ფიალა რომ უჭირავს, ეგ, სინამდვილეში, ფალოსისა და საშოს განსახიერებაა, თანაც, ქართვლის დედის ხმალი ქართველ კაცებში კასტრაციის შიშს აღძრავსო,** ახლა კი ქართვლის დედა ნაცაქტივისტადაც გამოიყვანეს, რომელიც **ვითომ არჩევნებში ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას აპროტესტებს, როგორც რომელიმე ანა დოლიძე ან ანა წითლიძე.**

ილიას ამბავი კიდევ ცალკეა, რადგან ქართველი ვაი-ლიბერალების კასტა დიდი ხანია, მის მისაკუთრებას ცდილობს, აქაოდა — ჩვენიანია, ჩვენნაირი ლიბერალი იყოო! სინამდვილეში კი **ილია ჭავჭავაძე** სწორედ ისეთ ვაი-ლიბერალებზე, როგორებიც დღეს საქართველოს სახელმწიფოებრივ სულსა და სხეულს უკორტნიან, წერდა:

> *„სულელობას, ოღონდ კი ლიბერალობა მიეწეროს ქვეშ, არსად იმისთანა უვიცობის ხნული არ დახვდება ფესვის მოსაკიდებლად, როგორც ჩვენში; თუ ჩვენებურ ლიბერალებს გამვლელ-გამომვლელი თავს არ დაუკრავს და მუხლს არ მოუყრის, ყველანი უვიცები და რეტროგრადები ჰგონიათ; დროა, ჭკუას მოვიდეთ და არ შევუშინდეთ ამ ცრუპენტელა ლიბერალებს, ამ ჭეშმარიტის ლიბერალობის ბერიკებს, რომელნიც პირში ბურთსა გვჩრიან, რომ თავიანთი ოინბაზობა, ორპირობა და ცალგულობა მიაფუჩეჩონ და ზედ ლიბერალობის წმინდა კალთა გადააფარონ".*

კითხულობ მე-19 საუკუნეში დაწერილ ამ სტრიქონებს და თვალწინ გიდგებიან დღევანდელი **ნინოლომჯარიები, ეკაგიგაურები, ნიკაგვარამიები, ლევანბერძენიშვილები, ლაშაბუღაძეები და მსგავსნი მათნი...** თითქოს ილია სახელდობრ და კონკრეტულად ამათზე წერდა, თუმცა, არც იმდროინდელი საქართველო უჩიოდა **კოლექტიურ ლომჯარიათა, გიგაურთა, ბერძენიშვილთა და ბუღაძეთა** სიმცირეს.

რაც შეეხება **კონსტანტინე გამსახურდიას,** რომლის ძეგლსაც ასევე შავწერტილიანი თეთრი ნაჭერი შეაბეს, იგი ამ ანტიეროვნულ ნაცლიბერალებს მოკავშირედ კი არ გაუხდებოდა, შესაძლოა, ამოღებული ხმლით გამოდევნებოდა ქუჩაში ან ოფისებში მივარდნოდა და გაესილაქებინა, როგორც რეალურად უქნია ზოგიერთი ანტიქართველისა და საქართველოს შინაური მტრისათვის.



# დღევანდელი საქართველოს შავი ხვრელი და შავი წერტილი სწორედ კოლექტიური ნაცმოძრაობაა!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **ძეგლებისათვის შავწრიანი თუ შავწერტილიანი ნაჭრის შებმა, რაც ნაცლიბერალმა აქტივისტებმა გააკეთეს, მხოლოდ მორიგი პოლიტიკური სისაძაგლეა და მეტი არაფერი, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ნაცლიბერალებმა ეს პოლიტიკური სისაძაგლე ძეგლების მიმართ ჩაიდინეს, შეგვიძლია, სისაძეგლეც ვუწოდოთ!**

რაც შეეხება თეთრ ქაღალდსა და ნაჭერზე გამოსახულ **შავ წერტილს,** ეს მხოლოდ ნაცებისა და ლიბერალების სიმბოლოდ შეიძლება, ჩაითვალოს, რადგან დღევანდელი საქართველოს **შავი ხვრელი** და **შავი წერტილი** სწორედ კოლექტიური ნაცმოძრაობაა!

***ჯაბა ხუბუა***

*2024 წლის 18 ნოემბერს ზუსტად 60 წელი სრულდება ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველი დიდი გამარჯვებიდან, რომელიც თბილისის „დინამომ“ უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში მოიპოვა.*

# ასე ასრულდა ოცნება, ასე ასრულდა მიზანი!

დიახ, **1964 წლის 18 ნოემბერს თბილისის „დინამო“** პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი!

**1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში,** „ფახთაქორის“ სტადიონზე, გამართულ „ოქროს მატჩში“ ქართველებმა იმპერიის დედაქალაქის გუნდს — **„ტორპედოს“** 4:1 სძლიეს და **თბილისის „დინამოს“** 39-წლიანი არსებობის განმავლობაში, პირველი ტიტული მოიპოვეს!

თანაც, ტიტულსაც ხომ გააჩნია — **პატარა საქართველო დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული ქვეყნის ჩემპიონი გახდა!**

ეს მოხდა მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობა სულ 4 დღის დაკავებული ჰქონდა **ლეონიდ ბრეჟნევს,** ანუ სულ ახალი დამთავრებული იყო საქართველოსა და ქართველების მოძულე **ნიკიტა ხრუშჩოვის** მმართველობა.

ეს არასაფეხბურთო კომპონენტი საბჭოთა საქართველოს საფეხბურთო ტრიუმფისათვის შესაძლოა, გადამწყვეტი ფაქტორიც კი იყო, რადგან **1964 წლის 18 ნოემბერს** იმპერიის საჭესთან **ხრუშჩოვი** რომ მჯდარიყო, თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულს, ალბათ, კვლავაც ვერ ეღირსებოდა.

აკი, ქართველებს საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონობა სწორედ **ხრუშჩოვის** მმართველობისას — **1953 წლის სექტემბერში** წაართვეს, როცა თბილისის „დინამომ“ გადამწყვეტ მატჩში **მოსკოვის „ტორპედოს“** 2:1 სძლია, მაგრამ საქმეში უმალ ჩაერია საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ მატჩი გადათამაშებულიყო და, უტიფრად მიკერძოებული მსაჯობის გამოისობით, თბილისელებს მოსკოველებთან 1:4 წაეგოთ.

**მაშინათვე ყველასათვის გასაგები იყო, რაც დატრიალდა და რატომაც დატრიალდა — ნიკიტა ხრუშჩოვს, რომელსაც იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილისადმი ანტაგონისტური დამოკიდებულება მთელი საქართველოსა და ქართველების აუტანლობაში ჰქონდა გადაზრდილი, ცოცხალი თავით არ სურდა, სტალინის გარდაცვალებიდან ნახევარ წელიწადში ქართველები საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გამხდარიყვნენ.**

ამიტომაც, 1953 წლის შემოდგომაზე **თბილისის „დინამოს“** განაღდებული ჩემპიონობა წაართვეს და ამის შემდეგ ქართულ გუნდს მთელი 11 წელი დასჭირდა, რომ თავის ისტორიაში პირველი ტიტული მოეპოვებინა.

ამდენად, **სრული საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ და დარწმუნებულიც კი ვიყოთ — 1964 წლის 18 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სათავეში ქართველებისადმი კეთილგანწყობილი ლეონიდ ბრეჟნევის მაგივრად ქართველთმოძულე ნიკიტა ხრუშჩოვი რომ ყოფილიყო, თბილისის „დინამოს“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობას კვლავ ხელიდან გასტაცებდნენ!**

ისტორიულ კანონზომიერებას მივაწერთ, განგების სამართლიანობას თუ ორივეს ერთად, ფაქტია, რომ **1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში** გამართულ „ოქროს მატჩში“ ქართველებმა საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონობა სწორედ იმ **მოსკოვის „ტორპედოს“** ძლევით მოიპოვეს, რომელთანაც 1953 წელს გადათამაშებული მატჩი წააგეს და ჩემპიონობას ვერ შესწვდნენ.

ისიც სიმბოლური იყო, რომ 1953 წელს გადათამაშებული საჩემპიონო მატჩი **თბილისის „დინამომ“ მოსკოვის „ტორპედოსთან“** 1:4 დათმო, ხოლო 1964 წელს იმავე **„ტორპედოს“** საჩემპიონო თამაში 4:1 მოუგო!

**მოკლედ რომ მოვჭრათ, სამართალმა პური ჭამა და ქართულმა ფეხბურთმა პირველი გვირგვინი დაიდგა!**

1964 წელს საბჭოთა პირველობაზე **თბილისის „დინამომ“** და **მოსკოვის „ტორპედომ“** თანაბარი — 46-46 ქულა დააგროვეს და ჩემპიონის გამოსავლენად ე.წ. ოქროს მატჩი გახდა საჭირო, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე უნდა გამართულიყო. გადაწყდა, რომ საჩემპიონო ჯახი ტაშკენტში, „ფახთაქორის“ სტადიონზე შედგებოდა და... როგორც მერე, დიდი გამარჯვების კვალდაკვალ, ანსამბლი „ორერა“ იმღერებს — **თბილისიდან ცხრა მთა გადაიარეს ფრთებგაშლილმა ბიჭებმა, რომ**



მოგილოცავთ სახელოვან გამარჯვებას, მეგობრებო!

თბილისის „დინამო“ — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ფეხბურთში

ლაპარაკობენ დინამოელები

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 1964 წ.

№ 271 (13087)

ფასი 2 კაპ.

სულითა და გულით...

ЧЕМПИОН СССР

ექსპრომტი ქართველ ფეხბურთელებს

ყოჩაღ, თბილისელებო!

დამსახურებული გამარჯვება

მეგობართა აღტაცება

ჩემპიონატები და ადგილები

გულითადი მილოცვები



## ტაშკენტი, 1964:
### თბილისის „დინამო“ ჩემპიონობას ზეიმობს!

# ოქროს ბიჭების

# ზუსტად 60 წლის წინათ, 1964 წლის 18 ნოემბერს, თბილისის „დინამო“ პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი!



ტაშკენტი, 1964:
თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონია!

**დაეცვათ უზბეკეთის მიწაზე საქართველოს ღირსება.**

უზბეკეთის მიწაზე საქართველოს ღირსების დამცველი ფრთებგაშლილი ბიჭების ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: **სერგო კოტრიკაძე, ბორის სიჭინავა, ვახტანგ რეხვიაშვილი, ჯემალ ზეინკლიშვილი, გურამ ცხოვრებოვი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, ილია დათუნაშვილი და მიხეილ მესხი.**

თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ლეგენდარული **გავრილ კაჩალინი** გახლდათ, ხოლო გუნდის უფროსი — ლეგენდარული **ბასა ღოღობერიძე.**

საჩემპიონო დაპირისპირების განსჯა ლატვიელ მთავარ **არბიტრ მიკელის რუბენისს** მიანდეს, რომელსაც შემდეგ სწორედ ამ მატჩის ობიექტურ და სამართლიან მსაჯობას არ აპატიებენ და არამხოლოდ პროფესიულ საქმიანობას აუკრძალავენ, არამედ ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც გაამწესებენ ვითომდა იმის გამოსაკვლევად, სრულ ჭკუაზე არის თუ არაო?

**გასაგებია, რისი თქმა და დემონსტრირება სურდა ამით საბჭოთა სისტემას:**

**თუ მსაჯი საღ გონებაზე იყო და მატჩი სწორად განსაჯა, როგორ შეიძლებოდა, მოსკოვის გუნდს თბილისის გუნდთან წაეგო?**

**თუ არა მსაჯის არაადეკვატურობა, აბა, იმპერიის ჩემპიონობისათვის ბრძოლაში იმპერიის დედაქალაქის გუნდი პერიფერიული კოლონიის გუნდთან როგორ დამარცხდებოდა?**

„ოქროს მატჩი“, რომელსაც ტაშკენტის „ფახთაქორის“ სტადიონზე 70 000 მაყურებელი ესწრებოდა, **1964 წლის 18 ნოემბრის 18 საათზე** დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ **თბილისის „დინამო“** უმაღლესი კლასის, თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიო დონის ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, ქართველებმა თამაში მძიმედ და უღიმღამოდ დაიწყეს. ლეგენდარული სპორტული ჟურნალისტების — **მიხეილ კაკაბაძისა და ბიჭიკო ქორქიას** რეპორტაჟში, რომელიც გაზეთ „ლელოს“ 1964 წლის 19 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა, მატჩის საწყისი წუთებისა და მთლიანი პირველი ტაიმის შესახებ ვკითხულობთ:

*„ეს იყო უმძიმესი წუთები ჩვენი გუნდისთვის. ნახევარდაცვის ხაზი არ ჩანდა, უმოქმედობდა ორივე ფლანგი და მთელმა ტაიმმა ისე განვლო, რომ მესხს თამაშში თითქმის არ მიუღია მონაწილეობა. „დინამო“ მოქმედებდა შებორკილად და უინიციატივოდ. ჩვენი სწრაფი, ცოცხალი, ტემპიანი გუნდი მოშვებულ ზამბარას ჰგავდა. მადლობა მცველებს, რომლებმაც თავს იდვეს ესოდენ მძიმე ტვირთი. მადლობა კოტრიკაძეს, რომელმაც ამ უაღრესად ნერვულ, მძიმე და მწვავე სიტუაციაში ბრწყინვალე ოსტატობა გამოამჟღავნა. მაყურებლები ერთხანს გაოგნებულნი უყურებდნენ მინდორზე შექმნილ სურათს“.*

თამაშის სურათი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა და მეორე ტაიმიც მოსკოველთა აქტიურობით დაიწყო, მატჩის 55-ე წუთზე კი **შჩერბაკოვმა** ოთხ მეტოქესთან ჭიდილში მოპოვებული ბურთი ძლიერი დარტყმით გაახვია **კოტრიკაძის** კარის ბადეში და „ტორპედო“ დააწინაურა.

ამის შემდეგ რაც მოხდა, ისევ **მიხეილ კაკაბაძისა** და **ბიჭიკო ქორქიას** რეპორტაჟში წავიკითხოთ:

*„ვინ იფიქრებდა, რომ ამ მძიმე ვითარებაში დინამოელები შეძლებდნენ თამაშის სადავეების ხელში აღებას და მატჩის მსვლელობაში გარდატეხის შეტანას. მაგრამ სწორედ ასე მოხდა: მიღებულმა ბურთმა თითქოს ხელ-ფეხი შეუხსნა ჩვენს ნახევარდაცვას და ფორვარდებს, მოშვებული ზამბარა დაიჭიმა და შემდეგ... აფეთქდა. ამ აფეთქების ნაკადები ტალღასავით დაიძრა ტორპედოელთა კარისკენ. მეტოქე დაიბნა. იგი არ მოელოდა ამ არნახულ შტურმს, რომელიც წამდაუწუმ აწყდებოდა დაცვის ზღუდეებს. საპასუხო გოლი გატანილ იქნა 72-ე წუთზე უშუალოდ კუთხურიდან დათუნაშვილის მიერ. იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ კუთხურიდან გატანილი ბურთი შემთხვევითიაო, მაგრამ მატჩის ამ მონაკვეთისთვის თბილისელთა მარჯვენა გარემარბმა სამჯერ ზედიზედ ჩამოაწოდა კუთხური და სამივეჯერ „ტორპედოს“ კარი სასწაულით გადარჩა გოლს. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში შაპოვალენკო და მისი მცველები ბურთის მოგერიების შემდეგ პანიკური შიშით შეპყრობილი ეყარნენ კარის ხაზზე“.*

**სხვათაშორის, იმასაც ამბობენ, რომ თბილისის „დინამოსთან“ საჩემპიონო მატჩში მოსკოვის „ტორპედოს“ კარში შეგნებულად არ დააყენეს გუნდის მთავარი გოლკიპერი — ქართველი ანზორ კავაზაშვილი, რადგან შიშობდნენ — გოლებს გამიზნულად გაუშვებს და თანამემა-**



**1964 წლის 18 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სათავეში ქართველებისადმი კეთილგანწყობილი ლეონიდ ბრეჟნევის მაგივრად ქართველთმოძულე ნიკიტა ხრუშჩოვი რომ ყოფილიყო, თბილისის „დინამოს“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობას კვლავ ხელიდან გასტაცებდნენ!**



## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის 1964 წლის გათამაშების საბოლოო ცხრილი

| ადგ. | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | И | В | Н | П | Г | О |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | „დინამო“ (თბილისი) |  | 3:1 | 3:0 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 1:0 | 3:1 | 1:1 | 2:0 | 4:3 | 1:0 | 2:0 | 2:2 | 3:1 | 1:0 | 32 | 18 | 10 | 4 | 48-30 | 46 |
| 2 | „ტორპედო“ (მოსკოვი) | 1:1 |  | 1:0 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 5:0 | 1:0 | 2:0 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 1:0 | 3:1 | 3:0 | 32 | 19 | 8 | 5 | 52-19 | 46 |
| 3 | „ცე-ეს-კა“ (მოსკოვი) | 4:1 | 2:1 |  | 1:0 | 0:2 | 1:2 | 1:1 | 2:0 | 0:0 | 4:2 | 0:0 | 0:0 | 4:0 | 5:2 | 2:0 | 10:2 | 1:0 | 32 | 16 | 11 | 5 | 49-23 | 43 |
| 4 | „სკა“ (დონის როსტოვი) | 1:2 | 0:2 | 1:0 |  | 1:0 | 2:2 | 2:1 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 2:1 | 1:1 | 7:0 | 0:1 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 32 | 16 | 6 | 10 | 40-28 | 38 |
| 5 | „შახტიორი“ (დონეცკი) | 2:1 | 0:0 | 0:0 | 1:2 |  | 0:0 | 1:2 | 3:0 | 0:5 | 3:0 | 2:1 | 1:0 | 3:0 | 2:0 | 1:1 | 2:0 | 1:0 | 32 | 13 | 11 | 8 | 35-26 | 37 |
| 6 | „დინამო“ (კიევი) | 1:1 | 1:2 | 1:1 | 0:1 | 1:1 |  | 2:1 | 2:2 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 3:0 | 1:1 | 3:1 | 2:0 | 4:1 | 32 | 10 | 16 | 6 | 42-29 | 36 |
| 7 | „დინამო“ (მოსკოვი) | 3:1 | 2:1 | 1:2 | 3:2 | 2:0 | 1:1 |  | 2:1 | 2:1 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 0:2 | 0:1 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 32 | 12 | 10 | 10 | 33-31 | 34 |
| 8 | „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 0:1 | 0:1 | 0:1 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 1:0 |  | 0:0 | 2:1 | 2:1 | 2:2 | 0:0 | 0:0 | 0:2 | 1:0 | 2:1 | 32 | 12 | 8 | 12 | 34-32 | 32 |
| 9 | „დინამო“ (მინსკი) | 0:0 | 0:3 | 0:0 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 1:0 |  | 0:0 | 1:1 | 0:2 | 0:0 | 0:1 | 1:0 | 1:1 | 4:0 | 32 | 7 | 17 | 8 | 24-21 | 31 |
| 10 | „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 3:3 | 0:4 | 0:0 | 0:1 | 0:0 | 1:1 | 4:0 | 1:0 | 0:0 |  | 2:1 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 0:2 | 1:0 | 3:1 | 32 | 7 | 14 | 11 | 24-35 | 28 |
| 11 | „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 0:0 | 0:4 | 0:2 | 2:0 | 1:1 | 1:0 | 0:0 | 0:4 | 1:1 | 4:1 |  | 1:0 | 0:1 | 0:0 | 1:0 | 4:0 | 3:0 | 32 | 9 | 9 | 14 | 30-35 | 27 |
| 12 | „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 0:1 | 3:1 | 1:1 | 0:1 | 3:1 | 1:0 | 0:1 | 0:4 | 0:2 | 0:0 | 2:1 |  | 2:0 | 1:0 | 0:0 | 0:0 | 2:0 | 32 | 8 | 11 | 13 | 25-30 | 27 |
| 13 | „ტორპედო“ (ქუთაისი) | 1:1 | 1:0 | 0:1 | 4:1 | 0:1 | 0:0 | 1:0 | 0:3 | 0:1 | 0:0 | 0:2 | 1:0 |  | 3:0 | 2:0 | 0:2 | 2:0 | 32 | 10 | 7 | 15 | 20-37 | 27 |
| 14 | „ვოლგა“ (გორკი) | 0:0 | 1:1 | 0:1 | 0:4 | 0:1 | 0:3 | 2:2 | 1:4 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 1:0 |  | 1:0 | 3:2 | 1:0 | 32 | 7 | 13 | 12 | 19-38 | 27 |
| 15 | „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 0:0 | 1:2 | 1:1 | 0:0 | 2:2 | 1:0 | 0:0 | 0:1 | 2:0 | 0:1 | 2:2 | 1:0 | 2:0 | 2:0 |  | 0:1 | 1:0 | 32 | 8 | 10 | 14 | 23-27 | 26 |
| 16 | „შინიკი“ (იაროსლავი) | 0:1 | 1:4 | 1:2 | 1:1 | 0:2 | 2:2 | 0:0 | 0:1 | 0:0 | 0:1 | 1:0 | 1:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 |  | 1:1 | 32 | 6 | 9 | 17 | 20-48 | 21 |
| 17 | „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 1:0 | 0:2 | 0:0 | 0:1 | 1:0 | 1:3 | 0:3 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 2:0 | 0:1 | 0:0 | 1:0 | 0:0 |  | 32 | 6 | 6 | 20 | 15-44 | 18 |

# ტრიუმფიდან 60 წელი გავიდა!

გაგრძელება მე-8 გვერდზე

*დასაწყისი მე-6 გვერდზე*

# ასე ასრულდა ოცნება, ასე ასრულდა მიზანი!

**მულეებს მოაგებინებსო!**

თბილისის „დინამოს" ლეგენდარული მეკარე **სერგო კოტრიკაძე,** რომელმაც 1964 წლის 18 ნოემბრის „ოქროს მატჩში" დიდებულად ითამაშა და გუნდი გოლისაგან არაერთხელ იხსნა, მოგვიანებით ერთ-ერთ ინტერვიუში იტყვის:

*„ჩემმა კოლეგამ, მეკარე ედუარდ შაპოვალენკომ, მაპატიოს, მაგრამ ვფიქრობ, „ტორპედომ" შეცდომა დაუშვა, როცა კარში ის დააყენა და არა — ანზორ კავაზაშვილი, რომელიც ჩვენებური იყო, ბათუმში დაბადებულ-გაზრდილი... სხვათაშორის, თბილისში „ტორპედოს" იმ სეზონის მეორე წრეში 3:1 მოვუგეთ და მატჩის შემდეგ ვლადიმერ ივანოვს რომ ველაპარაკებოდი, პირდაპირ მითხრა — ანზორმა სამივე გოლი შეგნებულად გაუშვა თანამემამულეებისადმი სიყვარულის გამოო".*

მოკლედ, **ტაშკენტური „ოქროს მატჩის" ძირითადი დრო ფრედ — 1:1 დასრულდა და გამარჯვებულის, ანუ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის გამოსავლენად ორი 15-წუთიანი დამატებითი ტაიმი დაინიშნა, რომელიც „დინამოს" სრული უპირატესობით წარიმართა და ქართველებმა მეტოქეს, როგორც იტყვიან, გადაურბინეს:** 92-ე წუთზე **ილია დათუნაშვილმა მიხეილ მესხის** ბრწყინვალე პასით დუბლი შეასრულა და „დინამო" 2:1 დააწინაურა; პირველი დამატებითი ტაიმის ბოლო წუთზე მოსკოველთა კარი თავად **მესხმა** აიღო და ქართველების უპირატესობა 2-ბურთიანი გახადა, ხოლო მეორე დამატებითი ტაიმის პირველივე წუთზე, როცა **მესხის** მიერ მეტოქის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ტორპედოელმა **სარაევმა** ხელით დაიჭირა, მსაჯმა **რუბენისმა** სრულიად სამართლიანად დანიშნა პენალტი, რომელიც **სლავა მეტრეველმა** ზუსტად შეასრულა და „ოქროს მატჩის" საბოლოო ანგარიში — 4:1 დააფიქსირა.

**მიხეილ კაკაბაძე და ბიჭიკო ქორქია თავიანთ ბრწყინვალე რეპორტაჟში აღწერენ, რა ხდებოდა ტაშკენტის სტადიონზე მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ:**

*„დინამოელები ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ. ტრიბუნები გულწრფელად, აღტაცებით იზიარებდნენ ბრძოლაგადახდილი და ვალმოხდილი ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელების უზომო სიხარულს... ფოტორეპორტიორთა და კინოოპერატორთა არმია კვლავ დაეუფლა მინდორს... მორბოდნენ თაიგულებით, სიხარულით... ტრიბუნებზე ავარდა მაშხალები, აინთო ჩირაღდნები. სიხარული, დიდი სიხარული სუფევდა უზბეკეთის დედაქალაქის სტადიონზე. ფეხბურთელები და გულშემატკივრები ვზეიმობდით იმ დაუვიწყარ წუთებს, „ოქროს მატჩი" ოქროს მედლების ბრწყინვალებად რომ გადააქცია".*

**ასე გახდა თბილისის „დინამო" ისტორიაში პირველად საბჭოთა კავშირის ჩემპიონი!**

**ასე ასრულდა ოცნება, ასე ასრულდა მიზანი!**


Советский спорт
19 ноября 1964 г.
В ПОХОДЕ ЗА ЗДОРОВЬЕМ
Впервые!
Тбилисское «Динамо»—чемпион СССР
Совещание физкультурных работников


ДИНАМО Тбилиси ЧЕМПИОН
ТАШКЕНТ.
Монета брошена. Тбилисцы начинают первыми.
ТБИЛИССКИМ ДИНАМОВЦАМ
Лучшим у московских автозаводцев в ташкентском матче был В. ВОРО...


ДИНАМО Тбилиси ЧЕМПИОН
Вот они—новые чемпионы
Б. СИЧИНАВА, Г. ЦХОВРЕБОВ, В. РЕХВИАШВИЛИ, Г. СИЧИНАВА, Д. ЗЕЙНКЛИШВИЛИ, М. ХУРЦИЛАВА, Ш. ЯМАНИДЗЕ, С. МЕТРЕВЕЛИ
М. МЕСХИ, Н. ЛЕЖАВА, Г. ПЕТРИАШВИЛИ, В. БАРКАЯ, А. АПШЕВ, С. КОТРИКАДЗЕ, Э. ХУЦИШВИЛИ, И. ДАТУНАШВИЛИ

## ქართველმა ფეხბურთელებმა, რომლებსაც ქართველმა ხალხმა ოქროს ბიჭები უწოდა, 1964 წლის 18 ნოემბერი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერეს!

DINAMO TBILISI
1925

## ზუსტად 60 წლის წინათ, 1964 წლის 18 ნოემბერს, თბილისის „დინამო" პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი!

### ბოლოთქმა

საფეხბურთო კლუბი **თბილისის „დინამო" 1925 წლის შემოდგომაზე დაარსდა,** რაც იმას ნიშნავს, რომ **გაისად ერთი საუკუნე შეუსრულდება,** მაგრამ დღეს ქართული ფეხბურთის ოდინდელი ფლაგმანისაგან მხოლოდ სახელწოდებაღა დარჩენილა და ახლანდელი „დინამო" იმ გუნდის აჩრდილის აჩრდილიც აღარ არის, რომელმაც ზუსტად 60 წლის წინათ თავის ისტორიაში პირველი ტიტული მოიპოვა. **რაოდენ საწუხარი და სავალალოა, რომ ერთ დროს მართლა დიადი გუნდი და ევროპული ფეხბურთის ნამდვილი გრანდი თბილისის „დინამო" თავის 100 წლის იუბილეს ასე დაჩაჩანაკებული და შერცხვენილი ხვდება!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



როდესაც კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას **ქვეყნის შიგნით პოლიტიკური რესურსი ამოწურული აქვს, გადადიან დაბეზღების რეჟიმში,** გარბიან ზოგიერთ უცხოელ დამკვეთთან და დახმარებას სთხოვენ.

„TV იმედი"

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



ეს ნაძირალები — **ხაზარაძე და ჯაფარიძე** მიდიოდნენ გლდანში, **ნაწამებ ადამიანებს ხელს აწერინებდნენ და იფორმებდნენ ბიზნესებს, ფულს და ა.შ.** ხაზარაძემ ამაში მიიღო ბრწყინვალების ორდენი, **დაჯილდოებულია სააკაშვილის ხელიდან.** რა სხვაობა შეიძლება, იყოს **ხაზარაძესა და სააკაშვილს შორის? ხაზარაძე იყო სააკაშვილის მსახური ბოროტებაში.**

„TV იმედი"

**კოტე ჟღენტი**
*დიპლომატი*



უცხო ქვეყნის პოლიტიკოსების მხრიდან **ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესში ჩარევას** დიპლომატიასთან არანაირი საერთო არა აქვს. ჩვენც და საზოგადოებაც ძალიან კარგად ვხვდებით, **ვინ გადაიხადა მათი ჩამოსვლის თანხები, საერთოდ ვინ დაგეგმა ეს ყველაფერი.** როდესაც **მიხაილ როთს** ჰკითხეს, თქვენს ვიზიტს ხომ არ მიიჩნევთ შიდა საქმეებში ჩარევადო, მან უპასუხა, არ მივიჩნევ, რადგან **ხომ შეიძლება თქვენმა პრეზიდენტმა დაგვპატიჟა ოპოზიციასთან სალაპარაკოდო?** ამაზე მეტი ლუსტრაცია რა გნებავთ.

„TV იმედი"

**სოსო მანჯავიძე**
*ანალიტიკოსი*



**დეზინფორმაციისა და რევოლუციის** წყურვილის ტალღა ძალიან ძლიერი აღმოჩნდა. მიმაჩნია, რომ **საქართველოში სასწრაფოდ რამდენიმე დიდი ფსიქიატრიულია ასაშენებელი.**

„საერთო გაზეთი"

*— ჩვენ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, ვინც მხარი დავუჭირეთ ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“, ველოდებით დანაპირების შესრულებას! —* ***აცხადებს რეჟიმის მიერ ნაწამები სულხან მოლაშვილის ძმა, პოლიტპატიმარი თორნიკე მოლაშვილი და იმ ადამიანებს მიმართავს, ვინც არჩევნების გაყალბებაზე საუბრობს:***




## თორნიკე მოლაშვილი:

# დროა, «ქართული ოცნება» დანაპირების შესრულებას შეუდგეს!






— უპირველეს ყოვლისა, მადლობა, რომ გახსოვართ და საშუალებას გვაძლევთ, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან ჩვენი სიმართლეც ვთქვათ, პასუხი გავცეთ საქართველოს შინაურ თუ გარეულ მტრებს, რომლებიც მიზანმიმართულად ცდილობენ ამ ქვეყნის განადგურებას. ახლა ლოიალობის კი არა, მოქმედების დროა და რაც შეიძლება მალე ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას! ყველა, ვინც დღეს უცხოელი კურატორების დავალებით არჩევნების შედეგს აპროტესტებს და ამბობს, ქვეყნის სათავეში რუსული ხელისუფლება არისო, საქართველოს მტერია!

**— უცხო ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკაში ხელს აფათურებენ, ევროპელი ლიდერები არიან, საითაც ჩვენ წლებია, მივისწრაფვით...**

— ეს ხალხი ევროპისათვის ისეთივე სამარცხვინო ლაქაა, როგორც საქართველოსთვის ნაციონალური მოძრაობა! **სად იყვნენ მაშინ ეს ე.წ. ევროპელი ლიდერები, ჩემს ძმას ციხეში რომ აწამებდნენ?** ერთადერთი **მათიას იორშმა** დაგმო სულხანის წამება, სხვას არავის ამოუღია ხმა იმ გაუგონარ უსამართლობაზე.

ხომ ხედავთ, როგორ იჭაჭებიან **მიხაილ როთი** და **ოლაფ შოლცი.** მთელი გერმანია თავზე დაემხოთ და საქართველოსთვის იცლიან. მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ერს არ სჭირდება ადამიანის პატივისცემასა და თავისუფლებაზე ლექციების კითხვა. განსხვავებული ორიენტაციის ხალხი ისტორიულად ყოველთვის იყო, მათ შორის, საქართველოშიც, მაგრამ არავინ მივარდნია და უტაკებია თითი თვალში, გეი ხარო... რაც უნდათ, ის უქნიათ, თუ სურთ, ჟირაფს დააჯდნენ თავზე, მაგრამ ერის გარყვნის უფლებას ქართველი ხალხი არავის მისცემს! **თუ სულხანის მწამებელი არის დემოკრატიის შუქურა და ბიძინა ივანიშვილი — რუსი ოლიგარქი, ასეთი არც ევროპა მინდა, არც — ამერიკა და არც — რუსეთი!**

ევროპიდან ჩამოთრეულ და რუსთაველზე მორბენალ ევროპელ ვაი-პოლიტიკოსებს პირდაპირ ვეუბნები: **თქვენ ხართ მედროვეები და კორუმპირებულები! საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას აღარ სჯერა თქვენი ყალბი დემოკრატიისა და მეგობრობის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგვიმტკიცეთ, რომ საქართველოში არჩევნები გაყალბდა!**

**— მარტო ე.წ. ოპოზიცია და ევროკავშირის ლიდერები არ გაჰყვირიან არჩევნების გაყალბებისა და ევროპული გზიდან გადახვევის შესახებ, ეს ბოდვა ნაცებმა ხალხის გარკვეულ ნაწილსაც დააჯერეს.**

— კიდევ ერთხელ ვკითხულობ — სააკაშვილის მმართველობის დროს, როცა სტრატეგიული ობიექტები რუსეთზე სხვისდებოდა, ეს ევროპული გზა იყო და ახლა მივექანებით რუსეთისკენ? რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ადამიანთა გარკვეული ნაწილი ნაცების პროპაგანდის მსხვერპლია. ჩემმა მეზობელმა ისიც კი მითხრა — ფეესბეს თავისი კაბინეტი აქვს იმელის შენობაშიო. წარმოგიდგენიათ, როგორ აქვთ ადამიანებს ტვინი გამორეცხილი?!

ხალხო, იცით, ვინ საუბრობს დღეს არჩევნების გაყალბებაზე და ვინ ეპოტინება ხელისუფლებას? სულხან მოლაშვილის მწამებლები, ვინც ახალგაზრდა ბიჭები სასიკვდილოდ გაიმეტა! კარგით, არ მოგწონთ „ქართული ოცნება“ და გსურთ, წავიდეს ხელისუფლებიდან, ვის უგდებთ ხელში საქართველოს, ამ ნაძირალებს?! ვინ გინდათ, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს — გახარია, რომელიც ამათზე უარესი მოღალატეა?

**— ოპოზიციის დიდი ნაწილი, მათ შორის, ხაზარაძე და გახარია ნაციონალებთან თავს არ აიგივებს...**

— აბა, ვინა ვართო? **გვარამიაც, მელიაც, ჯაფარიძეც და ხაზარაძეც** ნაციონალების თითებზე წამოცმული თოჯინები არიან. **ბოკერია, სააკაშვილი, მერაბიშვილი თუ ადეიშვილი** მეტ-ნაკლებად ჩუმად იმიტომ არიან, რომ ხალხს მათზე მეტად ეზიზღება. ერთი წუთით წარმოიდგინეთ მაგათი ხელისუფლებაში მოსვლა — 7 ნოემბერი და 26 მაისი მონაგონი იქნება. ის გათხოვილი ევროპელი კაცები კი, დღეს რომ დემოკრატიას გვიწუნებენ, მეორე დღესვე გამოვლენ და იტყვიან — ხალხიც უნდა დაეხოცათ და მიტინგიც უნდა დაერბიათ, სხვანაირად წესრიგი ვერ დამყარდებოდაო. საკუთარი ოჯახის ტყავზე მაქვს გამოცდილი ეს ყველაფერი და იმიტომ ვამბობ!

შვილებო, დებო, ძმებო, მეგობრებო, ახლობლებო, მუხლებზე დაჩოქილი გთხოვთ, კარგად გაეცნოთ უახლეს ისტორიას, როგორ აწამებდა, აუპატიურებდა და კლავდა სააკაშვილის რეჟიმი ხალხს, როგორ ართმევდნენ ბიზნესებს, რას უშვრებოდნენ პატიმრის ცოლებს, აღარაფერს ვამბობ მიწა-წყლის გაყიდვაზე. **მათთან ერთად აქციაზე დგომა კი არა, მათთვის გამარჯობის თქმაც სირცხვილია!** ნუ იმეორებთ თუთიყუშივით მათ სიტყვებს, არჩევნები გაყალბდა, რუსეთისკენ მივდივართო. ნუ გამოაყენებინებთ თავს ბრმა იარაღად! გაიხსენეთ, რას გაიძახოდნენ წინა არჩევნებზე და რა მოხდა შემდეგ? ერთმანეთს ძლივს ასწრებდნენ საკანონმდებლო ორგანოში შესვლას. განცხადებებიც კი დაწერეს — დაგვიბრუნეთ ხელფასებიო... დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები: დღესაც ასე მოიქცევიან ეს ვაჭრუკანები და „ქართულ ოცნებას“ შეასწრებენ პარლამენტში!

აქვე ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ მივმართავ:

**მოსახლეობის უმრავლესობამ იმიტომ დაგიჭირათ მხარი, რომ ქართულ ნიურნბერგის პროცესს ელოდება. ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა ავიტანოთ რამდენიმე ასეული მოღალატისა და მტრის პარპაში?**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## ქვირგვინოსნები

**ედუარდ გვენეტაძე**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციას **აიძულებენ, რომ ახლა აქციებზე გავიდნენ, კარვები გაშალონ** და ა.შ., თორემ დარწმუნებული იყავით, **გვარამიას, ხაზარაძეს, ხოშტარიას, ჯაფარიძესა** და სხვებს სულაც არ უნდათ ამ სიცივეში კარავში კოტრიალი.

„რეზონანსი“

**გიორგი კახიანი**
*„ქართული ოცნების“ წევრი*



არჩევნებმა გვანახა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს ჩვენს პოლიტიკას, საზოგადოება მიიჩნევს, რომ **გამჭვირვალობა და ბავშვების ლგბტ პროპაგანდისგან დაცვა** მნიშვნელოვანია.

„პირველი არხი“

**სოსო გიორგაძე**
*„საქპატენტის“ თავმჯდომარე*



თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ **„არასრულწლოვანთა და ოჯახური ღირებულებების დაცვის“ კანონი** პირდაპირ თანხვედრაშია როგორც გაეროს დეკლარაციასთან ადამიანის უფლებების მიმართულებით, ასევე ევროპულ კონვენციასთან.

„TV იმედი“

**ნიკა ჩიტაძე**
*პოლიტოლოგი*



არაა გამორიცხული, რომ პრეზიდენტობაზე **თვითონ ბიძინა ივანიშვილმა იყაროს კენჭი,** რადგან ის უკვე სხვა რომელიმე კანდიდატს აღარ ენდობა. მისი ინიციატივა იყო როგორც **გიორგი მარგველაშვილის,** ისე **სალომე ზურაბიშვილის** კანდიდატურა და არცერთმა არ გაუმართლა.

„რეზონანსი“

# როდის მოვიცილებთ



## გელა ნიკოლაიშვილი:

## დეკემბრის ბოლოდან, მაქსიმუმ, დამდეგი წლის 15 იანვრამდე საქართველოს ახალი პრეზიდენტი ეყოლება!

***სალომე ზურაბიშვილს, რომელიც უცხოეთიდან მართული კრიმინალური ოპოზიციის ერთადერთი დასაყრდენია, ვადა გაუვიდა, მაგრამ უფლებამოსილებას ახალი პრეზიდენტის არჩევამდე შეინარჩუნებს. — ამიერიდან ქართველი ხალხი პრეზიდენტის არჩევნებში არ მონაწილეობს, რადგან ახალი წესი ამოქმედდა — გვითხრა უფლებადამცველმა და ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა:***

— 1991 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველოს მოსახლეობამ პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** საყოველთაო კენჭისყრით აირჩია, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 594 810 (სამი მილიონ ხუთასოთხმოცდათოთხმეტი ათას რვაასათი) იყო. აქედან არჩევნებში მონაწილეობა დიდმა უმრავლესობამ — **2 978 247**-მა ამომრჩეველმა მიიღო, ხოლო მათგან ზვიად გამსახურდიას ხმა მისცა **2 565 362**-მა მოქალაქემ, რაც თითქმის **87 პროცენტს** შეადგენდა. საქართველო იმ პერიოდში პირწმინდად ამერიკული მოდელის მიხედვით საპრეზიდენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბდა, რომელშიც პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარ ბერკეტებს ფლობდა. მას შემდეგ საქართველოს მრავალი განსაცდელი გადახდა. ქვეყანაში მოსახლეობის და ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაც მკვეთრად შემცირდა. ასე, მაგალითად, უკანასკნელმა საყოველთაო წესით არჩეულმა პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა 1 147 627** (მილიონ ასორმოცდაშვიდი ათას ექვსასოცდაშვიდი) ხმა მიიღო, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 59.52%-ს შეადგენდა.

**ზვიად გამსახურდიას** დამხობის შემდეგ ქვეყანაში რამდენჯერმე შეიცვალა ხელისუფლების გადანაწილების მექანიზმებიც. ამჟამად ჩვენი ქვეყანა ყალიბდება **საპარლამენტო რესპუბლიკად,** რომელსაც **პრეზიდენტიც** ეყოლება, მაგრამ ამ პრეზიდენტს შეუდარებლად შეზღუდული უფლებამოსილებები ექნება, ვიდრე საპრეზიდენტო რესპუბლიკაში გააჩნია.

**— და მაინც, როდის მოვიცილებთ საბოლოოდ რეზიდენტ ზურაბიშვილს და როდის გვიწევს ახალი პრეზიდენტის არჩევნები?**

— პრეზიდენტი აღარ აირჩევა საყოველთაო არჩევნებით. **ახალ პრეზიდენტს საქართველოს მოსახლეობა კი არა, კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, „საარჩევნო კოლეგია" აირჩევს.** მაგრამ არ არის განსაზღვრული კონკრეტული რიცხვი, თუ როდის უმთავრდება საპრეზიდენტო ვადა 2018 წელს საყოველთაო არჩევნებით არჩეულ ძველ პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს, რომელიც ძველებისგან განსხვავებული ვადით — 5-ის ნაცვლად 6 წლით ავირჩიეთ. უკვე მაშინ იყო ცნობილი, რომ შემდგომი პრეზიდენტი აღარ იქნებოდა საყოველთაო წესით არჩეული, შესაბამისად, ზუსტად იმის განსაზღვრა, როდის გაუვა ვადა სალომე ზურაბიშვილს — შეუძლებელი იყო.

**პრეზიდენტის არჩევნების დღის განსაზღვრა ახალი პარლამენტის უფლებამოსილებაა, რაც პირველი სესიიდან 45 დღის ვადაში უნდა განახორციელოს**. სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობა კი იმ მომენტში დასრულდება, როცა ახალი პრეზიდენტი დადებს ფიცს. ასე რომ, სალომე ზურაბიშვილის ვადის დასრულების ათვლის წერტილი იმაზეა დამოკიდებული, პირველი სესია როდის გაიმართება!

**— რეზიდენტული ოპოზიცია პარლამენტის ლეგიტიმურობის აღიარებას ამ მიზნით აჭიანურებს?**

— ვერ გააჭიანურებენ, რადგან კანონით არის განსაზღვრული, ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა რა ვადაში უნდა შეიკრიბოს. კანონში გაწერილია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან პარლამენტის არჩევნების შემაჯამებელი შედეგების გამოცხადების შემდეგ **(რაც არაუგვიანეს 21 ნოემბრისა უნდა მოხდეს)** პრეზიდენტმა 10 დღის ვადაში უნდა დანიშნოს პარლამენტის პირველი სხდომა — ანუ მე-3 ან თუნდაც შეუძლია მე-10 დღეს — როგორც მოესურვება.

**— მაგრამ პრეზიდენტი, რომელიც რეზიდენტი ოპოზიციის თანამზრახველია, ცხადია, პარლამენტის პირველ სხდომას არც მე-10 დღეს დანიშნავს?**

— უკვე ცხადია, რომ ასე მოხდება. ამიტომ კონსტიტუცია რომ არ დაირღვეს, პარლამენტს მოუწევს, მოიცადოს ის 10 დღე, რომელიც პრეზიდენტს პირველი სესიის მოსაწვევად აქვს განსაზღვრული. ამის შემდეგ პარლამენტი უკვე პრეზიდენტის განკარგულების გარეშეც შეიკრიბება. არჩევნების შემაჯამებელი შედეგების გამოცხადების კვალდაკვალ **ცესკო** არჩევნებში გამარჯვებულ თითოეულ პირს მისცემს პარლამენტის წევრობის დამადასტურებელ დოკუმენტებით მოწმობას და პარლამენტარები უკვე საკუთარი ინიციატივით შეიკრიბებიან პირველ სესიაზე, სადაც პარლამენტის უფლებამოსილებას ცნობენ. ეს გახლავთ პრეზიდენტის საბოტაჟისთვის გვერდის ასავლელი კანონიერი გზა.

**— როდის დადგინდა, რომ ახალი პრეზიდენტი ხალხის ნაცვლად „საარჩევნო კოლეგიამ" უნდა აირჩიოს და რა გახდა ამ გადაწყვეტილების მიზეზი?**

— კანონში ცვლილებები — ჯერ 2017 წელს, შემდეგ კი — 2018 წელს, უშუალოდ პრეზიდენტის არჩევნების წინ შევიდა. პრეზიდენტის უფლებები შეიზღუდა, დადგინდა, რომ იგი აღარ იქნებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, თუმცა, გამონაკლისის სახით, 2018 წელს არჩეულ პრეზიდენტს უფლებამოსილება 5-ის ნაცვლად, 6 წლამდე გაუგრძელდებოდა, რადგან 2024 წელს პრეზიდენტი უკვე ახალი წესით უნდა არჩეულიყო. შეიძლება ითქვას, კანონი მაშინ პირდაპირ მოარგეს **სალომე ზურაბიშვილს,** რომელიც საქართველოს გარდა საფრანგეთის მოქალაქეც გახლდათ. **კანონში მაშინ ჩაიწერა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირება შეუძლია უცხო ქვეყნის მოქალაქესაც, თუ დარეგისტრირების მომენტისთვის მას შეტანილი აქვს განცხადება იმ ქვეყნის ხელისუფლების მიმართ მოქალაქეობის გაუქმების მოთხოვნით.**

როგორც მოგახსენეთ, საქართველო, რომელიც ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას პერიოდიდან ამერიკული მოდელის მიხედვით კლასიკურ საპრეზიდენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბდა — გადადის საპარლამენტო რესპუბლიკის ყაიდაზე, სადაც პრეზიდენტი არ ირჩევა საყოველთაო წესით და ცვლილებებიც ამით არის განპირობებული. საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნის ტენდენციები სააკაშვილის მმართველობის დასასრულს ჩაისახა. **სააკაშვილიც** საყოველთაო წესით არჩეული პრეზიდენტი იყო, მაგრამ როდესაც მეორე ვადა უმთავრდებოდა, საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნისკენ აიღო გეზი და შესაბამისი ცვლილებები შემოიტანა, **რათა ამჯერად პრემიერ-მინისტრის რანგში დარჩენილიყო ქვეყნის პირველ პირად.** ამ ცვლილებების თანახმად, მთავრობას დანიშნავდა გამარჯვებული პარტია, პრეზიდენტი კი წარმომადგენლობით ფარგლებში და ფორმალურ მთავარსარდლად დარჩებოდა. ასეთი პრეზიდენტი სააკაშვილის შემდეგ **გიორგი მარგველაშვილი** გახდა. ამჯერად კი უკვე სრულ საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადავდივართ, როგორიც ევროპის ქვეყნებშია.

**— ბოლოს და ბოლოს, როდის იქნება საპრეზიდენტო არჩევნები?**

— ყველაზე უკიდურესი ვადა რომ ვიანგარიშოთ, 21 ნოემბერს გამოქვეყნდება ცესკოს საბოლოო დასკვნა. პარლამენტის პირველი სესიის მოსაწვევად პრეზიდენტს 10 დღე დაველოდებით და მერე ახალი პარლამენტი უმისოდაც შეიკრიბება, ანუ ეს უნდა მოხდეს არაუგვიანეს 1 დეკემბრისა. **აქედან 45 დღის ვადაში, ანუ 15 იანვრამდე პარლამენტმა უნდა დანიშნოს პრეზიდენტის არჩევნების დღე.** ასე რომ, ყველაზე ბევრი — 15 იანვარს ახალი პრეზიდენტი ფიცს დადებს და სალომე ზურაბიშვილის უფლებამოსილებაც საბოლოოდ ამოიწურება, თუმცა, ეს გაცილებით ადრეც შეიძლება მოხდეს, თუ პარლამენტი უფრო ადრე დანიშნავს პრეზიდენტის არჩევის დღეს.

**— რას წარმოადგენს „საარჩევნო კოლეგია", რომელმაც მალე საქართველოს ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს?**

— „საარჩევნო კოლეგიაში" შევა 300 ადამიანი. აქედან 150 პარლამენტის წევრი იქნება. მათ ემატება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი **(20 დეპუტატი)**, ასევე აჭარის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი **(21 დეპუტატი)**, რაც ჯამში 191 გამოდის. 300-მდე შესავსებად ამ დელეგატებს ძალზე საინტერესო ფორმულის შესაბამისად დაემატება 109 ადამიანი მუნიციპალიტეტების საკრებულოებიდან. მოგეხსენებათ, ბოლო მუნიციპალური არჩევნები 2021 წელს ჩატარდა და **ყველა პარტიას, რომელმაც ამ არჩევნებში 1-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერი გადალახა** (საკმაოდ ბევრია ასეთი პარტია), **შეუძლია „საარჩევნო კოლეგიაში" დელეგატები წარადგინოს.** ოღონდ პარტიებიდან დელეგატების რაოდენობა განისაზღვრება მუნიციპალურ არჩევნებში მიღებული ხმების პროპორციულად — ვინც მეტი ხმა მიიღო, „საარჩევნო კოლეგიაში" მეტი დელეგატი ეყოლება.

**— მაგრამ ოპოზიცია პარლამენტში შესვლას რომ არ აპირებს?**

— **ოპოზიცია პარლამენტში თუ არ შევა, საპრეზიდენტო არჩევნები მაინც არ ჩაიშლება.** მმართველ პარტიას უკვე ჰყავს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული დელეგატი. გაითვალისწინეთ, რომ




## „ახალ პრეზიდენტს საქართველოს მოსახლეობა კი არა, კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, „საარჩევნო კოლეგია" აირჩევს!"

### კვირგვინოსნები



**ლევან ნიკოლეიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური საქართველოსთვის" წევრი*

იმიტომაც ჰქვია **ოპოზიციას** და ჯერ კიდევ პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილს უსამშობლო,** რომ საქართველოს მოქალაქეების ნების წინააღმდეგ მიდიან.

„იმედინიუსი"



**პაატა დავითაია**
*პარტია „ევროპელი დემოკრატების" თავმჯდომარე*

**ოპოზიციის გადაწყვეტილება სადღეგრძელოების დონეზეა,** რომელსაც ათწლეულებია, ვუსმენ, ვიცი, ვინ იქნება თამადა და როგორ დალევენ დაშლა-არმოშლის სადღეგრძელოს, **რაც პარლამენტში შესვლას ნიშნავს.**

„პალიტრანიუსი"



**გიორგი გობრონიძე**
*საერთაშორისო საკითხთა ანალიტიკოსი*

დარწმუნებით იმაზე ლაპარაკი, რომ არჩევნები მასშტაბურად გაყალბდა, რთულია, რადგან **ოპოზიციის ძალიან ბევრ ხარვეზსაც ვხედავ საარჩევნო კამპანიაში.** ოპოზიციამ იმის 30 პროცენტი გააკეთა რეალურად, რაც უნდა გაეკეთებინა.

„კვირის პალიტრა"



**ანა ბუჩუკური**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის" წევრი*

პარტიის **„გახარია საქართველოსთვის"** პოზიცია უცვლელია და მე-11 მოწვევის პარლამენტს **მათი მხრიდან ლეგიტიმაცია არ ექნება.**

„ინტერპრესნიუსი"

# რეზიდენტ ზურაბიშვილს?



# «ოპოზიცია პარლამენტში თუ არ შევა, საპრეზიდენტო არჩევნები მაინც არ ჩაიშლება!»

მმართველმა პარტიამ 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებში და აჭარის უზენაესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებშიც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. შესაბამისად, „საარჩევნო კოლეგიაში" მუნიციპალიტეტებიდან დელეგატები მმართველ პარტიასაც ეყოლება. რაც შეეხება აფხაზეთს, ბოლოს აფხაზეთის ტერიტორიაზე უზენაესი საბჭო 90-იან წლებში აირჩიეს და მას შემდეგ, გარდაცვლილთა გამოკლებით, იგივე ადამიანები (ოცნი დარჩნენ) არიან. ასე რომ, **„საარჩევნო კოლეგიის" წევრთა რაოდენობა 300-მდე უპრობლემოდ შეივსება, თუნდაც ოპოზიციამ აქაც ბოიკოტი გამოაცხადოს.**

**— როგორია პრეზიდენტის არჩევის წესი?**

— პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს „საარჩევნო კოლეგიის" არანაკლებ 30 წევრს. საზოგადოების, მოსახლეობის ინიციატივა უკვე როლს არ თამაშობს. იგულისხმება, რომ „საარჩევნო კოლეგია" თავად არის საზოგადოების დელეგატი. „საარჩევნო კოლეგიის" სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ნახევარზე მეტი, ანუ, მინიმუმ, 151 დელეგატი. ამის შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატმა რომ გაიმარჯვოს, ხმათა 2/3 უნდა მიიღოს. თუ ამ რაოდენობას ვერც ერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს, განმეორებით არჩევნები ტარდება მხოლოდ პირველ და მეორე ადგილზე გასულ ორ კანდიდატს შორის და გამარჯვებული ხმათა უბრალო უმრავლესობით გამოვლინდება.

**— ოპოზიციამ ახალარჩეული პარლამენტის ლეგიტიმაცია საბოტაჟის ფარგლებში რომ ჩააგდოს, პრეზიდენტის არჩევნებიც ხომ ველარ შედგება და განუსაზღვრელი ვადით ამ პოსტზე ისევ ამჟამინდელი მაჰლაჰუნა დარჩება?**

— ოპოზიცია ამ მიმართულებითაც უძლურია, რადგან 150-წევრიანი პარლამენტის უფლებამოსილად აღიარება 76 ახლად არჩეული დეპუტატის თანხმობაზეა დამოკიდებული და, როგორც წინასწარ არის ცნობილი, მმართველ პარტიას ამაზე ბევრად მეტი (89) დეპუტატი უკვე ჰყავს. ოპოზიციამ თუნდაც საბოტაჟი გააგრძელოს და მათი პარტიული სიით არჩეული დეპუტატები პარლამენტში არ შეუშვას, პარლამენტმა უნდა დაადასტუროს, რომ მათთვის დეპუტატების უფლებამოსილებას აჩერებს. **ბევრიც რომ იყვირონ — არ ვართ ჩვენ პარლამენტის წევრებიო და პარლამენტში არ იარონ — მაინც პარლამენტის წევრებად ჩაითვლებიან!**

**— მაგრამ ოპოზიცია დღეს იმასაც გაიძახის, ხელისუფლება — ეს მე ვარო.**

— მერე რა მოხდა? არსებობს ისეთი დაწესებულებებიც, რომლებში მყოფი ადამიანებიდან ზოგი — ნაპოლეონობას, ზოგი კი მაკედონელობას იჩემებს. მაგრამ მათ პოზიციას აშკარად აკლია ფაქტობრივი მტკიცებულებები. ოპოზიციამ თავადაც კარგად იცის, რომ პარლამენტის ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დაყენების კანონიერი ბერკეტები არ არსებობს. პარლამენტში შეუსვლელობით ისინი მხოლოდ პიარს ეწევიან, თითქოს საქართველოში ერთპარტიული პარლამენტი მოვიდა და დიქტატურა დამყარდა. ამას კი დასავლეთი უმაგრებს ზურგს.

**რაც უნდა ეცადოს ოპოზიცია, 15 იანვრის იქით სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო ვადას მაინც ვერ გაუგრძელებს!**

„საარჩევნო კოლეგიაში" დელეგატების წარდგენაზეც რომ თქვან უარი, ეს კოლეგია 300 წევრამდე მაინც შეივსება, თანაც, არამხოლოდ მმართველი პარტიის, არამედ მუნიციპალიტეტებში 1-პროცენტგადალახული საკმაოდ მრავალი პარტიის დელეგატების ხარჯზე! პირდაპირ გეუბნებით — **დაახლოებით დეკემბრის ბოლოდან, მაქსიმუმ, დამდეგი წლის 15 იანვრამდე საქართველოს ახალი პრეზიდენტი ეყოლება!** კონსტიტუციაში მითითებულია, რომ „საარჩევნო კოლეგიაზე" დებატებიც კი არ უნდა იყოს, არამედ წარდგენილი კანდიდატი არჩევნების დათქმულ დღეს პირდაპირ კენჭისყრაზე უნდა დადგეს, რაც გაჭიანურებას არ ექვემდებარება — კენჭისყრის დროც კი მითითებულია — დილის 9 საათიდან, მაქსიმუმ 14 საათამდე ყველაფერი უნდა დასრულდეს!

**— ამასობაში, ვიდრე ჯერ ისევ პრეზიდენტის სავარძელში ნებივრობს, რა შეიძლება გააფუჭოს ბოროტმა დედაბერმა შაპოკლიაკმა? შეწყალების გზით სააკაშვილის გათავისუფლება მოსალოდნელია?**

— სააკაშვილის შეწყალება ამჟამინდელ პრეზიდენტს მხოლოდ მისჯილ საქმეებზე შეუძლია, თუმცა, რამდენიმე საქმე ისევ გრძელდება და, შესაბამისად, სააკაშვილის გათავისუფლებას ვერ მიაღწევს. ზურაბიშვილი სხვა მიმართულებით ემზადება. საქმე ის გახლავთ, რომ ნოემბრის ბოლოს ევროპარლამენტში საქართველოს საკითხის განხილვაა ჩანიშნული და, როგორც იკვეთება, ეს დრო პარლამენტის პირველი სესიის მოწვევის სავარაუდო თარიღს შეგნებულად დაამთხვიეს. **დიდი ალბათობით, ევროპარლამენტში გაჟღერდება განცხადებები, რომ საქართველოს პარლამენტს ლეგიტიმურად არ აღიარებენ.** ოპოზიციის მუხტის აპოგეაც ამ თარიღზეა გათვლილი — ვინძლო, ევროპარლამენტის წაქეზებითა და ხელშეწყობით შექმნილი არეულობა სისხლიან დაპირისპირებასა და ხელისუფლების დამხობაში გადაზარდონ, ვიდრე საყრდენად ჯერ კიდევ ეგულებათ ამჟამინდელი პრეზიდენტი! ეს იქნება ოპოზიციის უკანასკნელი გაბრძოლება.




საქართველოს ახალი ხელისუფლების ლეგიტიმაციის აღიარების პროცესი უკვე დაწყებულია, დასავლეთიდანაც გაისმა ოფიციალური მილოცვები და ეს პროცესი შეუქცევადია. **არეულობა შეიძლება მოახერხონ, მაგრამ გადატრიალება გამორიცხულია!**

## „არსებობს ისეთი დაწესებულებებიც, რომლებში მყოფი ადამიანებიდან ზოგი – ნაპოლეონობას, ზოგი კი მაკედონელობას იჩემებს, მაგრამ მათ პოზიციას აშკარად აკლია ფაქტობრივი მტკიცებულებები!"

## P.S.

**მასალა უკვე დასაბეჭდად იყო მზად, როდესაც ცნობილი გახდა, რომ პროვოკაციის მიუხედავად** (კომისიის წევრმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან **დავით კირთაძემ** ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს თვალებში შავი სითხე შეასხა), **ცესკომ გამოაცხადა შემაჯამებელი ოქმის შედეგები, რითიც წამმზომი ჩაურთო არჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვის ათდღიან ვადას და, შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების 45-დღიან ვადას პირველი სხდომის გამართვიდან!**

*ესაუბრა*

**ზაზა დავითაია**

## კვირგვინოსნები



**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*

რუსთაველზე აქციებით **ოპოზიცია ხელისუფლების შემცვლელი არ არის.** პარლამენტის ის ნაწილი, რომელსაც წარმოადგენს „ქართული ოცნება" — **ეს არის 89 მანდატი** — ცნობს პარლამენტის უფლებამოსილებას და ამისთვის **76 ხმაც საკმარისია.**

„კვირის პალიტრა"



**ვახტანგ ხმალაძე**
*კონსტიტუციონალისტი*

ვეთანხმები ოპოზიციის გადაწყვეტილებას, **უარი თქვან საპარლამენტო მანდატებზე.** ყველა მექანიზმი უნდა იქნეს ამოქმედებული, რაც ხელს შეუწყობს **ხელახალ არჩევნებამდე მისვლას** და ერთ-ერთი მექანიზმი **პარლამენტის ბოიკოტირებაა.**

„კვირის პალიტრა"



**ზაურ ნაჭყებია**
*პოლიტოლოგი*

**2030 წლამდე,** როდესაც ჩვენ გვპირდებიან გაწევრიანებას, **შეიძლება ევროკავშირი აღარც არსებობდეს.**

„საერთო გაზეთი"



**თამარ ჩიხურდანიძე**
*პარტია „ხალხის ძალის" წევრი*

ევროპელი ლიდერების ყველა განცხადება **გედის სიმღერას** ჰგავს. **მათი პოლიტიკა დამარცხდა ამერიკაში და ეს ახლა მთელ ევროპას მოედება.**

„საერთო გაზეთი"



**პეტრე მამრაძე**
*ანალიტიკოსი*

თურმე, ძირითადი ევროპული ფასეულობა **ბაღებსა და სკოლებში ლგბტ პროპაგანდა** ყოფილა. ეს ტესტია — **თუ ერთნაირსქესიან ქორწინებას მხარს უჭერ, კარი იღება და ევროპაში გიშვებენ.** „საერთო გაზეთი"



# „საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ!“

## ირაკლი წერეთელი:

# ეგრეთ წოდებულმა ოპოზიციამ, რომელიც გათახსირებულ მიხაილ როთს ტაშს უკრავს, მარტო საქართველოს კი არა, მიხეილ სააკაშვილსაც უღალატა!

*ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „Ა-Დ“. 2024 ᲬᲚᲘᲡ №46*

***ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის“ თავმჯდომარე ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ აცხადებს, რომ არავითარი კითხვის ნიშნები საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს არ ახლავს და ის უფრო უკვირს, ოპოზიციამ ამდენი ხმა რომ მიიღო:***




— უპირველეს ყოვლისა, მინდა, ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში **ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲡ** დიდი, ჰეროიკული გამარჯვება მივულოცო! მოგეხსენებათ, გათახსირებულმა, ანტიქრისტიანულმა და გლობალისტურმა ძალებმა ამ საოცარ კაცზე პირდაპირ ნადირობა გამოაცხადეს, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები აღძრეს, ტყვია ესროლეს, მაგრამ მაინც ვერ შეაჩერეს. რაც 2024 წლის 5 ნოემბერს ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებზე მოხდა, ეს არ არის მხოლოდ **ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲝᲜᲐᲚᲓᲘᲡ** გამარჯვება, ეს ყველა ვაჟკაცის, ქრისტიანის, კონსერვატორისა და ტრადიციონალისტის გამარჯვებაა სატანიზმზე, უღმერთობაზე, ბოროტებასა და უკეთურობაზე! **ᲙᲐᲛᲐᲚᲐ ᲰᲐᲠᲘᲡᲡ** რომ გაემარჯვა, ამერიკას თავი მოეჭრებოდა. ასე რომ, **ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲛᲐ** თავისი გამარჯვებით ჩემთვის საყვარელი ამერიკელი ერი ისტორიული სირცხვილისგან იხსნა!

**— რა გამოწვევების წინაშე დგას პრეზიდენტი ტრამპი?**

— ტრამპის წინაშე ორი უმთავრესი გამოწვევაა — ომი ახლო აღმოსავლეთში და ომი უკრაინაში! თქმა არ უნდა, რომ ტრამპი ისრაელს დაეხმარება, რაც შეეხება უკრაინის ომს, აქ უფრო რთულად არის საქმე, რადგან საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ შეერთებული შტატების გარდა, მთელი გლობალური დასავლეთი ბოთე სახელმწიფოთა კონგლომერატია, რადგან 33 სახელმწიფომ სამწლიან ომში ერთი რუსეთის დამარცხება ვერ შეძლო! აქედან გამომდინარე, **ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲛ** კეთილი ინებოს და ტრ...ი **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** დადოს! ამდენი ფული და შეიარაღება მისცეს და რუსეთს თავის ტერიტორიაზე არათუ ვერ მოერია, არამედ ჩემთვის უძვირფასესი და ულამაზესი უკრაინა მიწასთან არის გასწორებული!

**— ჩვენ, ქართველებს, ამ ომში რომ მიგვერეკებოდნენ, ამაზე რას იტყვით?**

— ვერავის ვერაფერს დავაბრალებ, მაგრამ ვისაც დაუმტკიცდება, რომ საქართველოს უკრაინის ომისკენ ექაჩებოდა, ყველა უნდა ვამხილოთ! **ᲨᲔᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲒᲐᲛᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲔᲕᲠᲝ-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲑᲣᲩᲐᲓ ᲐᲒᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲯᲝᲖᲔᲤ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲡ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠ ᲝᲚᲐᲤ ᲨᲝᲚᲪᲡ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲛᲐᲙᲠᲝᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲣᲡᲙᲡ ᲓᲐᲣᲬᲔᲡᲓᲔᲗ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ!** მათ შეარცხვინეს არამარტო ამერიკა, არამედ მთელი გლობალური დასავლეთი, როცა უკრაინა ომისკენ გააქეზეს და კრიტიკულ სიტუაციაში საჭირო დახმარება არ აღმოუჩინეს.

ტრამპი რომ ამერიკის პრეზიდენტი ყოფილიყო, უკრაინაში ომი არ დაიწყებოდა. ასე რომ, როგორც კი საპრეზიდენტო უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება, მივმართავ, რომ საქართველოს ორი სიკეთე გაუკეთოს — სასწრაფოდ გადატვირთოს ურთიერთობა თბილისთან და შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დადოს პირდაპირი, ორმხრივი ჩარჩო-ხელშეკრულება სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ, რის შემდეგაც უშუალოდ დონალდ ტრამპმა პირადად უნდა უზრუნველყოს საქართველოს გაწევრიანება ნატოში!

**— ევროკავშირში გაწევრიანებაზე რას იტყვით?**

— საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ! ცალკეულ ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობას ყოველთვის მხარს დავუჭერ, მაგრამ **ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲡᲝᲓᲝᲛ-ᲒᲝᲛᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲗᲐᲮᲡᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲪᲘᲢᲐᲓᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲐᲠᲧᲘᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲩᲐᲛᲝᲐᲥᲪᲘᲝᲡ!**

**— აქედან გამომდინარე, ევროკავშირის რვა წევრი ქვეყნის პარლამენტების საგარეო საქმეთა და უშიშროების კომიტეტების თავმჯდომარეთა თბილისში ვიზიტსა და 11 ნოემბერს ოპოზიციის მიტინგზე გამოსვლას როგორ აფასებთ?**

— სამწუხაროდ, ეგენი არიან ევროპის შემარცხვენელი პედე...ტები! **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** როგორც ვიცი, გერმანელი **ᲛᲘᲮᲐᲘᲚ ᲠᲝᲗᲘ** ორჯერ არის გათხოვილი... ეტყობა, ამ ბოლო დროს საქართველოში ხშირ-ხშირად იმიტომ ჩამოდის, რომ დემოკრატიას კი არა, კაი დიდ პალოს ეძებს! სხვათაშორის, როგორც მითხრეს, გათახსირებული **ᲛᲘᲮᲐᲘᲚ ᲠᲝᲗᲘᲡ** თბილისში გახშირებული ვიზიტები დაკავშირებულია მის მესამედ გათხოვებასთან. იგი შეყვარებულია ერთ-ერთ ქართველ ოპოზიციონერზე, რომელსაც ცოლად უნდა გაჰყვეს!

**— მაინც რომელ ქართველ ოპოზიციონერზე აპირებს მიხაილ როთი გათხოვებას?**

— ამას ცოტა ხანში გეტყვით! **ᲛᲘᲮᲐᲘᲚ ᲠᲝᲗᲘ** მესამედ გათხოვების გარეშეც მიირთყამს, რისი მირთყმაც უნდა... ეს ნაძირალა არის გერმანიისა და

## „ნაცმოძრაობა ასე სამარცხვინოდ როგორ უძვრება იმ მურთხს, რომელსაც სალომე ზურაბიშვილი ჰქვია და რომელიც სააკაშვილს არ ათავისუფლებს?“



### კვირგვინოსნები

**ბეჟან ჯავახია**
*ისტორიკოსი*



**მერაბიც და ზვიადიც** სრულიად განსხვავებული ადამიანები იყვნენ. **ხელისუფლება სულ ცდილობდა მათ დაპირისპირებას,** მაგრამ ვერ მოახერხა. როცა **ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ** თბილისში ჩამოვიდა, თავის კაბინეტში **ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ** სურათი დაკიდა — **ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ** ჩამოაცილა.

„სარკე“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ოპოზიციის პოლიტიკური ნარატივი, რომ ისინი **არ მისცემენ ლეგიტიმაციას საქართველოს პარლამენტს,** არის საკუთარი თავის კიდევ ერთხელ დაცინვა, ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს **ხალხის გარდა არავის ლეგიტიმაცია არ სჭირდება.**

„იმედინიუსი“

**თამარ ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



მაქვს ინფორმაცია, რომ **რამდენიმე ოპოზიციონერს პარლამენტში შესვლა უნდა.**

„ახალი თაობა“

**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — ერთობის“ წევრი*



ოპოზიციიდან **პარლამენტში თუ ვინმე შევა,** ქართული პოლიტიკიდან ამოიძირკვება.

„ახალი თაობა“

მთელი ევროპის სირცხვილი!

**— ჰოდა, სამარცხვინო როთი იმ ადგილიდან რომ მოძღვრავს ქართველობას, სადაც ეროვნული მოძრაობის დროს ზვიადი, მერაბი და თქვენ იდექით, ეს რაღა უბედურებაა?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის წინ მდებარე მოედანი და კიბეები მდუღარე წყლითა და სპირტით უნდა დამუშავდეს და გაიწმინდოს! ეს წმინდა ადგილი, რომელსაც მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია ამშვენებდნენ, დღეს ამ არაკაცებისა და პედე...ტების **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** მიერ არის წაბილწული! ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: პარლამენტის წინ მდუღარე და სპირტი უნდა მოისხას და კატეგორიულად აიკრძალოს იმ პარტიებისა და ხალხის მისვლა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს **„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“,** რომელიც კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს! თუ ამ კანონს ხელისუფლება შეეხება და გააუქმებს, მაშინ მას წაკუზული და ჩახდილი ლაჩრების ხროვად გამოვაცხადებ! ეს არის კანონი, რომელიც კბილებით უნდა დავიცვათ. უფრო მეტიც, ეს გახლავთ ჩვენი ეროვნული ღირსების შეუვალობის მანდატი და ტრამპსაც უნდა მოვუწოდოთ, საკანონმდებლო ჩარჩოში მოაქციოს მის საყოველთაოდ აღიარებული კონსერვატიული, ქრისტიანული და ზნეობრივი პრინციპები!

**— ამ კანონის გაუქმებას ხელისუფლება კი არა, ე.წ. ოპოზიცია გეგმავს. თუ აქამდე დუმდნენ, არჩევნების შემდეგ უკვე დაიწყეს საუბარი, რომ ეს კანონი გასაუქმებელია!**

— სწორედ ამიტომაც ტრადიციული ქართული ზნეობიდან გადასულ ოპოზიციას ჩვენს წინა ინტერვიუში სამართლიანად ვუწოდე გათახსირებული **პედ-ოპოზიცია!**

**— რა კომენტარს გაუკეთებთ იმას, რომ ვინმე ნენე დალაქიშვილი სოციალურ ქსელებში ასეთ რამეს წერს — მინდა, ისე ვუყვარდე ვინმეს, როგორც მიხაილ როთს უყვარს საქართველო! ტელეწამყვანმა ეკა კვესიტაძემ კი პირდაპირ მოითხოვა, რომ როთს საპატიო თბილისელობა მიანიჭონ!**

— ეს არის ქართველი ქალის ღირსებისა და სახის დაკარგვა! ამის შესახებ **ირაკლი ქადაგიშვილთანაც** მქონდა საუბარი და მიმაჩნია, რომ

**კონსერვატორმა და პატრიოტმა ქართველებმა უახლოეს მომავალში უნდა ჩავატაროთ დიდი დემონსტრაცია, სადაც გამოვიტანთ დავით აღმაშენებლის, ილიას, ზვიადის, მერაბის, რეიგანის, ტრამპის**



**„დონალდ ტრამპმა თავისი გამარჯვებით ჩემთვის საყვარელი ამერიკელი ერი ისტორიული სირცხვილისგან იხსნა!“**

**სურათებს, ხოლო როთსა და მისთანა გათახსირებულებს სულ კინწისკვრით გავაძევებთ საქართველოდან!**

**კამალა ჰარისს** ეყო ვაჟკაცობა და მიუხედავად საშინელი დაპირისპირებისა, გამარჯვება მიულოცა თავის იდეურ მტერს — **დონალდ ტრამპს.** ქალი რომ მამაკაცებს აჯობებს და დამარცხებას ვაჟკაცურად აღიარებს, ამის შემდეგ ვის რა ველაპარაკო? მე მაინც **მამუკა ხაზარაძეზე** მწყდება გული... მას მთელი ცხოვრება სოლიდურ კაცად



მივიჩნევდი და მეგონა, დ'არტანიანი უყვარდა. როგორც ვატყობ, **მამუკა დ'არტანიანი კი არა „ცაგატანემ“ ხაზარაძე ყოფილა!** ეგეთი რაღაც როგორ შეიძლება? მართალია, მაგ დეგენერატებმა წააგეს, მაგრამ, საერთო ჯამში, 61 მანდატი აიღეს, რაც სახუმარო შედეგი არ არის... მაგრამ მთელი უბედურება, იცით, რა არის? ამ ე.წ. ოპოზიციამ, რომელიც გათახსირებულ **მიხაილ როთს** უკრავს ტაშს, მარტო საქართველოს კი არა, **მიხეილ სააკაშვილსაც** უღალატა!

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ!**

— სააკაშვილს „ვარდების რევოლუციის“ გამო პატივისცემას ღიად ვუდასტურებდი, მაგრამ შემდეგ, რაც მისმა ხელისუფლებამ იკადრა და ომი წააგო, კარგის თქმა როგორ შეიძლება? თან, იცით, რა მაღიზიანებს? **ნაცმოძრაობა ასე სამარცხვინოდ როგორ უძვრება იმ მურთხს, რომელსაც სალომე ზურაბიშვილი ჰქვია და რომელიც მიხეილ სააკაშვილს არ ათავისუფლებს?** ამას ნიშნის მოგებით არ ვამბობ, მაგრამ ჩემი და საქართველოს



**„ბიძინა უჭკვიანესი კაცია და საქართველოში საპრეზიდენტო კაცი ვერ ნახა? შალვა პაპუაშვილი და კახი კალაძე კაცები არიან და საპრეზიდენტოდ ან ერთს და ან მეორეს რას უწუნებდა?“**

ცოდვა მიეცა **ბიძინა ივანიშვილს** ჯერ პლასტელინ **მარგველაშვილისა** და მერე **სალომე ზურაბიშვილის** გაპრეზიდენტებისთვის! ბიძინა უჭკვიანესი კაცია და საქართველოში საპრეზიდენტო კაცი ვერ ნახა? **შალვა პაპუაშვილი და კახი კალაძე** კაცები არიან და საპრეზიდენტოდ ან ერთს და ან მეორეს რას უწუნებდა? კახის მთელი მსოფლიო იცნობს, ოთხი შვილის მამაა, ღირსეული ქართველი კაცის ყველა პარამეტრს აკმაყოფილებს.

**— იქნებ ბიძინა ივანიშვილზე საშინელი ზეწოლა იყო, რათა პრეზიდენტად დასავლეთის სპეცსამსახურების აგენტები — ჯერ მარგველაშვილი და შემდეგ ზურაბიშვილი გაეყვანა?**

— ეჭვი არ მეპარება, რომ ასეთი ზეწოლა იქნებოდა, მაგრამ განა დღეს ნაკლები ზეწოლაა ივანიშვილსა და ამ ხელისუფლებაზე? თუ ახლა დგანან ვაჟკაცურად, მაშინაც დამდგარიყვნენ. სხვათაშორის, **კახი კალაძემ** ერთხელ კაცურად თქვა — დიდი შეცდომა იყო პრეზიდენტობის კანდიდატად ჩვენი პარტიის არაწევრის დასახელებაო. მერე ამ თემაზე ლაპარაკი შეწყდა, ეტყობა, არ მოეწონათ, რადგან პოლიტიკურად წამგებიანი იყო.

**— ფაქტია, რომ ე.წ. ოპოზიციას ამ ხელისუფლების დამხობა უნდა. როგორ ფიქრობთ, გაბედავენ და შეძლებენ ამის გაკეთებას?**

— ერთხელ **ნინო ბურჯანაძის** ქმარმა **ბადრი ბიწაძემ** თქვა და ვეთანხმები — ამქვეყნად ყველაფერს ერთი ადგილის ქონა უნდაო. არადა, გადატრიალების თავი და ღირსება დღეს საქართველოში მოქმედ ძალებს არ გააჩნიათ! კატეგორიული წინააღმდეგი ვარ გადატრიალებისა, მითუმეტეს, ჩატარებული არჩევნების შემდეგ, მაგრამ ამ ოპოზიციას არაფრის თავი არა აქვს, ესენი არიან სამარცხვინო ადამიანები!

**— ადრეც გკითხეთ და კიდევ გეკითხებით — თქვენ ამ არჩევნებში რაიმე კითხვის ნიშნებს ხედავთ?**

— **არავითარი კითხვის ნიშნები საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს არ ახლავს. უფრო ის მიკვირს, ამ ოპოზიციამ ამდენი ხმა როგორ მიიღო!** ხელისუფლებას ამ არჩევნების გაყალბება რომ სდომოდა და შეძლებოდა, ოპოზიციას ამდენ ხმას არავითარ შემთხვევაში არ დაუწერდნენ, მაგრამ, რადგან არსებობს ყოვლად საზიზღარი და დაუსაბუთებელი ბრალდება არჩევნების გაყალბების შესახებ, ხელისუფლება ვალდებულია, ყველაფერი გამოიძიოს!

**— ხელისუფლებამ გამოძიება დაიწყო, მაგრამ ოპოზიციას არჩევნების გაყალბების შესახებ არავითარი ხელშესახები ფაქტები არა აქვს!**

— ხელისუფლებას არ ევალება თავისი უდანაშაულობის მტკიცება, მან კეთილი ინებოს და უტყუარი მტკიცებულებებით დაამტკიცოს, რომ არჩევნები გაყალბდა! მოვუწოდებ ხელისუფლებას: კანონმდებლობაში შეიტანოს ცვლილებები და სიცრუისა თუ ცილისწამების მიზანმიმართული გავრცელება-ტირაჟირება დასჯადი გახადოს! ეგრე სად არის, შენ რაც გინდა, ის აბრახუნო? სიცრუისა და სიბილწის ჭაობი დააყენეს ამ სამარცხვინოებმა რუსთაველზე. **როგორც ვიცი, ორივე ოპოზიციურ ძალას, რომელიც ამ პარლამენტში აირჩიეს, ე.წ. „ლგბტ მანიფესტზე“ ხელი აქვს მოწერილი.** მე მათ მივიჩნევ მენტალურ პოლიტპედე...ტებად! **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** და ვთვლი, რომ პარტიები, რომლებიც სოდომიას ქადაგებენ, საქართველოს პარლამენტში არ უნდა იყვნენ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ანა დოლიძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წევრი*



**მთავრობა არალეგიტიმურია, არჩეული ვართ ჩვენ!**

„პირველი არხი“

**გიორგი ვაშაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



„ქართული ოცნება“ არის თვითმარქვია, **ხელისუფლება ვართ ჩვენ.**

„რეზონანსი“

**მამუკა ხაზარაძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ლიდერი*



მოქალაქეებს როდესაც ართმევენ მთავარ უფლებას, **მათ მაგივრად აძლევენ ხმას და პარავენ მომავალს,** იქ რევოლუციაც, აჯანყებაც და ყველაფერი მისაღებია.

„პირველი არხი“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**ტრამპი** აქ დემოკრატიისთვის თავს არ მოიკლავს, მაგრამ **ჩვენს ქვეყანაში ჩინეთის და რუსეთის გავლენებს** ნამდვილად შეეწინააღმდეგება.

„ახალი თაობა“

**რომან გოცირიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



მხოლოდ ოპოზიციის მიერ **ხალხის გამოყვანაზე იმედების დამყარება არის ილუზია.** ხალხი როცა ოპოზიციის მონდომების გარეშე გამოდის, მაშინ აქვს მას განსაკუთრებული ძალა.

„ახალი თაობა“

# ათწლეულების განმავლობაში ზუსტად ტკეპნა ადგილი, საიდანაც უფალმა ზეცაში გამგზავრება განუსაზღვრა!

***14 ნოემბერს, საქართველოს კანონიერი უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის დღეს, თბილისის ცენტრში, მთავრობის სახლის წინ, 9 აპრილის მემორიალთან, უბედურება დატრიალდა. კაცი, რომელიც სულითა და ხორცით ამ ადგილს იყო მიჯაჭვული, მოულოდნელად დაეცა და სული განუტევა. იგი საქართველოს ეროვნული მოძრაობის ცნობილი წარმომადგენელი, ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კერვალიშვილი გახლდათ, ხოლო მისი ამქვეყნიდან გასვლა — გასაოცრად სიმბოლური და მრავლისმთქმელი აღმოჩნდა, ვინაიდან ზუსტად იქ გარდაიცვალა, სადაც 33 წლის წინათ საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოს დამოუკიდებლობა დასრულდა!***

თავადაც 9 აპრილის მოვლენების მონაწილე იყო და მთელი ცხოვრება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მიუძღვნა. ეტყობა, უფალმა კონკრეტული მისიაც დაუსახა, რომელიც სწორედ 9 აპრილის ტრაგედიის ადგილთან იყო დაკავშირებული. ალბათ, ამიტომაც, როგორც სანთლის ალს — ფარვანა, ისე დასტრიალებდა ამ საკრალურ ტერიტორიას, სადაც საპროტესტო აქციები იმართებოდა და არცთუ იშვიათად, მისი ხელმძღვანელობით.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვისაც ადრეული ასაკიდან დაიწყო ბრძოლა და დისიდენტურ მოძრაობაში ჩაერთო. ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა გიორგი კერვალიშვილის თანატოლები კარიერულ გზას კომკავშირსა და კომპარტიაში იკვალავდნენ, თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ეკლესიაში ატარებდა და ერთხანს პირადად პატრიარქის სტიქაროსანიც გახლდათ!

სიკვდილის წინა დღეს, 13 ნოემბერს, ეროვნული გმირის **მერაბ კოსტავას** ეზოდან 100 ათასი მოწამის ხსენების დღე ვიდეომიმართვით მიულოცა საქართველოს; ისე მხნედ და ბედნიერად გამოიყურებოდა, ვერავინ წარმოიდგენდა, მიწიერი სიცოცხლის დათვლილი საათები რომ ჰქონდა დარჩენილი:

*„საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ღვთის მცნებების ერთგულების და მამულის თავისუფლებისთვის წმინდა ბრძოლაა, რომელსაც უამრავი ქართველი შეეწირა. უამრავი წმინდა მოწამე ჰყავს ჩვენს სამშობლოს, რომელთა დაღვრილმა სისხლმა საქართველო გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა. ჩვენი ვალია, წმინდა მოწამეები ფორმალურად კი არ მოვიხსენიოთ, არამედ მათი გზა და საქმე გავაგრძელოთ! **34 წლის წინ, პირველად საქართველოს ისტორიაში, არასაბჭოური არჩევნებით არჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნა, რომელმაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ეროვნული მოძრაობის თავკაცი ზვიად გამსახურდია აირჩია.** სესიამ მიიღო კანონი „გარდამავალი პერიოდის შესახებ“, ასევე საქართველოს რესპუბლიკის სახელწოდების შესახებ, გერბის და ჰიმნის შესახებ. **სამწუხაროდ, არცერთი ამ კანონთაგან დღეს ძალაში აღარ არის! გაუქმებულია დროშა, რომლის ქვეშაც საქართველომ ორჯერ მოიპოვა დამოუკიდებლობა!“***

ეს იყო სიტყვები მისი ბოლო ვიდეომიმართვიდან...

მეორე დღეს კი, 14 ნოემბერს, საქართველოს კანონიერი უზენაესი საბჭოს პირველი სესიის **(1990 წლის 14 ნოემბერი)** გამართვიდან 34 წლის აღსანიშნავად მთავრობის სახლთან მივიდა და, რაოდენ გასაოცარია, სწორედ იმ 9 აპრილის მემორიალის მახლობლად აღმოხდა სამშობლოსთვის ბრძოლის მომენტში დაეცა, როგორც ვალმოხდილი მეომარი! **ალბათ, საკუთარი თავისათვის უფრო უკეთეს სიკვდილს ვერც ინატრებდა, რადგან იმ ადგილზე დაასრულა სიცოცხლე, რომელსაც ვერ სცილდებოდა, რომელსაც სულიერად და ფიზიკურად დასტრიალებდა!**

აქ იყო, როცა გადამთიელებმა ქართველ მოწამეთა წმინდა სისხლი დაღვარეს;

აქვე იდგა, როცა ზუსტად 2 წლის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა!

აქ დადგა, როცა შეცდენილმა ქართველებმა საქართველოს დამოუკიდებლობას ტყვია ესროლეს!

აქ იდგა, როცა რეჟიმების ძალოვნები პირდაპირი მნიშვნელობით ხელჩართულ ბრძოლას უმართავდნენ გულანთებულ და დაუმორჩილებელ მამულიშვილებს.

შეუპოვრად და ჩვეული პირდაპირობით ამ ადგილიდან ამხელდა რეჟიმებს ანტიქართულ საქმიანობაში!

იმ დღესაც, 2024 წლის 14 ნოემბერს, ზუსტად ეშმას ამფსონებისგან ამ საკრალური ადგილის გასათავისუფლებლად მივიდა, ვითარცა შეფიცული ჯვაროსანი მეომარი — ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად... მაგრამ უფალმა თავისთან უხმო და მისი ნაბრძოლი, ღვთის ერთგული სული ამ ადგილიდან გაიყვანა ბრძოლით დაღლილი სხეულიდან!



გიორგი კერვალიშვილი გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე. 2024 წლის 13 ნოემბერი





**გარშემო ყველა ცუდად იყო. სასწრაფო დახმარების ბრიგადის წევრები, რომლებმაც გიორგი ვერ გადაარჩინეს, სანაცვლოდ თავს მის მეგობრებს დასტრიალებდნენ და წნევას უზომავდნენ...**



**თავი თანამებრძოლის ზურაბ პატარაიას მუხლზე ჰქონდა ჩამოდებული, როცა ბობოქარმა პიროვნებამ უკანასკნელად ამოისუნთქა და დამშვიდდა...**

სხეულიდან თავისი მართალი სული, სადაც არაერთი ბრძოლა გადაუტანია რეჟიმების წინააღმდეგ!

**გიორგი კერვალიშვილი** „ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის“ პრეზიდენტი იყო, ათწლეულების მანძილზე უამრავი გაჭირვებულისა და დაჩაგრულის, უამრავი პატიმრისა და პოლიტპატიმრის ქომაგი და იმედი. რეჟიმების მამხილებელ არაერთ აქციას ედგა სათავეში და გულნათელ და გულმართალ კაცად დარჩა.

ჰოდა, ამ ნათელმა გულმა ვერ აიტანა ის ჭუჭყი და სიბილწე, რაც 30-ზე მეტი წლის განმავლობაში მოეძალა სამშობლოს...

**გიორგი კერვალიშვილი** პირდაპირი მნიშვნელობით სამ-



**9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი გურამ მაქაცარია ახალშესვენებულ მეგობარსა და მეომარს კაცისთვის უჩვეულო ცრემლებითა და ბღავილით დასტიროდა!**



თავი თანამებრძოლის **ზურაბ პატარაიას** მუხლზე ჰქონდა ჩამოდებული, როცა ბობოქარმა პიროვნებამ უკანასკნელად ამოისუნთქა და დამშვიდდა... ხოლო მეორე თანამებრძოლი, კანონიერი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი **გურამ მაქაცარია** ახალშესვენებულ მეგობარსა და მეომარს კაცისთვის უჩვეულო ცრემლებითა და ბღავილით დასტიროდა.

გარშემო ყველა ცუდად იყო. სასწრაფო დახმარების ბრიგადის წევრები, რომლებმაც გიორგი ვერ გადაარჩინეს, სანაცვლოდ თავს მის მეგობრებს დასტრიალებდნენ და წნევას უზომავდნენ...

დიდხანს ესვენა მისი დაღლილი და უსიცოცხლო სხეული სკამზე, 9 აპრილის მემორიალის სიახლოვეს. მერე თეთრი ზეწარი გადააფარეს.

## გიორგი კერვალიშვილი ამ ადგილას და ზუსტად ამ წმინდა დღეს უნდა მომკვდარიყო და მოკვდა კიდეც!

*ზაზა დავითაია*

№55 (291) ★ 2024 წლის 18 ნოემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან



# 20 ნოემბერი

## ნიურნბერგის პროცესის დაწყების თარიღია – ნაცების დასასრულის დასაწყისი გერმანიაში!



**„ქართული ოცნება“ ვალდებულია, შეასრულოს თავისი წინასაარჩევნო დაპირება და ქართული ნიურნბერგის პროცესით დაასრულოს ნაცების ანტისახელმწიფოებრივი ბოგინი საქართველოში!**



**მიხეილ კვესელავა**

# ას ერგასის

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-54*

## ღვთაებრივი სიშმაგე

კაცობრიობა შეაძრწუნა „განგების მიერ მოვლენილი“ ფიურერისა და მისი თანამოაზრეების საშინელმა ბოროტმოქმედებამ. ამან ჰიტლერის ყოფილი მეხოტბენიც დააბნია. ნიურნბერგის პროცესზე, თითოოროლა გამონაკლისის გარდა, ყველა ბრალდებული ჰიტლერს სდებდა ბრალს „გერმანელი ხალხის ამ გაუგონარ ტრაგედიაში“.

მერე რომ იკითხეს, ერთი კაცი ამდენ დანაშაულს როგორ ჩაიდენდაო, დაასახელეს სხვებიც: ჰიმლერი, გებელსი, ჰაიდრიხი, ლეი, — მხოლოდ ისინი, ვინც უკვე აღარ იყო ცოცხალთა შორის.

— დიდება შენდა, ღმერთო! — წამოიძახა ამაზე ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა, — როგორ ხდება, რომ დამნაშავეა ყველა, ვინც მოკვდა, ხოლო, ვინც ცოცხალი დარჩა, უდანაშაულოა!

ჰიტლერის პირადი ექიმები ამტკიცებდნენ, რომ „მათი ფიურერი“ ისტერიის მძიმე ფორმით იყო დაავადებული., ვინც მის ავადმყოფობას სწორი დიაგნოზი დაუსვა — პარკინსონის სენი, მაშინვე გააქრეს. „ისტერიას“ კი ვერაფერი მოუხერხეს, რადგან ყველა ხედავდა, ლაპარაკის დროს რომ დორბლი მოსდიოდა და ტუჩებს წამდაუწუმ ცხვირსახოცით იწმენდდა.

**იმასაც ამბობდნენ, ასეთი ისტერიული ლაპარაკით იქარვებდაო ეპილეფსიის შეტევებს. ხედავდნენ კიდეც, ისტერიის დროს იატაკზე რომ ეცემოდა და, გერინგის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხალიჩას სძოვდა“.**

მისი მეხოტბენი ამას იმით „ხსნიდნენ“, თითქოს იგი „ზეშთაგონებულად შეშლილი“, ანუ „შმაგი გენიოსი“ იყო. „სწავლული“ ბიოგრაფებიც ხელს უწყობდნენ ასეთი მითის გავრცელებას. ისინი ერთმანეთს უკავშირებდნენ ცნებებს: „შეპყრობილი“, „შეშლილი“, „შმაგი“, „ეპილეფტიკი“ და სხვა ამგვართ. ექიმები აცხადებდნენ, რომ სიტყვა „ეპილეფსია“ სწორედ „შეპყრობილობას“ ნიშნავსო“. ძველი რომაელების განმარტებით, ეპილეფსიით დაავადებულნი შეპყრობილი არიანო „ზებუნებრივი, რაღაც ღვთაებრივი ძალით“. ჰიპოკრატეს გადმოცემით, ეპილეფსია ღმერთების — კიბელას, პოსეიდონის, ჰეკატას, აპოლონისა და არესის სახელებს უკავშირდება.

თუ ასეთ ანალოგიაზე მიდგება საქმე, ჰიტლერის „ღვთაებრივი ეპილეფსია“ უფრო ომის ღმერთის — არესის სიშმაგეს ჰგავდა. ქადაგების დროს ის ცოფსა ჰყრიდა, წარამარა მუშტებს იქნევდა, ფეხებს იატაკზე აბრახუნებდა, თვალები სულ გადმოცვენაზე ჰქონდა და სახეზედაც ხვითქი გადასდიოდა. მერე ექსტაზში რომ შევიდოდა, საყელოს ჩამოიგლეჯდა და ისეთი შემზარავი ხმით გაჰკიოდა, რომ მსმენელები გაოგნებული შეჰყურებდნენ ან მასთან ერთად შმაგობდნენ და მართლაც შეშლილებივით ღრიალებდნენ:

— ჰაილ ჰიტლერ!..

არა „გაუმარჯოს ჰიტლერსო“, არამედ „დიდება ჰიტლერსო“, რადგან სიტყვა „heil“-ის ზედსართავი ფორმა „heilig“ „ღვთაებრივს“, „დიდებულს“ ნიშნავს.

იუმორის მოყვარულები კი სულ სხვა ინტონაციას აძლევდნენ ამ „heil“-ს. საკმარისი იყო, აქ ოდნავ შეეცვალათ მახვილი, რომ იმავე სიტყვას ბრძანებით კილოში სულ სხვა მნიშვნელობა — „განკურნეთ!“ — მისცემოდა. ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ „გაბედეს“ და თქვეს კიდეც: როცა ბრბო ღრიალებდა Heil Hitler-ს, ერთნი „დიდება ჰიტლერს“ გულისხმობდნენ, მეორენი კი — „უმკურნალეთ ჰიტლერსო“...

...ჰიტლერი კი სულაც არ აპირებდა მკურნალობას. პირიქით, ამაყობდა კიდეც თავისი „ღვთაებრივი სიშმაგით“. იქნებ ამიტომაც იყო, რომ გებელსი ასეთ ადგილებს უკითხავდა მას პლატონის „თიმეოსიდან“:

— წონასწორობის მქონე სულს არ შეუძლია, იყოს ჭეშმარიტად შთაგონებული. შთაგონება მაშინ წარმოიშობა, როცა პიროვნების უნარი შებოჭილია ძალით, ავადმყოფობით ან რამე ღვთაებრივი გაცოფებით.

ასეთი გაცოფება ჰიტლერს არ აკლდა. ამიტომაც მოსწონდა იმავე პლატონის სიტყვები:

— ვინ მოგახსენათ, რომ სიგიჟე (სიშმაგე) ბოროტებაა. პირიქით, ღმერთების მიერ შთაგონებული სიგიჟის მეოხებით გვენიჭება ჩვენ უდიდესი მადლი.

ამგვარი „შთაგონების“ შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ. ის კი ფაქტია, რომ რომაელების აზრითვე, „შეშლილებს“, ანუ „შეპყრობილებს“ „ველური გამოხედვა ჰქონდათ, ტუჩებზე დორბლი მოსდიოდათ და ავადმყოფური ხმით ლაპარაკობდნენ“...

...სწორედ ასეთი იყო ტრიბუნაზე ადოლფ ჰიტლერი. როგორც ჩანს, იგი აქაც კალიგულას ჰბაძავდა. არც მსოფლიოს უდიდესი ორატორის ციცერონის სიტყვები იყო მისთვის უცნობი:

— ადამიანში არის ღვთის მიერ მონიჭებული უნარი წინათგრძნობისა, რაც დამოუკიდებელია სხეულისაგან. როცა მათ შორის კონფლიქტი მწვავდება, თითქოს სული სწყდება სხეულს და ირყევა საშინელ ექსტაზში, რასაც ეწოდება სიშმაგე (furor).

მე უამრავი დოკუმენტური ფილმი მინახავს, სადაც ჰიტლერის გამოსვლებია გადაღებული. კასელისა და ნიურნბერგის სამსახურებრივ კინოდარბაზებში რამდენიმე დღე ვუყურებდი და ვუსმენდი მის ისტერიულ ქადაგებებს მიტინგებსა და რაიხსტაგის სხდომებზე. ალბათ, ბევრ თქვენგანსაც უნახავს ცალკეული ეპიზოდები ასეთი ფილმებიდან. ეს მართლაც სიგიჟეა, ჯოჯოხეთის ყრიალობა, ვალპურგის ღამე ბროკენის მთაზე ან უარესი... „შმაგი ორატორის“ ისტერიული კივილი, „ქვენა გრძნობებს აყოლილი ბრბოს“ ღრიალი, მუშტების ქნევა და იარაღის ჟღარუნი.

## კალიგულა ისტორიაში

ბრალმდებლებმა ნიურნბერგის პროცესზე უამრავი დოკუმენტი წარადგინეს იმის დასადასტურებლად, თუ რა დიდი მსხვერპლი მოჰყვა ჰიტლერის ამგვარ სიშმაგეს. გაიხსენეს მსოფლიოს უდიდესი დესპოტები, კეისრები თუ იმპერატორები, მაგრამ ყველაზე ხშირად ისევ იმ ვაი-კალიგულას სახელი ისმოდა ტრიბუნალის სხდომათა დარბაზში.

— კალიგულას სული გაგრძელდა ისტორიაში და ჩვენს საუკუნეს მოევლინა როგორც ადოლფ ჰიტლერი, — თქვა ინგლისელმა ბრალმდებელმა შოუკროსმა და სენეკას ნათქვამიც გაიმეორა:

— ბუნებამ კალიგულა იმიტომ შექმნა, რომ ეჩვენებინა, სანამდე შეიძლება მივიდეს უსაზღვრო გახრწნილებისა და ძალაუფლების ერთიანობა.

ამით, ალბათ, უნდოდა, თავისი ზიზღი გამოეხატა თანამედროვეობის „ყავისფერი კალიგულასადმი“, მაგრამ რა აზრი ჰქონდა ამას, როცა თვით ის „კეისრის ნაბუშარი“ ამაყობდა ამგვარი შედარებით. „მე კალიგულა ვარო“, რამდენჯერ უთქვამს ჰიტლერს სისხლისა და ნგრევის სიშმაგით შეპყრობილს!..

ჟან ანუის პიესის „კალიგულას“ ფინალში შეთქმულთა მიერ სასიკვდილოდ დაჭრილი იმპერატორი არც თავის ბედისწერას ნებდება და ჯოჯოხეთური ხარხარით ყვირის:

— მე ცოცხალი ვარ!..

ისევ ჩასცემენ მახვილს, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... კალიგულა კი მაინც ხარხარებს:

— მე ისევ ცოცხალი ვარ!..

კალიგულები არა კვდებიან. ისინი სახეს იცვლიან მხოლოდ და კვლავ ხანგრძლივობენ ისტორიაში. ვაი-კალიგულამაც ეს მიაწყევლა შთამომავლობას...

შეთქმულები კვლავ მახვილსა სცემენ მას, მაგრამ ისევ ის შემზარავი ხრიალი ისმის:

— მე მაინც ცოცხალი ვარ!..

დაბოლოს:

როცა მახვილს გულში გაუტარებენ, უკვე უკანასკნელად, მაგრამ ისევ ზიზღნარევი ხარხარით წამოიძახებს:

— ისტორიაში, კალიგულა, ისტორიაში!..

ეს ძახილი დღემდე ანათემად მოსდევს კაცობრიობას...

...და აი, იმ დროიდან ჩვენს დრომდე მოდიან დიდი თუ პატარა კალიგულები, რომელნიც ისევ იმ ავბედითი რომაელი იმპერატორის პოზაში დგანან და სულს უხუთავენ კაცობრიობას. თქვენ თვითონ ადვილად გამოიცნობთ მათ, როცა ვაი-კალიგულას ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს გაიხსენებთ:

არ იქნა და ვერ დაცხრა პატივმოყვარეობა კალიგულასი. იგი შთააგონებდა რომაელებს, რომ ღმერთები კვლავ ჩამოვიდნენ დედამიწაზე და განსახიერდნენ კალიგულას პიროვნებაში. მან რომში ჩამოაზიდვინა ოლიმპოს ღმერთების ძეგლები, ყველას თავი წაამტვრია და საკუთარი დაადგმევინა მათ ადგილას. მერე უზენაესი ღვთაების ტაძარი ააგებინა, რომელშიც იუპიტერის ნაცვლად თავისივე ძეგლი დადგა. ამის შემდეგ ხალხს აიძულებდნენ, „იუპიტერი“ ეწოდებინათ მისთვის. თუ თვითონ, როგორც მოკვდავს, ეჭვი შეეპარებოდა ამაში, მუშტის ქნევით ემუქრებოდა არსთა გამგებელს:

— მეც ამამაღლე, თორემ!..

ზოგჯერ ზევს-იუპიტერის ტანისამოსს იცვამდა, მისი ქანდაკების გვერდით დგებოდა და თავის პალადინებს ეკითხებოდა:

— ვინ უფრო დიადია, მე თუ ის?

კარის მსახურებს კალიგულასი უფრო ეშინოდათ, ვიდრე ღმერთებისა, და, „რა თქმა უნდა, თქვენო“, — შეჰღაღადებდნენ მას... მხოლოდ აპოლესი შეაწუხა სინდისის ქენჯნამ, ოდნავ შეყოყმანდა და პასუხის გაცემა დაუგვიანა.

იგი მაშინვე მოაკვლევინა კალიგულამ.

მისი ხასიათი იყო მისივე დემონი. რასაც ხედავდა, ყველაფერი თავისი უნდოდა, ყოფილიყო. იმას სწუხდა მხოლოდ, მთვარე რომ არ იყო მისი თანამწოლი. ღამღამობით მთვარეულივით დაბორიალობდა სასახლის ბაღში და სარეცელისაკენ მოუხმობდა ცის მნათობს. მთვარე, რა თქმა უნდა, ყურს არ უგდებდა მის ხვეწნასა და მუქარას. იგი დიდებულად მიცურავდა ცის უზარმაზარ სივრცეში. შეურაცხყოფილი კალიგულა კი შეპყრობილივით ღრიალებდა, შმაგობდა და მოითხოვდა, ბორკილდადებული მომგვარეთო მთვარე საწოლში... თან იმას სწუხდა, ძალა რომ არა ჰქონდა, მზე დასავლეთიდან ამოეყვანა... სულ იმის ფიქრში იყო, შეუძლებელი როგორ ექცია შესაძლებლად: უნდოდა, ზღვები მიწით ამოევსო, მთები მინდვრებთან გაესწორებინა, მინდვრებზე კი მთები დაედგა, სასახლეები მიუვალ ადგილას აეგო ან ზღვიდან ამოეყვანა.

იგი შეპყრობილი იყო მკვლელობის ჟინითა და ტანჯვის საზიზღარი სიტკბოებით. საკუთარი ხელით აწამებდა „დამნაშავეებს“ და ერთობოდა „მხიარული სიკვდილის“ გამოგონებით.

— მე ვაიძულებ ტანჯვას, იხარხაროს ჩემს წინაშე, — ამბობდა იგი. თუ შვილს კლავდა საშინელი წამებით, მამას აიძულებდა, ეყურებინა, მერე კი გვერდით მოისვამდა და უბრძანებდა, მხიარული სახე მიეღო.

— შეიძლება, თვალები დავხუჭო? — გაუბედა მას კაიუსმა, როცა მის ვაჟს კლავდნენ.

კალიგულამ ჯერ შვილი მოაკვლევინა, მერე — „თავხედი მამა“. სისასტიკე იყო მისი სტიქია, ამისათვის შესთხოვდა ღმერთებს, „განავრცეთ ჩემში პირუთვნელი სისასტიკეო“. კლავდა კი ნელ-ნელა, რომ დამტკბარიყო მომაკვდავთა აგონიით. მისი აღმზრდელი ტიბერიუსი ამბობდა, „მე ვზრდი მორიელს საკუთარი თავისა და ქვეყნის დასაღუპადო“. დაიღუპა კიდეც. კალიგულამ რომ მოაწამვლინა იგი, თვითონ ბალიში დაადო სახეზე, დააწვა და გაგუდა. საკუთარი ძმაც აღარ დაინდო, აღარც მშობლები და დები. იმით ამაყობდა, სისხლის აღრევის შედეგი რომ იყო, და თვითონაც მრუშობდა საკუთარ დებთან. წვეულებაზე რომელიმე პატრიციუსის მეუღლე თუ მოეწონებოდა, ყოველგვარი მორიდების გარეშე გაიყვანდა მეზობელ ოთახში, მერე ისევ „გამხიარულებულ“ ქმარს მიჰგვრიდა და აიძულებდა, მადლობაც ეთქვა.

ჰიტლერიც მუდამ აღგზნებული იყო, ღამის კოშმარები აწუხებდა, რაღაც აშინებდა, არ აძინებდა, ვერ იტანდა მარტოობას. მის ოთახთან დღედაღამ ყარაულობდნენ ესესელები. მსახურს, როგორც წესი, ზედ კარებთან ეძინა.

როცა ჰიტლერი წამოიყვი-



**კალიგულები არა კვდებიან. ისინი სახეს იცვლიან მხოლოდ და კვლავ ხანგრძლივობენ ისტორიაში. ვაი-კალიგულამაც ეს მიაწყევლა შთამომავლობას... შეთქმულები კვლავ მახვილსა სცემენ მას, მაგრამ ისევ ის შემზარავი ხრიალი ისმის: — მე მაინც ცოცხალი ვარ!..**

# დღე

რებდა, თუ ვინმე იმავე წამს არ გაჩნდებოდა მასთან, სულ დასაბმელი ხდებოდა: წამოვარდებოდა, სადღაც გაქცევას აპირებდა, მაგრამ მცველი ესესელები სტაცებდნენ ხელს და უკანვე შეათრევდნენ ოთახში. ისინი შეძრწუნებული იყვნენ თავიანთი ფიურერის საქციელით, მაგრამ რა ექნათ, ასეთი მოვალეობა ჰქონდათ დაკისრებული... ჰიტლერის მდგომარეობა კი თანდათან რთულდებოდა. დაღამებიდან გათენებამდე ბოლთას სცემდა ოთახში ან ლოგინზე ჩამოჯდებოდა და რაღაც გაუგებარ სიტყვებს ისროდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად. მერე რომელიმე კუთხეს მიაშტერდებოდა და შექსპირის შეშინებული ედგარივით იწყებდა ყვირილს:

— ჰი... ჰი... ჰი... ის აქ იყო ახლა, აქ, აი, აქ!.. — მიცვივდებოდნენ, დააწყნარებდნენ, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ წამოვარდებოდა:

— ეგერ! ეგერ! კუთხეში! ვინ არის ის? ვინ არის?.. — თან ხტოდა, ფეხებს მიწაზე აბარტყუნებდა. ეუბნებოდნენ, იქ არავინ არისო, მაგრამ მაინც არა ცხრებოდა, ბორგავდა, შიშისაგან ძაგძაგებდა... მერე გაყუჩდებოდა, წამოწვებოდა კიდეც, მაგრამ ჩქარა ისევ წამოხტებოდა და თავიდან იწყებოდა ყველაფერი...

ბოლოს, სულ აიღო ღამით ძილზე ხელი. ზამთარი იყო თუ ზაფხული, იჯდა ნაპოლეონივით ბუხართან და საუბრობდა ან განკარგულებებს იძლეოდა... დასაძინებლად კი მხოლოდ გარიჟრაჟისას მიდიოდა და, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, 12 საათამდე ვერავინ გაბედავდა მის გაღვიძებას...

... ყველასათვის დიდი სატანჯველი იყო ეს „ღამის სერობანი“, განსაკუთრებით მანდილოსანთათვის, მაგრამ რა უნდა ექნათ! ლაპარაკის დროს ჰიტლერი ყველას თვალყურს ადევნებდა, მისმენენ თუ არაო. და თუ ვინმეს შენიშნავდა, სხვა რამეზე ფიქრობსო, ვაი მის დღესა და მოსწრებას!. სულ ცეცხლის ალში გაატარებდა.

იმ დღესაც მოხდა ასეთი ინციდენტი. ჰიტლერმა შეამჩნია, რომელიღაც სტუმარი რომ არ უსმენდა: ისე, თავისთვის ფიქრობდა რაღაცას. შენიშნა თუ არა ეს, მაშინვე შეწყვიტა ლაპარაკი და ფიქრებში წასულ სტუმარს უყვირა:

— რაზე ფიქრობთ თქვენ ახლა?

იმ საცოდავს შიშისაგან თავგზა სულ აებნა, მაგრამ ისეთი ეშმაკი აღმოჩნდა, რომ მაინც მოახერხა გველის ხვრელში გაძრომა:

— რაზედაც თქვენ, ჩემო ფიურერო! — წამოიძახა მან და სახეზე ნაძალადევი ღიმილი გამოისახა.

— მე ახლა ძაღლებზე ვფიქრობ, ჩემო კარგო, ძალიან მიყვარს ძაღლები! — მიუგო ჰიტლერმა გესლიანად, მაგრამ არც მისი სტუმარი დაიბნა:

— მეც, ჩემო ფიურერ, — მიაგება მან თავის გაგულისებულ ფიურერს, — ჩემი აზრით, ძაღლები ყველაზე საყვარელი ცხოველებია დედამიწის ზურგზე!..

ამაზე ჰიტლერს ცალყბად გაეცინა, ხელი ჩაიქნია და ისევ მიუშვა წისქვილს წყალი...

გავიდა რამდენიმე საათი. სტუმრები ძილს ებრძოდნენ, მაგრამ მაინც დაძაბულად უსმენდნენ მის პაროქსისტულ ქადაგებას... მერე, როცა ფანჯრებს გარიჟრაჟი შემოადგა, მაგდა გებელსი მივიდა ჰიტლერთან, ნაზად მოჰხვია ხელი და ალერსიანად უთხრა:

— თქვენ კიდევ ერთი მძიმე დღე განვლეთ, ჩემო ფიურერო, ხვალ გელით ახალი!..

სუფრა აიშალა. ღონემიხდილი სტუმრები ჯარისკაცებივით ჩამწკრივდნენ. ჰიტლერმა ჩამოუარა ყველას, ხელი ჩამოართვა, დაემშვიდობა და წავიდა დასაძინებლად...

## ნაწლავთა ღეჭვა...

ჯერ კიდევ პროცესი მიმდინარეობდა ნიურნბერგში, რომ ლანდსბერგის ციხის დათვალიერებისას ამერიკელმა ოფიცერმა შემოგვთავაზა: იმ ადგილს გიჩვენებთ, სადაც დამნაშავეებს სიკვდილით ვსჯითო... ყველამ უარი თქვა, არ გვინდაო. ზოგმა ზიზღითაც შეაქცია ზურგი იმ ოფიცერს... ის კი მაინც დაჟინებით მოითხოვდა, გავყოლოდით, თან გვარწმუნებდა, ასეთ რამეს სხვაგან ვერსად ნახავთ, ვერც ასეთ ტექნიკას სიკვდილისასო...

„განხალხების“ ტექნიკური პროცესი მომაგონდა... თითქოს ცნობისმოყვარეობამაც შემიპყრო, მაგრამ თავი მაინც ვერ დავძლიე და მეც უარი ვუთხარი. ამერიკელს გაუკვირდა:

— თქვენ ოფიცერი ბრძანდებით, სამხედრო პირი, და როგორ შეგიძლიათ, ამაზე უარი თქვათ?!

მერე მხრები აიჩეჩა და დაუმატა:

— მე უკეთესი წარმოდგენისა ვიყავი რუსი ჯარისკაცის ნერვების სიმაგრეზე... სტალინგრადი...

— კარგი, მოვდივარ! — აღარ დავამთავრებინე მე, რადგან ის ზედმეტ ნებას აძლევდა თავის ენას. მერე, ჩემდა გასაოცრად, ფრანგმა პროფესორმა ეტიენმა და მისმა ქალიშვილმა ლიზელოტამაც გამოთქვეს თანხმობა და... გავყევით...

— აი, ეს კედელი, — გვიხსნის ამერიკელი, — ვისაც დახვრეტას ვუსჯით, აქ ვაყენებთ, ერთს ან რამდენიმეს ერთად. ჩამოსახრჩობად კი ამ ჭანგებს ვიყენებთ, კედელს რომ აქვს დატანებული... ესეც რადიოქსელია...

ეტიენს ეგონა, ყური მატყუებსო და ისედაც გაფითრებულმა იკითხა:

— რა აქვს დატანებული?!

— რადიოქსელი, — განაგრძო მშვიდად ოფიცერმა. — აქედან ხდება გადაცემა ვაშინგტონში, ნიუ-იორკში და ამერიკის სხვა ქალაქებში!

— რისი გადაცემა?! — გაგიჟდა ეტიენი და სახეზე ახლა ლურჯმა ფერმა გადაჰკრა. ლიზელოტა კი (რომლის შესახებ მერე გიამბობთ) იდგა და ცბიერად იღიმებოდა...

— სიკვდილით დასჯის პროცესისა! — განმარტა ამერიკელმა. — ვისაც აინტერესებს დასახვრეტის ან ჩამოსახრჩობის უკანასკნელი წამოძახილის მოსმენა ან მათი სასიკვდილო აგონიის გაგონება, შეუძლია, თავისივე სახლში მოუსმინოს. ამას რომელიღაც ფირმა განაგებს და დიდძალ შემოსავალსაც იღებს...

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ეტიენი შებრუნდა და ზურგი შეაქცია კედელს. ლიზელოტა კი ისევ ცბიერად იღიმებოდა... მერე მეც გამოვბრუნდი და... პირდაპირ ტრიბუნას მოვკარი თვალი...



იბეჭდება შემოკლებით. ტ. I „თემიდას თვალები“

ოფიცერმა მაშინვე დაიწყო:

— ეს ტრიბუნა მაყურებლებისთვისაა, იმათთვის, ვისაც სიკვდილით დასჯის ყურება უნდა. ასეთი კი ბევრია. ზოგჯერ აქ ქალაქის ბურგომისტრიც მოდის თავისი მეუღლითა და ნაცნობებით... აი, აქ დადგებიან და უყურებენ... გერმანელებს უყვართ ამგვარი სანახაობა...

...იმის ნაამბობმა მე რომელიღაც ქალაქის ბურგომისტრის ამბავი გამახსენა, რაზედაც გენერალი ბრედლი წერს თავის მემუარებში. მან ეიზენჰაუერი და გენერალი პატონი წაიყვანა საკონცენტრაციო ბანაკის სანახავად, რომელიც სულ რამდენიმე საათის წინ დაიკავეს მოკავშირეთა სატანკო ნაწილებმა. მიუახლოვდნენ თუ არა ბანაკს, სიმყრალის საშინელი სუნი ეცათ. ნახეს ორმოში ჩაყრილი გვამები, ჭიაღუები რომ ეხვეოდათ, ძვალზე გადაკრულ გაყვითლებულ კანზე კი ტილები დალოღავდნენ.

მერე, თურმე, უფრო საშინელი სურათიც წარმოუდგათ თვალწინ. ეს იყო ერთი კუთხე ბანაკისა, სადაც პატარა ბავშვები მუცელგამოფატრული გვამებიდან შიგნეულობას ეზიდებოდნენ და...

„იყვნეს ღეჭვად ნაწლევთა...“ როგორც ბიბლიაშია ნათქვამი...

— ეიზენჰაუერი ქაღალდივით იყო გათეთრებული, — წერს ბრედლი, — პატონი კი გვერდზე მიდგა და წაალებინა...

დიდხანს ვერ გაუძლეს ამ საშინელებას და წავიდნენ. თან განკარგულება გასცეს, იმ ქალაქის ბურგომისტრი და მოსახლეობა მოეყვანათ აქ და ეჩვენებინათ ყველაფერი ეს...

...ბურგომისტრი თავისი მეუღლითურთ მოვიდა ბანაკის დასათვალიერებლად: ნახეს კიდეც ყველაფერი... და შინ რომ დაბრუნდნენ, ვენები გადაიჭრეს...

მეორე დღეს ორივენი აბაზანაში ნახეს მკვდარი...

ეიზენჰაუერს უთქვამს ამაზე, „მადლობა ღმერთს, კიდევ დარჩენილან პატიოსანი გერმანელებიო“.

ის რადიოფიცირებული სასაკლაო კი მის „სამფლობელოში“ იყო მოწყობილი...

ასეა. როცა ამერიკელი ბრალმდებლები ნიურნბერგში კაცთმოყვარეობასა და მშვიდობას იცავდნენ, ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ყუმბარები ააფეთქეს და სამასი ათასი კაცის სიცოცხლე იმსხვერპლეს...

ეს ამბავი მთავარმა სამხედრო დამნაშავეებმა ნიურნბერგის ციხეში გაიგეს. თითქმის ყველას გაუხარდა. მართალია, ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად, მაგრამ მაინც. იყო სინანულიც, თვითონ რომ ვერ მოასწრეს ამის გაკეთება.

— ჩვენ რომ ეს იარაღი გვქონოდა!... — დაიქადნა გერინგმა.

— შეიძლებოდა, ასეც ყოფილიყო, ომის დაწყება რომ არ გვეჩქარა, — დაუდასტურა შპეერმა.

— მაშინ ნახავდნენ ისინი, ვინ ვის მოუწყობდა პროცესს, — დაასრულა თავისი აზრი გერინგმა.

## თეთრი ფერფლი

1944 წლის მიწურულში, ოფიციალური ცნობით, საკონცენტრაციო ბანაკებში ჯერ კიდევ მილიონნახევარზე მეტი პატიმარი იმყოფებოდა. რაც უფრო იკუმშებოდა მესამე იმპერიის ტერიტორია, მათი მდგომარეობა ერთობ აუტანელი ხდებოდა. ჰიტლერელებმა არც იცოდნენ, რა უნდა ექნათ ამდენი ხალხისთვის: დახოცვას ვერ ასწრებდნენ, ევაკუაციაც გაძნელდა სწრაფი უკან დახევის გამო, საკონცენტრაციო ბანაკები კი შეიძლებოდა მოულოდნელად „მტერს“ ჩავარდნოდა ხელთ და ტუსაღები გაეთავისუფლებინათ... ეს კი არ უნდოდათ, რადგან „ჯოჯოხეთის ბინადართა“ შურისძიებისა ეშინოდათ.

რა ზომებს არ მიმართავდნენ ისინი, რომ სიკვდილის კომბინატთა „გამტარუნარიანობა“ გაედიდებინათ, მაგრამ ამდენი „ცოცხალი მასალის“ ფერფლად გადამუშავებას მაინც ვერ აუდიოდნენ. უკვე არავინ იცავდა კრემატორიუმების ექსპლუატაციის დადგენილ რეჟიმს, ტემპერატურასაც ნორმაზე ზევით აყენებდნენ, მაგრამ, ნიცშეს ერთი უცნაური თქმისა არ იყოს, ცეცხლიც იღლება თურმე. პროფესიულ ჯალათთა ფანტაზია კი დაუშრეტელი აღმოჩნდა. ერთერთ საკონცენტრაციო ბანაკში გაზკამერების ტევადობის გასადიდებლად შიშველ ტუსაღებს აიძულებდნენ, ხელები მაღლა აეწიათ და ისე შესულიყვნენ „სადეზინფექციო აბაზანაში“, რომ ძირს დაშვებულ მკლავებს „ზედმეტი ფართობი“ არ დაეკავებინათ. როცა „აბაზანა“ ისე გაიჭედებოდა, რომ ნემსის ჩასავარდნი ადგილი არ იყო, ბავშვებს ზემოთა ხვრელიდან დააყრიდნენ. კარის ჭუჭრუტანიდან მეთვალყურე ესესელს შეეძლო, დამტკბარიყო ამ საოცარი სანახაობით: თითქოს სალოცავად ხელაშვერილ შიშველ ადამიანებს ზემოდან აცვივათ ასევე შიშველი ძუძუმწოვარა ბავშვები — ციური ანგელოზები... მერე სეტყვასავით წამოვა ცისფერი კრისტალები, საწამლავი „ციკლონი“ სწრაფად იხსნება ჰაერში და გაზის ღრუბლები ფარავს ამ ჯოჯოხეთურ სანახაობას. მეთვალყურე ესესელი კი ფოლადის კარებთან რაღაც მხიარულ მელოდიას უსტვენს და უცდის, როდის დამთავრდება ყველაფერი...

მერე ცარცს აიღებს და კრემატორიუმის კარებზე დააწერს ახალმოგონილ სიტყვას „vergasst“ („გაგაზებულია“)...

...ყველაფერს საზღვარი აქვს და ვერც ამგვარი გამოგონებებით მოხერხდა საჭირო რაოდენობის „მასალის ლიკვიდაცია“. თითო სეანსზე ორი ათასი კაცის „გატარება“ ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: ჯერ „მასალა“ უნდა გადაერჩიათ, დაეხარისხებინათ, ტანისამოსი გაეხადათ და დაელაგებინათ. მერე ტყვეები გაზკამერაში მოეთავსებინათ, მოეწამლათ, გვამები გაესინჯათ, ოქროს კბილები და პროთეზები ამოეძროთ, გვამები კრემატორიუმში გადაეტანათ, დაეწვათ და ფერფლი გაეცრათ, სადმე კიდევ ხომ არ დარჩა თითო-ოროლა ოქროს კბილიო..

მოკავშირეთა არმიები კი ახლოვდებოდნენ... დაიწყო ციებცხელება. გაზკამერების გარდა მოაწყვეს იმპროვიზირებული კოცონები... ტუსაღებს ჯერ ხვრეტდნენ, მერე ასეთ კოცონში ყრიდნენ... ცეცხლის ალი და კვამლი ზეცას სწვდებოდა... ადუღებული ქონი მდინარესავით მოედინებოდა... ისმოდა „უკანასკნელი სალუტი სიცოცხლისადმი“ — ასობით თავის ქალა ერთად სკდებოდა... და გარემო იფარებოდა ჯოჯოხეთური კვამლის „ხრჩოლვითა და წუმწუმებითა...“

... ცნობილია, რომ მაიდანეკის საკონცენტრაციო ბანაკში მარტო ერთ დღეს, 1943 წლის 3 ნოემბერს, ამ ხერხით მოსპეს ოცი ათასი ადამიანი, ღრმა მოხუცებით დაწყებული და ძუძუმწოვარა ბავშვებით დამთავრებული. რაგინდ ძალა დაატანოს კაცმა თავს, მაინც ვერა და ვერ იჯერებს, რომ ეს შესაძლებელია, მომხდარიყო მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში და ისიც ევროპის შუაგულში!...

„სიკვდილის ეკონომიკაში“ დაოსტატებულ ესესელებს ხომ არაფრის დაკარგვა არ უნდოდათ. მათ ზედ ბანაკის გვერდით კომბოსტოს უზარმაზარი პლანტაცია ჰქონდათ გაშენებული. ეს პლანტაცია სანიმუშოდ ითვლებოდა, რადგან მიწა ადამიანის ფერფლით იყო გაპოხიერებული და არაჩვეულებრივ მოსავალს იძლეოდა. პლანტაციის გვერდით მიწის ამ „ძვირფასი გასანოყიერებელი მასალის“ მთელი გორები იდგა. ზოგჯერ ქარი დაუბერავდა და ფერფლის კორიანტელი დგებოდა გარშემო. კომბოსტოც ფერფლის სქელი ფენით იფარებოდა, მიწაზედაც ადამიანთა გამომწვარი ძვლები ეყარა, მაგრამ ეს როდი ეზიზღებოდათ ბატონ ესესელებსა და მათ „რესპექტაბელურ ფრაუებს“. ისინი ადამიანის ნეშტით განოყიერებულ კომბოსტოს, ვითომ აქ არაფერიაო, ფერფლს უდარდელად მოაცლიდნენ და გემრიელ კერძებს ამზადებდნენ.



## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# სამახსოვრო

## ბრიყვი პოლიტიკანებისა და არანაკლებ ტუტუცი ექსპერტებისათვის

## ირაკლი გოგავას მიხედვით





ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი და ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი

***ევროპა ყაზახეთიდან და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ყოველწლიურად დაახლოებით 60 მილიარდი ევროს ბუნებრივ რესურსს ყიდულობს. ამ ნედლეულის გარეშე ევროპული მრეწველობა ძველებურად ვერ იმუშავებს და ეკონომიკური ვარდნა გარდაუვალი იქნება. ეს ტვირთი ევროპაში რუსეთის გავლით იგზავნებოდა. დღეს ეს მარშრუტი ევროპისთვის აღარ არის მისაღები და სტაბილური.***

რუკას თუ დავხედავთ, ვნახავთ, რომ **ერთადერთი ალტერნატიული მარშრუტი საქართველოზე გადის.** ეს კი ნიშნავს, რომ ევროპას ისე სჭირდება საქართველო, როგორც არასდროს. აქედან გამომდინარე, **რისკი იმისა, რომ ევროპამ იზოლაციაში მოგვაქციოს, არ არსებობს.** ამიტომ გამოიტანა ხელისუფლებამ „უცხოური ფულის შესახებ“ კანონი სწორედ ახლა.

ჩვენს ინტერესში უდავოდ შედის ევროპასთან ურთიერთობები, მაგრამ **ეს უნდა იყოს დაფუძნებული ქართულ ეროვნულ ინტერესებზე და ამ ურთიერთობებისგან მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ.** დღემდე ასე არ ხდება. ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობაში მეტი ეკონომიკური სარგებელი ევროპას აქვს. ბრიუსელში პრაგმატულად მოაზროვნე კომისრები არიან და სურთ, რომ საქართველოსგან ეკონომიკური სარგებელი შეინარჩუნონ. ჰიპოტეტური წევრობის დაპირება უფრო სახედრის წინ დაკიდებულ სტაფილოს ჰგავს, ვიდრე რეალურ გეგმას. რეალური გეგმა კი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას უნდა გულისხმობდეს და არა იმის მოთხოვნას, რომ **მომეცი სასამართლოზე კონტროლი, აწარმოე მამათმავლობის პროპაგანდა, შეამცირე შობადობა და მიიღე ათასობით მიგრანტი.** თავს მოხვეული „ვაშინგტონის კონსენსუსი“ არ გვაძლევს ეკონომიკური განვითარების საშუალებას. **ამ მიზნით ისინი იყენებენ არასამთავრობო სექტორს და ლიბერალურ მედიას, რომელსაც თავადვე აფინანსებენ. მათი ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველომ არ აწარმოოს სუვერენული პოლიტიკა და ევროპის სარგებელს საფრთხე არ დაემუქროს.**

**რა სარგებელი აქვს ევროპას საქართველოსგან:**

**1.** 300.000 ქართველი ევროპაში მესამედ ფასში მუშაობს;

**2.** ვაჭრობაში წელიწადში 2 მილიარდ ევროს გვიგებენ;

**3.** ევროპული კაპიტალი ქართულ საბანკო სექტორში ზემოგებებზე მუშაობს 23% (ევროპაში 8%);

**4.** იღებენ საქართველოსგან ბუნებრივ რესურსებს (მეტალი, ფერადი ლითონები, სპილენძი, ოქრო, ხე-ტყე, მანგანუმი, დიატომიტი...);

**5.** გვიხდიან დაბალ გადასახადს ენერგიის და ტვირთების ტრანზიტში;

**6.** გვახდევინებენ მაღალ პროცენტებს საგარეო ვალში;

**7.** გვაიძულებენ, სავალუტო რეზერვები მათ ეკონომიკაში ჩავდოთ მათივე სახელმწიფო ობლიგაციების ყიდვის გზით.

**ჯამში 10 მილიარდ დოლარზე მეტი სარგებელია წელიწადში. რატომ დათმობენ ახლა ამას?! ამიტომაც დაქოქეს თავიანთი დაქირავებული ხალხი და სასარგებლო იდიოტები, რადგან სწორედ ეს „მეხუთე კოლონაა“ მთავარი ინსტრუმენტი იმისთვის, რომ საქართველო ვასალურ მდგომარეობაში შეინარჩუნონ და ქვეყანას არ მისცენ რეალური და სუვერენული განვითარების საშუალება.**

ევროპასთან ურთიერთობა გვჭირდება მხოლოდ ქართული სუვერენული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

ეს არის ქართული სახელმწიფოს ბრძოლა სუვერენიტეტისთვის!





2024 წლის 18 ნოემბერი. №55 (291)

**სარედაქციო კოლეგია**

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ხედელაშვილთან ერთად



# ემანდ, აქ არ გათხოვდეს!



ვინმე ანტიკლიმატოლოგი თუ კლიმატოლოგი **გრეტა თუნბერგი** შვედეთიდან თბილისში ჩამოჩერჩეტებულა და ე.წ. ოპოზიციის აქციებზე დაწოწიალობს. გუშინ თუ გუშინწინ წამოუწვენია — **სანამ საქართველოს ხელისუფლებას ჭადრაკის დაფასავით არ ავაყირავებ, მანამ აქედან არ წავალო.**

არა, მაინც რა ბედი გვაქ — **ყველა უდღეური, დაკარგული და დედისაგან დაწყევლილი აქ რატომ ჩამოეხეტება ხოლმე?** ყველას ჩვენს ცხოვრებაში მოუხოცავი ცხვირის ჩაყოფა და ხელების ფათური რატომ უნდება? რავი, საქართველოში კლიმატია ეგეთი თუ შორიდან ზედმეტად სულელებად გამოვიყურებით?

რაც შეეხება **გრეტა თუნბერგს,** რაც მალე გააცილებთ აეროპორტამდე, მით უკეთესი მისთვის. აქ უცებ არ გათხოვდეს და მერე საერთოდ ვეღარ მოვიშორებთ **სანდრა რულოფსივით.**

# ხაზარაძე უკანალ-სკნელებს უზოდიშებს!



**ამან** ევროკავშირის ქვეყნებიდან ჩამოხეტებულ **გათხოვილ მამაკაცებს** მიმართა — **„ქართული ოცნების“ ნაცვლად ბოდიშს მე გიხდითო. აბა, როგორ?**

**თქვენ ამ ხელისუფლების წევრებს შეხვედრა სთხოვეთ და მაგათ კიდე უარი გითხრესო!**

☺

ბოდიში ჯერ **მერაბ კოსტავას** სულს მოუხადე და მერე — **შენგან გაუბედურებულ ადამიანებს** — ქონებაწართმეულებსა და სახლ-კარწართმეულებს, ტოოოო!

# სულ ცოტა ხანში, ალბათ, ფუნის სროლაზეც გადავა!



ვინ უთხრა და ვინ ურჩია — **პოლიციელებს რომ დაინახავ, ეგრევე აფეთქდი, პირიდან დუჟი გადმოღვარე და თვალებიდან ცოფი გადმოანთხიეო?**

რაღაცას რომ ავალებენ, ისიც ხომ უნდა გაითვალისწინონ, შემსრულებელი რა დონისაა ან შემთხვევით **ანა დოლიძე** ხომ არ ბრძანდება!

☺

არა, ეს **მაინცდამაინც პოლიციელებზეა აკრეფილი,** მივარდება, გაიჩაჩხება და უკანასკნელი ლოთივით აბოყინებს. ავი ენები იძახიან, ესეც მაგრადა ჰკლურწამს **სალო ბაზოსავით** და მის წინამორბედ **მარგველასავითო.**

**სულ ცოტა ხანში, ალბათ, ფუნის სროლაზეც გადავა!**

# ქაქმისჯილები

პირწავარდნილი ბოლშევიკი. ადრე უნიჭო ნაწერებისათვის ყაზაღ-ბანკირი **ხაზარაძე** ძალვდა **„საბას“** პრემიას და ახლა **საბა ბუაძისას** მიირთმევს. ნათლად ვხედავ, როგორები იყვნენ ტყაპუჭიანი და მაუზერიანი ტიპები, რომლებიც ღამღამობით დადიოდნენ ოჯახებში და ადამიანები მოუსავლეთში მიჰყავდათ.

დიახ! **მაშინ ეგეთი ჩამშვებ-დამბეზღებლები ხალხს გულაგებში ან საიქიოში უშვებდნენ, ახლა აუჩემებიათ, ყველანი დასავლეთში უნდა გაგიშვათო... ვისაც დასავლეთში ბრმად წასვლა არ გინდათ, რუსები ხართ და გაგანადგურებთო.**

ამ წუპაკებს ხასიათები და მეთოდები არ შეცვლიათ, ეს ყველაფერი გენეტიკურად მისდგამთ, მაგრამ მაუზერები აღარ უჭირავთ ხელში, სხვა რამეს ათამაშებენ.

☺

ახალი დროის **ბუღაძე-მოროზოვებმა** ისიც არ იციან, რომ დასანქცირება გერმანელ **მიხა როთზე** არ არი დამოკიდებული და რომც იყოს, ვის რა ფეხებს მოსჭამს?!

აჭრილები არიან, ცოფი გასდით ყველა ნახვრეტიდან, რადგან **ძნეინა როთისა** და რამდენიმე ძუკნა ევროპარლამენტარის ამარა დარჩნენ, მომავალი და მაუზერები არა აქვთ, მაგრამ **ორგანიზმში ერთი რაღაცა უფუით და ლონე ჰგონიათ!**



ლაშა ბუღაძე ევროკავშირის საპარლამენტო დელეგაციის წევრებს:

ქალაქის მერი კალაძე თქვენ გაყენებთ შეურაცხყოფას, თქვენზე ამბობს, რომ უსაქმურები და არაფრის მაქნისები ხართ, ამიტომ დაასანქციეთ!!!

# გაუკეთეს თუ ახლა უნდა გაუკეთონ?



იციო, **ჭიჭი** თუ **ჭუჭუ ვაშაძე** ტელევიზორში რა თქვა? ხაზარაძის შტაბში შევიკრიბეთ და, როგორც ამ ქვეყნის ხელისუფლებამ, ვისაუბრეთ, როგორ ვიურთიერთოთ მოსახლეობასთან და ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთანო.

რავი, ბალღობისას ქვიშაშიც გვითამაშნია, უბნებს შორის ომიც გვქონია, ზედა უბნიდან ქვედა უბანში ტყვეებიც ჩამოგვიყვანია, საღორეში დაგვიმწყვდევნია, საგანგებო შტაბიც მოგვიწყვია, „მტრის“ ზურგში მზვერავებიც გადაგვისროლნია, იარაღი მოგვიპარნია, თათბირებიც გაგვიმართნია, მაგრამ გეფიცებით, **თავში აზრად არასდროს მოგვსვლია, რომ ჩვენ ვიყავით გენერლები, სარდლები, მხედართმთავრები ან ქვეყნის მმართველები.**

არა, კაცო, მიუხედავად ჩვენი ტრიუმფალური მიღწევებისა, ხელისუფლებაში მოსვლაზე როგორ ვიფიქრებდით?

☺

**ეგე, ესენი კიდე ხაზარაძის შტაბში იკრიბებიან და ისე მსჯელობენ, როგორც ხელისუფლების წევრები, როგორც ამ ქვეყნის ავანჩავანნი. წარმოგიდგენიათ, 7-8%-იანები იძახიან, ხელისუფლება ვართო, „ქართული ოცნება“ დამარცხდაო...**

როგორც ჩანს, ახლა მხოლოდ ისღაა დასადგენი, **ამათ ბროწეულის ოჯნა უკვე გაუკეთეს თუ ახლა უნდა გაუკეთონ?!**



# ხელისუფლებავ, შეისმინე სასოწარკვეთილი ქართველი დედის მუდარა!

***საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე, ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის გივი თარგამაძის ავტომობილი ააფეთქეს, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ტერაქტის დროს მძიმედ დაშავდა და სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა 30 წლის დავით კუხალაშვილი, რომელიც დღემდე ლოგინს არის მიჯაჭვული. მისი დედა, აფხაზეთიდან დევნილი ზამირა ბენდელიანი რამდენიმე დღის წინათ გერმანიიდან დაგვიკავშირდა და ატირებულმა გვთხოვა — დამეხმარეთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჩემი უბედურების შესახებ გავაგებინოო!***





დავით კუხალაშვილი დღეს



დავით კუხალაშვილი 8 წლის წინათ

## ზამირა ბენდელიანი:

## ჩემს სახელმწიფოსა და ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას შევთხოვ, უკანასკნელ იმედს მაინც ნუ მომიკლავს!

**ზამირა ბენდელიანი:** — ჩემი შვილი — **დავით კუხალაშვილი** №49 სამარშრუტო ტაქსის მძღოლად მუშაობდა, მუხიანიდან დადიოდა და ბოლო გაჩერება კოლმეურნეობის მოედანზე ჰქონდა. 2016 წლის 4 ოქტომბერს, როცა გივი თარგამაძის მანქანა ააფეთქეს, დათო ტერაქტის ადგილიდან დაახლოებით 5 მეტრში იდგა და ნაცნობს ესაუბრებოდა. აფეთქების ტალღა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩემი შვილი, რომელიც მაშინ 117 კილოგრამს იწონიდა, რამდენიმე მეტრის მანძილზე მოისროლა და ისეთი დაზიანებები მიაყენა, მის გადარჩენას არავინ ელოდა.

**— კონკრეტულად, რა სახის ჭრილობები აღენიშნებოდა?**

— იღლიაში და მუხლთან არტერია ჰქონდა გაგლეჯილი, მუცელი — მთლიანად გამოფატრული, ფილტვები და თირკმლები — დაბეჟილი... ოპერაცია რომ გაუკეთეს, ღვიძლის მესამედი ამოაჭრეს. იმხელა ნაფლეთი ჭრილობები ჰქონდა, ექიმები გაოცებული იყვნენ, რომ ცოცხალი გადარჩა. თქვეს კიდეც — გამხდარი ბიჭი რომ ყოფილიყო, ადგილზევე მოკვდებოდაო!

**— დღეს როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

— აზროვნების, მეტყველებისა და სიარულის უნარი დაკარგა; სასულეში ტრაქეოსტომის მილი უდგას, წვრილ ნაწლავზე — ილეოსტომის მილი, ხოლო კუჭზე გასტროსტომის მილი აქვს შეერთებული და საკვებს ხელოვნური გზით იღებს... სხეულში იმდენი ნამსხვრევი — ე.წ. ასკოლკა აქვს ჩარჩენილი, რომ ჭრილობები პერიოდულად ეხსნება და სისხლი და ჩირქი მოსდის. მოკლედ, 38 წლის კაცი სრულად პარალიზებულია და მისი სიცოცხლე მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ სუნთქავს.

**— სანამ შვილს უცხოეთში წაიყვანდით, თბილისში თუ გაუწიეს სათანადო სამედიცინო დახმარება?**

— უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი დათო სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანა. როცა ოჯახის წევრები და ახლობლები საავადმყოფოში მივედით, **ბიძა ბოკერიას** შესასვლელთან ტრიბუნა ჰქონდა დადგმული, **დავით კირკიტაძეც** მასთან ერთად იყო და ბრიფინგს ატარებდნენ. ამის დანახვაზე ჩვენები გამწარდნენ და ნაციონალებს დაუპირისპირდნენ — ჯერ ისიც არ ვიცით, 30 წლის ბიჭი გადარჩება თუ არა, თქვენ კი აქ რა ბრიფინგებს მართავთო?! როცა გაიგეს, ვინ ვიყავით, ტრიბუნას მაშინვე ხელი დასტაცეს და გაიქცნენ.

ინგოროყვას კლინიკაში დათო 18 დღის განმავლობაში ხელოვნურ კომაში ჰყავდათ, რადგან ეშინოდათ, რომ ტკივილებს ვერ გაუძლებდა. მე-19 დღეს გააღვიძეს და თითქოს ნორმალურად იყო, ტრაქეოსტომის მილი ედგა და ხმადაბლა ლაპარაკობდა, თორემ აზროვნებისა და მეტყველების მხრივ პრობლემა არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, კლინიკის პერსონალმა, ეტყობა, იფიქრა — ასეთი მძიმე პაციენტი მაინც ვერ გადარჩებაო და ისე უყურადღებოდ მიაგდეს, რომ ნაწოლები გაუჩნდა. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ერთ ადგილზე გაუნძრევლად წოლისაგან დუნდულები სულ დაულპა და როცა თურქეთის აჯიბადენის კლინიკაში გადავიყვანეთ, იქაური ექიმები გაგიჟდნენ — ეს კაცი საავადმყოფოდან მოგყავთ თუ ტყიდანო?

საერთოდ, ინგოროყვას კლინიკის ექიმები, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ზემოდან დაგვყურებდნენ და ისე გულგრილად და დამამცირებლად გვექცეოდნენ, თითქოს ადამიანები არც ვიყავით. უდიერი და აგდებული დამოკიდებულებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ექიმები — **დავით ყაზაიშვილი და ნინო ღრუბელაშვილი.**

**— პაციენტის თურქეთში გადაყვანა ამის გამო გადაწყვიტეთ?**

— ინგოროყვას კლინიკაში წოლისას დათოს უეცრად გული გაუჩერდა და მის ასამუშავებლად რვაჯერ დასჭირდათ ელექტროშოკის გამოყენება, რამაც ტვინის გარსი დაუზიანა და აზროვნებისა და მეტყველების უნარი წაართვა. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, თურქეთში გადაგვეყვანა და დახმარებისათვის საქართველოს მთავრობას მივმართეთ — ჩემი შვილის მეგობარი მაშინდელი პრემიერ-მინისტრის **გიორგი კვირიკაშვილის** დაცვაში მუშაობდა და ჩვენი წერილი პირადად მას გადასცა. ჯანდაცვის სამინისტრომ დაფინანსება ოპერატიულად გამოგვიყო და უზრუნველყო, რომ პაციენტი სპეციალური თვითმფრინავით გადაგვეყვანა თურქეთში.

სტამბოლის აჯიბადენის საავადმყოფოში ორი თვე დავყავით. მკურნალობის პროცესი ისე კარგად მიდიოდა, რომ ექიმები გაოცებას ვერ მალავდნენ — ამ ბიჭს რა ორგანიზმი ჰქონიაო, მაგრამ უეცრად გამოგვიცხადეს — თქვენი მთავრობა აღარ გაფინანსებთ და უნდა წახვიდეთო! თავი მოვიკალი — ასეთი მძიმე პაციენტი სად უნდა წავიყვანო-მეთქი, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა? იმას აღარ მოვყვები, როგორ გამოგვიშვეს სტამბოლიდან დანჯღრეული, ძველისძველი რეანომობილით და გზაში რა ჯოჯოხეთი გადავიტანეთ, თბილისში ჩამოღწევის შემდეგ კი პირდაპირ კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსში" აღმოვჩნდით... ორი თვის განმავლობაში ვხედავდით, რომ მკურნალობას შედეგი არ მოჰქონდა და ჩემი შვილის მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა, რის გამოც გერმანიაში წაყვანა გადავწყვიტეთ.

**— გერმანიაში სამკურნალოდ წასვლა, ცხადია, დიდ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული... საქართველოს ხელისუფლება დაგეხმარათ?**

— გერმანიაში მკურნალობის სამთვიანი კურსი 119 000 ევრო ჯდებოდა და პირობას გვაძლევდნენ — პაციენტს ფეხზე დავაყენებთო! წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში უწყებიდან უწყებაში დავრბოდი, მოვიარე მერია, გამგეობა, მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო, ჯანდაცვის სამინისტრო და პარლამენტი, ვის არ შევხვდი და ვის არ შევევედრე, მაგრამ დაპირებების მიუხედავად, ერთი თეთრიც არავის გაუღია, მხოლოდ თბილისის მერიამ დაგვაფინანსა 35 000 ლარით. ჯანდაცვის სამინისტრომ გვითხრა — გერმანიაში მკურნალობას ვერ დაგიფინანსებთ, მაგრამ ისევ თურქეთში გაგიშვებთ და რამდენი ხანიც საჭირო იქნება, დარჩით, დაფინანსების პრობლემა აღარ შეგექმნებათო! რა გვექნა, ისევ სტამბოლის კლინიკაში წავედით, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტრომ კვლავ მოგვატყუა და ერთი თვის თავზე დაფინანსება შეგვიწყვიტა.

**— საინტერესოა, გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებისას მძიმედ დაშავებული თქვენი შვილის ბედით ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები თუ დაინტერესდნენ და რამით დაგეხმარნენ?**

— არცერთი ნაციონალი ჩემი შვილის მდგომარეობით არ დაინტერესებულა და ტელეფონითაც კი არ მოუკითხავს — მოკვდა თუ გადარჩა? 2019 წელს, როცა ოპოზიცია რუსთაველის გამზირზე მიტინგს მართავდა, მივედი და ვცადე, სიტყვით გამოვსულიყავი, მაგრამ, როცა გაიგეს, ვინ ვიყავი, სცენასთან ახლოსაც არ მიმიშვეს. იქვე **ბოკერიასა და უგულავას** გადავეყარე და ვუთხარი — **თქვე უნამუსოებო, აქციის დაშლას და მომიტინგეების დაზარალებას რომ აპროტესტებთ, ერთხელ ჩემი შვილის ამბავიც მოგეკითხათ, თქვენ მიერ მოწყობილ ტერაქტს კინაღამ რომ შეეწირა-მეთქი!**

**— ესე იგი, გივი თარგამაძის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობაში თავად ნაციონალები დაადანაშაულეთ?**

— დიახ, მაშინათვე დარწმუნებული ვიყავი, რომ თარგამაძის მანქანის აფეთქების უკან ნაციონალები იდგნენ და ახლა უკვე პროკურატურის გამოძიებითაც სწორედ ეს ირკვევა!

**ყველაზე მეტად გული მაინც იმაზე მწყდება, რომ მსახიობ თინა მახარაძეს, რომელიც**

## გივი თარგამაძის ავტომობილის აფეთქებისას მძიმედ დაშავებულ დავით კუხალაშვილს ქართული სახელმწიფოს დახმარება სჭირდება!





## საკუთარ თავს „ეროვნულ ბოზს“ უწოდებს და „ქართულ ოცნებას“ აგინებს, საქართველოს მთავრობამ ამერიკაში სწავლა 150 000 დოლარით დაუფინანსა, ჩემი შვილის ფეხზე დასაყენებლად კი თავი არ შეიწუხა!

**— საბოლოო ჯამში, როგორ შეძელით გერმანიაში გამგზავრება და რა პირობებში გიხდებათ დღეს ლოგინს მიჯაჭვული შვილის პატრონობა?**

— გერმანიაში 2019 წლის 16 ოქტომბერს ჩამოვედით და ლტოლვილებად ჩავბარდით, რადგან სხვა გამოსავალი აღარ დაგვრჩა. დღეს ნორმალურ პირობებში ვცხოვრობთ, აქაური სახელმწიფო ყველანაირად გვეხმარება და მკურნალობაში ცენტიც არ გვეხარჯება, მაგრამ 5 წლის განმავლობაში ვერაფრით მივაღწიეთ, რომ დათო რომელიმე კლინიკის ნევროლოგიურ განყოფილებაში ან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დავაწვინოთ, რათა თავის ტვინზე გამოკვლევები ჩაუტარონ. დახმარებისათვის საქართველოს საელჩოსა და საკონსულოსაც მივმართეთ, მაგრამ უარი გვითხრეს — რადგან გერმანიის სახელმწიფოს ლტოლვილებად ჩაბარდით, ჩვენ ვერაფერს გიშველითო!

**— საქართველოს ხელისუფლებასთან რა სათხოვარი გაქვთ და რით შეუძლია ქართულ სახელმწიფოს თქვენი დახმარება?**

— ქართული სახელმწიფოსაგან ელემენტარულ ყურადღებასა და გულისხმიერებას ვითხოვ — დამეხმაროს, რომ ჩემი შვილი გერმანიის რომელიმე კლინიკის ნევროლოგიურ განყოფილებაში ან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოვახვედრო! თუ საქმეში საქართველოს საელჩო და საკონსულო ჩაერთვებიან და სახელმწიფო დონეზე გაგვიწევენ შუამდგომლობას, მჯერა, ყველაფერი გამოვა.

ხავსივით ვებღაუჭები უკანასკნელ იმედს, რომ თავის ტვინის გამოკვლევისა და შესაბამისი მკურნალობის შემთხვევაში, ჩემი შვილი მეტყველების უნარს დაიბრუნებს და შეიძლება, ფეხზეც გაიაროს. გაუბედურებული ქართველი დედა ჩემს სახელმწიფოსა და ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას შევთხოვ, ამ უკანასკნელ იმედს მაინც ნუ მომიკლავს!

## „ბოკერიასა და უგულავას ვუთხარი – თქვე უნამუსოებო, ერთხელ ჩემი შვილის ამბავიც მოგეკითხათ, თქვენ მიერ მოწყობილ ტერაქტს კინაღამ რომ შეეწირა-მეთქი!“

### ბოლოთქმა

**დაწერილი კანონების მიხედვით,** ქართული სახელმწიფო ვალდებული აღარ არის, უპატრონოს საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყანას ლტოლვილებად ჩაბარდებიან, **თუმცა, არსებობს დაუწერელი კანონები** — მორალური და ზნეობრივი კოდექსები, რომლებიც ადამიანებს სიკეთის ქმნასა და მოყვასის თანადგომას ავალდებულებენ. ჰოდა, სწორედ ამ **დაუწერელი კანონებით** საქართველოს ხელისუფლებას მართებს, მაქსიმუმი გააკეთოს გივი თარგამაძის ავტომობილის აფეთქებისას დაშავებული **დავით კუხალაშვილის** დასახმარებლად! **იმედს ვიტოვებთ, რომ ქართული სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურები სასოწარკვეთილი ქართველი დედის — ზამირა ბენდელიანის ღაღადისს უყურადღებოდ არ დატოვებენ!**

*ესაუბრა* **ჯაბა ხუბუა**





# მაწანწალები

***2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაახლოებით ოცდაათამდე მილიონერი და მილიონერობის მაძიებელი გვამი, ერთი გასვენება ხალხის თანხლებით, უმალ მაწანწალად იქცა.***

აი, ახლაც, როცა ამ წერილს ვწერთ, კარგა გვარიანად დაბნელებულია, მაგრამ მაწანწალები სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან არიან მიცვენილი და ერთი გაწევ-გამოწევაა. ვიდრე უნივერსიტეტთან მივიდოდნენ, რესპუბლიკის მოედანზე შეკრება ჰქონდათ დაგეგმილი. ხალხი რომ ვერ მოაგროვეს, სისხლს მოწყურებული სვავებივით აიყარნენ, მელიქიშვილის გამზირზე მანქანებს წიხლები ურტყეს, სასწრაფოს მოძრაობას ხელი შეუშალეს და ასე წივილ-კივილითა და ღრიანცელით მიადგნენ დედაუნივერსიტეტს, რომელიც რახანია, ნაცების კლასიკურ ბუნაგად იქცა.

მაწანწალებს შორის ბევრია ისეთი, ვინც სახელმწიფოს დაქცევის საქმეში ჯერ კიდევ 90-იან წლებში მიიღო ნათლობა. აი, მაგალითად, **მამუკა ხაზარაძის ლგბტ სექტაში** გარეული **ფიქრია ჩიხრაძე** ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ზუსტად იმავე მეთოდებით იბრძოდა, როგორც დღეს **მამუკა ხაზარაძე** და მთელი მისი **ლგბტ „უბორნია“** საქართველოში ვითარების ასარევად და ხელისუფლების დასამხობად იღვწის. აღარაფერს ვამბობთ ე.წ. „ობოზიციის“ მარაქაში გარეულ კიტოვანის მეზარბაზნეებზე, მეხინკლეებზე, მეძალღეებსა და **ლიაკა ხოშტარიას** მოღალატე მამაზე — **გოგი ხოშტარიაზე,** რომელმაც საქართველოს პირველ პრეზიდენტს „კალაშნიკოვის“ ავტომატით წითელ ხიდამდე სდია.

**მაწანწალები,** რომლებიც თბილისში მიმოდიან, თავიანთი ჭკუით, **„გაყალბებულ არჩევნებს“** აპროტესტებენ... არადა, **მაწანწალებს** საკუთარი ჭკუა და აზრი არ გააჩნიათ, რადგან ტვინით, კუჭითა და სწორი ნაწლავით იმ უცხოელ პატრონებზე არიან მიერთებული, ვინც ფულს უხდით.

**ქართველმა მაწანწალებმა,** რომლებმაც ხელისუფლებას ფეხებიც ვერ მოჭამეს, მაშველად **ევროპელი მაწანწალების დესანტი** იხმეს. სწორედ ასე აღმოჩნდნენ საქართველოში **მიხაილ როთი, ჟიგიმანტას პავილიონისი** და კიდევ ექვსი ევროპელი **დეპუტანკა,** რომლებიც **საერთაშორისო მაწანწალას** — **მიხეილ სააკაშვილს** უკვე მერამდენე წელია, ლეღვის ფოთოლივით არიან აფარებული. სწორედ **გიულის მაწანწალა შვილის** გადასარჩენად დამწკრივდნენ ისინი და ეწვივნენ მდედრობითი სქესის ბებერ მაწანწალას — **სალომე ზურაბიშვილს,** რომელმაც იშვიათი ოსტატობით შეკრიბა პარტიიდან პარტიაში ნაწანწალები არაერთი **წანწალაშვილი.**

სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ჩამოსვლიდან სამ-ოთხ დღეში **პავილიონისი** სამთავრობო პავილიონიდან მოისროლეს, ხოლო ორჯერ გათხოვილმა **მიხაილ როთმა** ოფიციალურად განაცხადა, რომ პოლიტიკიდან მიდის!

**სალომე ზურაბიშვილის** რეზიდენციაში გამართული სალამ-ქალამისა და ტუტუცური ლაპარაკის შემდეგ **როთი, პავილიონისი და დანარჩენი მაწანწალები** კოლმეურნეობის მოედნის, თავისუფლების მოედნისა და რუსთაველის პროსპექტის გავლით დაიძრნენ და ევროკავშირის ჰიმნისა და ტაშის გრიალის ფონზე ავიდნენ მაწანწალთა აქციის სცენაზე, სადაც ერთი გასვენება ხალხი იყო შეკრებილი, მაგრამ ნაცტელეკანალიზაციები ისეთი ახლო კადრიდან აჩვენებდნენ ყველაფერს, გეგონებოდათ, პარლამენტის წინ მილეთის ხალხი იდგა.

მაწანწალები საწანწალო ტურნეს ფარგლებში **ცესკოს** თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილსაც** მიუვარდნენ, მანამდე გმირთა მოედანზე გზის გადაკეტვა სცადეს, ხოლო მერე რუსთაველზე გაქანდნენ... **დარწმუნებული ვართ, მალე მთაწმინდიდანაც გამოქანდებიან.**

ამჟამად **მაწანწალები** იმის ცდაში არიან, როგორმე არეულობა უნივერსიტეტებში შეიტანონ და მერე საქართველოში ისეთი ჭიაკოკონა აგიზგიზონ, რომელზეც, მაგალითად, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქალბატონი **მედიკო ვასაძე** ხელს მოითბობს... ისიც ჩვეულებრივი **პოლიტიკური მაწანწალაა** — ჯერ „ქართულ ოცნებაში“ იყო, შემდეგ ნაცში შეძვრა და ახლა ტელევიზიიდან ხალხს აჯანყება-ამბოხებისკენ მოუწოდებს! სწორედ ასე მოიქცა ის წინა კვირას, როცა ჟურნალისტ **ვახო ხუზმიაშვილთან** სატელევიზიო ჩართვისას, ფაქტობრივად, ის თქვა, რასაც თავის დროზე სულაძაღლებული და ქართველების სისხლში ამოთხვრილი ხუნტელი, კიდევ ერთი მაწანწალა და პარტიიდან პარტიაში ნათრევი **კაკოიე ბოკოხიძე** სტუდენტებს ეუბნებოდა — **ახალგაზრდა რომ ვიყო, აუცილებლად ვიფიქრებდი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაზეო!**

როგორც ვხედავთ, ძაღლის კუდის მსგავსად, არც **მაწანწალების** და არც **ხუნტელების** გამოსწორება არ იქნება! საუკეთესო შემთხვევაში ისინი უნდა დასპირტო!

**დიტო ჩუბინიძე**







## ლაზარე ჯორბენაძე:

# ევგენი და ომეხ აფრასიძეები სწორედ იმიტომ დახოცეს, რომ ეს არ ეთქვათ!



ევგენი და ომეხ აფრასიძეები

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-47*

***2001 წლის 23 მაისს თბილისში, რკინიგზის №2 სამშობიარო სახლის შესასვლელთან, ბანდიტებმა ძალის გამოყენებით უნომრო თეთრ „ნივაში“ ჩატენეს და ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი, კახი კალაძის ძმა ლევან კალაძე. გამტაცებლებმა ოჯახს ლევანის გათავისუფლების სანაცვლოდ 600 ათასი ამერიკული დოლარი მოსთხოვეს... დიდი ხნის კვლევა-ძიების შემდეგ გამოძიებამ, ვინმე მერაბ ამისულაშვილის ჩვენების საფუძველზე, საქართველოში, სანკტ-პეტერბურგში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში დააპატიმრა ლევან ცინცაძე, დავით ასათიანი და თემურ გაგნიძე. ამისულაშვილს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, გაგნიძეს — 15 წლით, ხოლო ასათიანსა და ცინცაძეს — 25-25 წლით...*** *პროკურატურის მტკიცებით, 2001 წლის 14 ივნისს გამტაცებლებმა* ***ლევან კალაძე*** *მოკლეს და მისი გვამი ვაზისუბნის ერთ-ერთ ხევში მოისროლეს. მერაბ ამისულაშვილის ჩვენების საფუძველზე 2006 წლის იანვარში ვაზისუბანში მართლაც იპოვეს ახალგაზრდა კაცის გვამი. ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ჩატარებულმა დნმ-ის ანალიზმაც ცხადყო, რომ ცხედარი ნამდვილად* ***ლევან კალაძეს*** *ეკუთვნოდა... მანამდე იყო სპეცოპერაცია სოფელ ეცერში, აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტა, ცეცხლში ამობუგვა და სოფელ ეცერის სასაფლაოდან მე-19 საუკუნის ძვლების ამოყრა, რომელიც გვამების შემგროვებელმა ვანო მერაბიშვილმა და „ვარდების ხელისუფლებამ“ ლევან კალაძის ძვლებად გაასაღეს.*

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე აცხადებს, რომ ლევან კალაძის გამტაცებლები და მკვლელები დღემდე დაუსჯელი არიან და სინამდვილეში სწორედ ამ საქმის გახსნას შეეწირნენ ევგენი და ომეხ აფრასიძეები, პოლკოვნიკი ბათუ საღინაძე და გენერალი დავით კეკუა:***

— 2004 წლის 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სააკაშვილის რეჟიმმა ჩაატარა ერთ-ერთი პირველი სისხლიანი ოპერაცია, როცა საკუთარ საცხოვრებელ სახლში გამობუგა **ევგენი აფრასიძე,** ხოლო მისი ვაჟი ვამეხ, ანუ იგივე **ომეხ აფრასიძე,** ფაქტობრივად, დედისა და ბავშვების თვალწინ ხელფეხშეკრული დახვრიტა. სპეცოპერაციაში მონაწილეობდა დაახლოებით 2 ათასი კაცი და, მათ შორის, არამხოლოდ კუდ-ისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმი, არამედ თავდაცვის სამინისტროს ბრიგადა. ამ საშინელი სამხედრო ოპერაციისა და თავდასხმის მიზანი იყო, თითქოსდა ლევან კალაძის გამტაცებლების, ფულის გამომძალველების, მკვლელებისა და მწამებლების — აფრასიძეების ოჯახის დასჯა, რაც მტკნარი სიცრუეა! სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კახი კალაძის ძმა, აწ განსვენებული **ლევან კალაძე** აფრასიძეებს არც გაუტაცებიათ და ეს საცოდავი ბიჭი არც ცოცხალი და არც მკვდარი ეცერში, მაგათ ოჯახში არასოდეს ყოფილა!

**— ბატონო ლაზარე, მაშ, რა მოხდა, რას ერჩოდნენ აფრასიძეებს?**



პოლიციის გენერალ-მაიორი დავით კეკუა

— შევარდნაძე-სააკაშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროში შეთხზეს ვერსია, თითქოს გატაცებული **ლევან კალაძე** აფრასიძეების ოჯახში მიიყვანეს. **ამ ვერსიის შეთხზვა ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს — კახი კალაძისთვის წაეგლიჯათ რაც შეიძლება მეტი ფული!**

**— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ძალოვანი უწყებების მაღალჩინოსნები და ლევან კალაძის გამტაცებლები ერთად მოქმედებდნენ?**

— დიახ, ცხადია, ამას ვგულისხმობ! **ლევან კალაძის** გატაცების უკან დგანან შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები და ბანდიტები, რომლებიც ერთად მოქმედებდნენ. ჯერ კალაძეების ოჯახს მოსთხოვეს 600 ათასი დოლარი, მერე ჩამოვიდნენ 300 ათას დოლარზე და ბოლოს შეთანხმდნენ 200 ათას დოლარზე... აფრასიძეების საქმეში დარჩენილია ერთადერთი ცოცხალი მოწმე, კალაძეების ოჯახის ადვოკატი **ზურაბ დგებუაძე,** რომელიც **ვანო მერაბიშვილმა** ამ საქმის ეფექტურად გამოსაძიებლად თავის თანაშემწედ დანიშნა. რაც შეეხება **ბათუ საღინაძეს,** სააკაშვილმა სწორედ მას ანდო ამ საქმის გახსნა... საღინაძეს დგებუაძე ლევან კალაძის გატაცებისა და მკვლელობის გამოძიებაში უნდა დახმარებოდა. **ბათუ საღინაძე** რომ დაიჭირეს, **ზურაბ დგებუაძე** გერმანიაში გაიქცა და თავშესაფარი ითხოვა. **ლევან კალაძის** საქმეში მრავლისმთქმელია ის აუდიოჩანაწერი, რომელიც „შავი სამყაროს“ წარმომადგენლისა და თბილისის ერთ-ერთი რაიონის პროკურორის შვილის საუბარს ეხება. პროკურორის შვილი იმ „შავს“ გაეცნო როგორც „შავი“...

**— როდის არის გაკეთებული ეს ფარული აუდიოჩანაწერი?**

— ჩანაწერი გაკეთებულია 2003 წლის 10 იანვარს, **კობა ნარჩემაშვილის** შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს. ის „შავი სამყაროს“ წარმომადგენელი ამ ვითომ „შავს“ და სინამდვილეში პროკურორის შვილს პირდაპირ ეუბნება: **ვინც გაიტაცა ლევან კალაძე, იმათ კიდევ რვა „პადელნიკი“ ჰყავდათ და ვკითხე — ლევანი რატომ „დაბრიდეთ“-მეთქი? — რას ამბობ, ყველას გვიცნობდა და ცოცხალი რომ დაგვეტოვებინა, ყველას ხელს დაგვადებდა და ციხეში ჩაგვყრიდაო!**

**— კიდევ რაზეა საუბარი იმ ჩანაწერში?**

— იქ ისეთი დეტალებია, არ მინდა მაგაზე ლაპარაკი... ცნობისათვის, ეს ჩანაწერი აფრასიძეების საქმეში დევს. მოკლედ, 2003 წლის 10 იანვრის ჩანაწერით უტყუარად დასტურდება, რომ **ლევან კალაძე** უკვე მოკლულია, არადა, 2003 წლის ივნისში კალაძეებს ატყობინებენ, რომ ლევანი ცოცხალია, მძევლად ჰყავთ სვანეთში, აფრასიძეების ოჯახში და 300 ათას დოლარს თუ გადაიხდიან, **ომეხ აფრასიძე** ლევანს აუცილებლად გამოუშვებს!

**— კალაძეების ოჯახს ეს ვინ შეატყობინა?**

— კალაძეებს ეს ამბავი შეატყობინა ცნობილმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა **ნოდარ გვიჩიანმა.** კალაძეებმა მიიღეს უცნაური გადაწყვეტილება და პოლიციასთან შეუთანხმებლად ნოდარ გვიჩიანს 200 ათასი დოლარი მისცეს. არადა, **ნოდარ გვიჩიანმა** ძალიან კარგად იცოდა, რომ **ლევან კალაძე** უკვე მოკლულიც იყო და არც აფრასიძეებთან ყოფილა ოდესმე. **ნოდარ გვიჩიანი,** რომელიც **ომეხ აფრასიძეს** ახლოს იცნობდა, ირწმუნებოდა, რომ ის 200 ათასი დოლარი ომეხ აფრასიძეს მიუტანა, რაც ბლეფია...

**— ნოდარ გვიჩიანმა იცრუა?**

— ცხადია, იცრუა, რადგან ეს ფული ომეხისთვის არ მიუტანია. ამის მიუხედავად, გვიჩიანი კალაძეებს ატყუებდა — **ომეხს ფული მივეცი, მაგრამ ლევანს არ ათავისუფლებს,**

**„ამ საქმეში ჩართული იყო პოლიციის მაღალჩინოსანი დავით კეკუა, რომელიც სააკაშვილის დროს დაიჭირეს და მერე საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს!“**

## კვირგვინოსნები



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

სწორი იქნება, თუ **ისტორიის ახალ სახელმძღვანელოებში** ბიძინა ალასანია თუნდაც მცირე ადგილს დაიკავებს.

„პირველი არხი“



**კობა ხაბაზი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

ჩემი გული ორადაა გაყოფილი, **ერთი თქვენთანაა, მეორე — უკრაინაში!**

„პირველი არხი“



**ალექსი არესტოვიჩი**
*უკრაინის პრეზიდენტის აპარატის ყოფილი მრჩეველი*

ხალხი, ვინც იყო გადაწყვეტილების მიღების ცენტრში, ამბობს, რომ **სააკაშვილი უკრაინულის მსგავსი ტექნოლოგიის გამოყენებით მოატყუეს** და აიძულეს, ჯარები სამხრეთ ოსეთში შეეყვანა.

„პირველი არხი“



**ნიკა გვარამია**
*„კოალიცია ცვლილებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი*

ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ **გადამწყვეტ არჩევნებში ისეთ სისტემაზე გადასვლაზე დავეთანხმეთ, რომელსაც არ ვიცნობდით.**

„ინტერპრესნიუსი“



**თინა ბოკუჩავა**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი*

როგორც **სტუმრებმა დაგვიდასტურეს,** ევროპულ ლიდერშიფში განიხილება შესაძლებლობა, **საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის დროებით შეჩერებაზე.**

„ინტერპრესნიუსი“



**ალექსანდრე ლუკაშენკო**
*ბელარუსის პრეზიდენტი*

ბელარუსი **ქალი პრეზიდენტისთვის** ჯერ მზად არ არის, **ღმერთმა ნუ ქნას, ბელარუსში ქალი აირჩიონ.**

„ინტერპრესნიუსი“

# „რა იცის გიორგი ბარამიძემ ისეთი, რომ აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მის დაკავებას დღემდე ვერ ბედავს?“



**რადგან 300 ათასის ნაცვლად, 200 ათასი გამატანეთო!** აი, ასეთ სიტუაციაში ნაცები ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ, ჰქონდათ ლეგიტიმური საფუძველი, რათა აფრასიძეები მართლა დამნაშავეები ჰგონებოდათ, მაგრამ ეს მათ საქციელს არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს.

**— რატომ?**

— დავიწყოთ იმით, რომ როგორც ყველა „შავი“, **ნოდარ გვიჩიანიც** პოლიციის „ნასედკა“ ბრძანდებოდა, პოლიციამ კი შესანიშნავად იცოდა, რომ 2003 წელს **ლევან კალაძე** უკვე ორი წლის მოკლული იყო, ხოლო ის 200 ათასი დოლარი **ნოდარ გვიჩიანსა** და პოლიციის მაღალჩინოსნებს შორის „გატყდა“... ანუ ფული პოლიციამ და „შავებმა“ გაიყვეს!

**— ნოდარ გვიჩიანი დღეს სად არის?**

— **გვიჩიანი** ცოცხალია, მაგრამ სად არის, არ ვიცი!

**— ბოლოს და ბოლოს, ევგენი და ომეხ აფრასიძეები რატომ დახოცეს?**

— **ომეხ აფრასიძემ** ნოდარ გვიჩიანი იპოვა და მოკვლას უპირებდა, რადგან **გვიჩიანმა** აფრასიძეების სახელი ბინძურად გამოიყენა. **ევგენი და ომეხ აფრასიძეებმა** იცოდნენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელმა მაღალჩინოსნებმა დასტყუეს დიდძალი ფული **კახი კალაძეს.** ნოდარ გვიჩიანმა ევგენის და ომეხს უთხრა, თუ ვისი სახელით მოქმედებდა ამ საქმეში... **ევგენი და ომეხ აფრასიძეები** 2004 წლის 24 მარტს სწორედ იმიტომ დახოცეს, რომ ეს არ ეთქვათ და შინაგან საქმეთა სამინისტროს ის მაღალჩინოსნები არ დაესახელებინათ, რომლებმაც **კალაძეებს** დიდძალი ფული გამოსძალეს! კალაძეების ადვოკატი **ზურაბ დგებუაძე** ამ საქმეში ასეთ რამეს აცხადებს — დარწმუნებული ვარ, 2001 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ **ლევან კალაძის** გვამი იპოვეს, მაგრამ რადგან გვამით ფულს ვერ გააკეთებდნენ, ამიტომ შეთხზეს ნაირ-ნაირი ვერსიები თითქოს **ლევან კალაძე** ცოცხალი იყო და კალაძეების ოჯახს ფულის გამოძალვა დაუწყეს!

**— ე.წ. „ვარდების რევოლუციით“ მოსულ ხელისუფლებას რაში უნდა დასჭირვებოდა შევარდნაძის მაღალჩინოსნებისთვის ხელის დაფარება და ევგენი და ომეხ აფრასიძეების მკვლელობა?**

— სავარაუდოდ, ამ დანაშაულებრივ გარიგებაში სააკაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრი **გიორგი ბარამიძეც** მონაწილეობდა და იმიტომაც დაფარა შევარდნაძის მაღალჩინოსნებს ხელი, ანუ ფული აქაც „გატყდა“... სხვანაირად ყოვლად წარმოუდგენელია. სააკაშვილის ხელისუფლება მაშინ პოლიციასა და პროკურატურაში სიტუაციას ალაგებდა, რათა მთელი პოლიცია და პროკურატურა ისევე, როგორც სასამართლო, თავის კლანჭებში ჰყოლოდა. ასე რომ, **ლევან კალაძის** გატაცებისა და მკვლელობის საქმე იყო უმძიმესი კომპრომატი შევარდნაძის ძალოვანი უწყებების მაღალჩინოსნების შესახებ, რომლებიც სულ მალე სააკაშვილის მონებად და ჯალათებად იქცნენ. მოკლედ, კალაძეებს ჯერ შევარდნაძის პოლიციელებმა გამოსძალეს ფული, ხოლო შემდეგ სააკაშვილის პოლიციელებმა მოატყუეს და ეცერის სპეცოპერაცია დააფინანსებინეს — არიქა, შენი ძმა აფრასიძეებმა გაიტაცესო! ამ საქმეში არის კიდევ ერთი დიდი კითხვის ნიშანი... რა იცის **გიორგი ბარამიძემ** ისეთი, რომ აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მის დაკავებას დღემდე ვერ ბედავს?

**— თქვენი აზრით, რა იცის?**

— ფაქტია, რომ **გოჩა და შმაგი აფრასიძეები** ტყუილად დაიჭირეს, ხოლო **ევგენი და ომეხ აფრასიძეები** ტყუილად მოკლეს! აგერ არის პროკურატურა და დაჰკითხონ **გიორგი ბარამიძე...** ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია უკვე შეცვლილია და **ბატონ კახის,** რომელსაც დიდ პატივს ვცემ, რადგან ძალიან ბევრ გაჭირვებულს ეხმარება, ადვილად შეუძლია, დაადგინოს, შევარდნაძისა და სააკაშვილის რომელი მაღალჩინოსნები იდგნენ მისი ოჯახისთვის დიდძალი ფულის გამოძალვისა და **ლევან კალაძის** გატაცება-მკვლელობის უკან! გამომძიებელმა **ბათუ სალინაძემ** და ადვოკატმა **ზურაბ დგებუაძემ** ლევან კალაძის გატაცებისა და მკვლელობის საქმეში თავიდან ბოლომდე გაშიფრეს ყველა ის მაღალჩინოსანი, რომლებიც ამ დანაშაულებრივ სქემაში ჩართული იყვნენ. **ბათუ სალინაძემ და ზურაბ დგებუაძემ** გამოიკვლიეს — ვინ გაიტაცა ლევან კალაძე, რომელი მაღალჩინოსნები სძალავდნენ კალაძეებს ფულს, ვის გაურიგდა გიორგი ბარამიძე, რატომ ჩაატარეს ეცერში სპეცოპერაცია და რატომ დახოცეს აფრასიძეები... ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის **ბარამიძემ!** ჰოდა, მოჰკიდონ ხელი და მიათრიონ პროკურტურაში!

**— ანუ ბათუ სალინაძე მაგარი გამომძიებელი იყო?**

— **ბათუ სალინაძე** იყო შესანიშნავი გამომძიებელი! მან ლევან კალაძის საქმე გახსნა... საჭირო იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების აყრა და დაჭერა, რაც **ვანო მერაბიშვილსა და სააკაშვილის** ხროვას არ აწყობდათ, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროში დალაგებული სიტუაცია აერეოდათ! გარდა ამისა, **ბათუ სალინაძემ** დაადგინა პოლიციის ყველა იმ მაღალჩინოსნის ვინაობა, ვინც კრიმინალებთან კავშირში იყო და ხალხს ფულს სძალავდა!

**— უფრო კონკრეტულად შეიძლება?**

— ამ საქმეში ჩართული იყო პოლიციის მაღალჩინოსანი **დავით კეკუა,** რომელიც სააკაშვილის დროს დაიჭირეს და მერე საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს. რატომ იპოვეს ჩამომხრჩვალი გენერალი დავით კეკუა, იცით? იმიტომ, რომ არ დაესახელებინა სხვა მაღალჩინოსნები, რომლებიც ადამიანების გატაცებასა და მერე ფულის გამოძალვაში მონაწილეობდნენ. საბოლოოდ მინისტრის დონემდე მიდიოდა ყველაფერი... **ბათუ სალინაძემ** არამარტო ადამიანების გატაცებისა და ფულის გამოძალვის სქემა, არამედ დიდი ოდენობით ნარკოტიკების ბრუნვის სქემაც გაშიფრა, რაშიც ასევე პოლიციის მაღალჩინოსნები იყვნენ ჩართული. აქედან გამომდინარე, **ბათუ სალინაძე** უკვე ამ მკვლელებისა და ნარკომოვაჭრეებისათვის წარმოადგენდა საშიშროებას. ამიტომაც დაიჭირეს და ავჭალაში სახლი ჩამოართვეს, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ არ დაუბრუნა... ამის გამო ინერვიულა, დაემართა კიბო და თავისუფლებაზე მყოფი გარდაიცვალა.

**— გამოდის, სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნები გაურიგდნენ შევარდნაძის ხელისუფლების მაღალჩინოსნებს და ჩაფარცხეს მათი სიბინძურეები!**

— შესაბამისად, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მაღალჩინოსნები გაურიგდნენ სააკაშვილის მაღალჩინოსნებს და ცხრა თვეში შეეზარდნენ ერთმანეთს! სააკაშვილის ყველა მაღალჩინოსანი დღესაც მაღალჩინოსანია... ვანო მერაბიშვილის მხოლოდ ოთხი მოადგილე და გენერალური ინსპექციის უფროსი გადადგა, თორემ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსები, დეპარტამენტების უფროსები „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, როტაციის წესით, სხვადასხვა ადგილზე გადაიყვან-გადმოიყვანა. სააკაშვილის დროინდელი პოლიციის უფროსები დღევანდელი ძალოვანი მაღალჩინოსნების პირისფარეშებად მუშაობენ, მათთან არიან, მათ ეზოკარს იცავენ და უვლიან... იგივე მოხდა პროკურატურაშიც და სასამართლოშიც. იგივე სიტუაციაა ყველგან. **საუბედუროდ, საქართველო ამ დამღუპველ კოჰაბიტაციას დღემდე ეწირება!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„ბათუ სალინაძე იყო შესანიშნავი გამომძიებელი! მან ლევან კალაძის საქმე გახსნა... საჭირო იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების აყრა და დაჭერა, რაც ვანო მერაბიშვილსა და სააკაშვილის ხროვას არ აწყობდათ, რადგან დალაგებული სიტუაცია აერეოდათ!“**





ბათუ სალინაძე

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



მთელი ევროპა **ამერიკის პოლიტიკაზეა მიბმული** და აშშ-იდან წამოსულ რეაქციას ელოდება. შესაბამისად, **ოპოზიციას არა აქვს დიდი დრო,** რადგან საქართველოს არჩევნებმა უკვე მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

„რეზონანსი“

**დავით ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



მხოლოდ იმის ძახილი — **არჩევნები გაყალბდაო,** საკმარისი არ არის. იმაზე, რასაც დღეს აპროტესტებენ, **არცერთი საჩივარი არ დაუწერიათ.** ახლა იძახიან — **მეორე მხარეს მელანი ჩანდა, ბიულეტენი კონვერტში ბოლომდე ჩადებული არ იყოო,** არადა, არჩევნები ანალოგიური პრინციპით არაერთ ევროპულ ქვეყანაში ტარდება.

„ახალი თაობა“

**ანა ნიკოლიძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



**პროკურატურიდან დამირეკეს,** დაკითხვაზე დამიბარეს — **მისვლას არ ვაპირებ.**

„ახალი თაობა“

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



არასდროს **ასე მტკიცედ** ჩვენ გვერდით არ მდგარა დასავლეთი.

„ახალი თაობა“

# რა უნდა იცოდეს ქართველმა

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2024 წლის №29-47*

*მუჰაჯირ არაბული სიტყვაა და ქართულად გადასახლებულს ნიშნავს. შესაბამისად, მუჰაჯირობას გადასახლება შეესატყვისება.*



## *დიმიტრი სტაროსელსკი:* არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება სოხუმის სამხედრო დანაყოფის მხრიდან საფრთხის ასაცილებლად – ესაა აფხაზეთის მოსახლეობის თურქეთში გადასახლება!

## 1880 წელს რუსებმა აფსუებს სოხუმიდან 20 კილომეტრის რადიუსში დასახლება აუკრძალეს!

**მუჰაჯირობა** უაღრესად ტრაგიკული სამხედრო-პოლიტიკური პროცესი იყო, რომელიც ატარებდა ეთნიკური წმენდის ხასიათს და გულისხმობს ავტოქტონი კავკასიელების, ძირითადად, მუსლიმური აღმსარებლობის მკვიდრი მოსახლეობის ძალდატანებით გადასახლებას ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სახელმწიფოებში — თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ეგვიპტესა და არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში.

საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ 1859 წლის ზაფხულში უნიჭიერესი ქართველი და რუსი გენერლების — **გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი მილიუტინის, ლევან მელიქიშვილის, ნიკოლაი ევდოკიმოვის, ალექსანდრე ვრანგელისა და იოსებ თარხან-მოურავის** აქტიური მონაწილეობით რუსეთის არმიამ **შამილის** უკანასკნელი თავშესაფარი აული ღუნიბი გარემოიცვა, რომელიც 25 აგვისტოს დაეცა. უახლოეს თანამებრძოლთაგან ნაღალატევმა კავკასიის იმამმა **შამილმა,** რომელიც 400 მიურიდისა და 4 სამთო ზარბაზნის იმედად იცავდა თავს, თავისი ხმალი კავკასიის არმიის მთავარსარდალს, ინფანტერიის გენერალ **ალექსანდრე ბარიატინსკის** გადასცა. რუსეთის იმპერატორმა **ალექსანდრე მეორემ** მიღწეული უდიდესი წარმატება **ბარიატინსკის** დაუფასა და გენერალ-ფელდმარშლის წოდება მიანიჭა.

**საისტორიო ბედისწერით, ამ ამბიდან ზუსტად 19 წლის შემდეგ, ანუ სწორედ შამილის დატყვევების დღეს, 1878 წლის 25 აგვისტოს, თურქეთთან ომში გამარჯვებული ძლევამოსილი რუსეთის არმია ბათუმში შევიდა და აჭარა ოსმალეთის სამასწლოვანი მონობისგან გაათავისუფლა.** კავკასიის დიდი ომი, რომელიც 1817 წელს დაიწყო და 1864 წელს დასრულდა, **შამილის** დატყვევებით რუსეთის იმპერიამ ხერხემალში გადატეხა და დაიწყო მზადება იმ დიდი და მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად, რომელიც **„ევდოკიმოვისა და მილიუტინის პროექტების“** სახელწოდებით არის ცნობილი. ეს პროექტები მიზნად ისახავდა კავკასიიდან ავტოქტონი მთიელების თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებში გადასახლებას და მათ ადგილზე იმპერიის ერთგული რუსების, კაზაკების, სომხებისა და ოსების ჩასახლებას.

**აფსუათა მუჰაჯირობაც** სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომელიც 1864, 1866 და 1877 წლებში სამ ეტაპად განხორციელდა. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ მუჰაჯირობა აფხაზეთში ხუთ ეტაპად მოეწყო და მათ შორის ყველაზე უფრო სისხლიანი იყო მესამე განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, პოლკოვნიკ **ნიკოლოზ მურავიოვის** მიერ 1840-1841 წლებში დატრიალებული უბედურება, როცა ის ცეცხლითა და მახვილით შეიჭრა დალის ხეობაში და აფსუები თავიანთი საცხოვრისიდან აყარა.

ამერიკელი მეცნიერები ყოველთვის ცდილობენ, მიაყურისძირონ და მიჩქმალონ ის ფაქტი, რომ შეერთებული შტატები იმ 30 მილიონი ინდიელის ძვლებზე წამოიმართა, რომელიც ევროპიდან ჩამოსულმა პროფესიონალმა მკვლელებმა და განგსტერებმა გაჟუჟეს. მაგრამ იმავე ამერიკელმა და ევროპელმა მეცნიერებმა, მათ შორის, **ჯონ კოლარუსომ და ფრედერიკ კოენმა,** რომლებიც კავკასიის საკითხებზე და, მათ შორის, კავკასიურ ენებზე მუშაობენ, დაადგინეს, რომ **1859 წლიდან 1920 წლამდე რუსეთის იმპერიამ კავკასიიდან დაახლოებით 2 მილიონ 500 ათასი ავტოქტონი მთიელი გადაასახლა!** ეს გადასახლება, ანუ **მუჰაჯირობა** ზოგიერთი კავკასიელი ეთნოსისთვის საერთოდ დამღუპველი აღმოჩნდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აბორიგენი კავკასიელების — **უბიხების** ბედი, რომლებიც 1864 წლის მარტში კავკასიის ეთნიკური რუკიდან საერთოდ გაქრნენ. **უბიხები,** რომლებიც დღევანდელი სოჭის შემოგარენში ცხოვრობდნენ, აფსუების, ჩერქეზებისა და ადიღეელების ტომისანი იყვნენ. თურქეთსა და კოსტრომის გუბერნიაში გადასახლების შემდეგ ისინი ადგილობრივ მოსახლეობაში აირივნენ და ამოწყდნენ. ცნობილია, რომ უკანასკნელი უბიხი —**ტევფიკ ესენჩი,** რომლის მშობლიური ენაც უბიხური იყო, 1992 წელს თურქეთში გარდაიცვალა.

ზუსტად არავინ იცის, რამდენი აფსუა შეეწირა მუჰაჯირობას... აფსუა ვაი-მეცნიერები, რომლებიც რუსების შიშით მუჰაჯირობის ნამდვილი მიზეზების შესახებ სიმართლეს ვერ ამბობენ და აფსუა ბავშვებს სკოლაში სიტუტუცეს ასწავლიან — **აქაოდა, მაშინაც ქართველებმა გვიმტრეს და მათ გაგვასახლესო!** — ირწმუნებიან, რომ დაახლოებით 50 ათასი აფსუა გაასახლეს! არავინ იცის, ეს სიმართლეა თუ არა, მაგრამ არსებობს **ნიკო მარის** ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ აფსუების აფხაზეთიდან აყრისა და თურქეთში გადასახლების მასშტაბებზე ასე თუ ისე წარმოდგენას გვიქმნის. უდიდესი ენათმეცნიერი წერს: ***„აფხაზეთის ცენტრალური ეთნოგრაფიული ნაწილიც კი გაუკაცურდა... დარჩა მხოლოდ გაველურებული ეზოები, არ იყო არცერთი აფხაზი და არ ისმოდა აფხაზური სიტყვა!“***

აფსუა მეცნიერების მონაცემებისგან განსხვავებით, საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ცნობების თანახმად, 1864, 1866 და 1877 წლებში სულ თურქეთსა და სხვა მუსლიმურ ქვეყნებში აფხაზეთიდან, წებელდა-დალთან ერთად, სულ გადაასახლეს არა დაგეგმილი 4500, არამედ 3358 ოჯახი, ანუ 19 ათას 342 აფსუა!

ცნობილია, რომ 1920 წლის 19 თებერვალს გააფსუებული ქართველი მუჰაჯირები — **მარშანია და მარღანია** სტამბოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს **გრიგოლ რცხილაძეს** შეხვდნენ, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა მიულოცეს და შეატყობინეს, რომ 150 ათასი აფსუა მუჰაჯირი მზად იყო, სამშობლოში დაბრუნებულიყო. როგორც **გრიგოლ რცხილაძე** იგონებს: ***„მათ განაცხადეს, რომ, როგორც ისინი პერსონალურად, აგრეთვე ყველა აფხაზი საქართველოსთან ერთობის მომხრენი არიან და მომავალში ამისათვის იმუშავებენ. მათი სიტყვით ოსმალეთში ასეთი მუხაჯირების რიცხვი 150 000 აღწევს... ამიტომ გთხოვთ, იქონიოთ ეს მხედველობაში და ოსმალებთან ზავის შეკვრის დროს მოითხოვოთ, რომ უზრუნველყოფილი იქნას საგანგებო დადგენილებით იმ მუხაჯირებისთვის, რომელნიც გადმოსახლებულნი არიან ოსმალეთში კავკასიიდან რუსების ბატონობის დროს და აგრეთვე მათი შთამომავლებისთვის — უფლება სამშობლოში დაბრუნებისა.“***

სამწუხაროდ, საქართველოსა და კავკასიაში განვითარებული პოლიტიკური პროცესების გამო **აფსუა მუჰაჯირების** სურვილებს ახდენა არ ეწერა, რადგან ამ შეხვედრიდან ზუსტად ერთი წლისთავზე, საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია საქართველოში შემოიჭრა და დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო.

სხვათაშორის, აფხაზეთის დღევანდელი დე ფაქტო ხელისუფლება და, განსაკუთრებით, **რაულ ხაჯიმბას** ნახევრად ტერორისტული რეჟიმი ბევრს ცდილობდნენ, ოკუპირებულ აფხაზეთში თურქეთში მცხოვრები **აფსუა მუჰაჯირების** შთამომავლები ჩამოესახლებინათ, რომელთა რაოდენობა 300 ათას კაცს აღემატება. როგორც იტყვიან, ამ გეგმის გაცხადება აფსუების საუკუნოვანი ოცნებაა, მაგრამ ამ ოცნებას ჰყავს უძლიერესი დაუძინებელი მტერი — კრემლი, რომელიც სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთი თურქული ანკლავის გაჩენას ცოცხალი თავით არ დაუშვებს! ეს ის საკითხია, რაშიც საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. სწორედ მსგავსი **დამთხვევები** გვიტოვებს იმედს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოჯადოებული წრე გაირღვევა და მოიშლება ის ბარიერები, რომლებიც პოლიტიკურად დამთხვეულებმა და ჩვენი სამშობლოს დაუძინებელმა მტრებმა საქართველოს დასანგრევად შექმნეს!

1864 წლის 24 ივნისს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა მიხეილ რომანოვმა აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს **მიხეილ შარვაშიძეს,** ანუ იმავე **ხამუთბეის** (1806-1866 წ.წ.) გამოუცხადა, რომ აფხაზეთის სამთავრო გაუქმებული იყო. **მიხეილ შარვაშიძე** რუსებს სთხოვდა საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში ცხოვრების ნება დაერთოთ, რაზეც უარი მიიღო და ვორონეჟში გადაასახლეს, სადაც 1866 წლის 16 აპრილს გარდაიცვალა. მაისში მისი ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს და მოქვის ტაძარში დაკრძალეს. 26 ივლისს აფხაზეთში აჯანყება დაიწყო. აჯანყების საბაბი იყო საგლეხო რეფორმა... საერთოდ, აფხაზეთში ბატონყმური ურთიერთობა ისეთი მკაცრი და რეგლამენტირებული არასოდეს ყოფილა, როგორც დანარჩენ საქართველოში. აფხაზეთში გლე-



## *გრიგოლ რცხილაძე:*

**მათ განაცხადეს, რომ, როგორც ისინი პერსონალურად, აგრეთვე ყველა აფხაზი საქართველოსთან ერთობის მომხრენი არიან და მომავალში ამისათვის იმუშავებენ. მათი სიტყვით ოსმალეთში ასეთი მუჰაჯირების რიცხვი 150 000 აღწევს!**

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ქართველმა ხალხმა უმრავლესობით აირჩია „ქართული ოცნება“. შესაბამისად, **სახალხო ლეგიტიმაცია მისცა მმართველ პოლიტიკურ ძალას** და პარლამენტის პირველ სხდომაზე კონსტიტუციურად გაფორმდება მოქალაქეთა უმრავლესობის ნება.

„იმედინიუსი“

**გურამ პეტრიაშვილი**
*მწერალი*



**ივანიშვილი** სულელი ნამდვილად არ არის, მან თქვა — **თუ წავალ, ომი დაიწყება, როგორც უკრაინა, ისე ამოვწყდებითო და ამან ხალხზე ძალიან იმოქმედა.** მე უკრაინელებმა 20 წელიწადი შემიფარეს სამშობლოდან განდევნილი და მათი უბედურება ჩემი უბედურებაც არის. **მეც მეშინია ომის.**

„კვირის პალიტრა“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



**ტრამპის** ამოცანა საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე არის ოთხეულის: **ჩინეთის, რუსეთის, ირანის და ჩრდილო კორეის დაშლა! ივანიშვილი** ცდილობს, ამ ოთხეულის დანამატი იყოს.

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



ივანიშვილი **ტრამპის თეთრ სახლში შესვლასა და მის საგარეო პოლიტიკას** ელოდება.

„ახალი თაობა“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



პარლამენტში **ოპოზიციიდან თუ ვინმე შევა,** საკუთარ თავს განაჩენს გამოუტანს.

„ახალი თაობა“

# აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?

ხი ერთ ბატონზე მიმაგრებული არ გახლდათ და უფლება ჰქონდა, ბატონი გამოეცვალა, რაც მაშინ წარმოუდგენელი ამბავი იყო. **ბატონყმურ ურთიერთობაში მსგავსი თავისუფლება ქმნიდა იმის ცდუნებას, რომ ზოგიერთი ეთნიკური ქართველი აფხაზეთში გაქცეულიყო და თავი აფსუად გაესაღებინა, ანდა საკუთრივ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები, ძირითადად, მეგრელები გააფსუებულიყვნენ!** მეტწილად სწორედ ასე იქცნენ **მარღანიები, ჯინჯოლიები, კვარაცხელიები, გიორგაძეები, აფაქიძეები, ლორთქიფანიძეები** და სხვა ნებისმიერი ქართული გვარის წარმომადგენლები **აფხაზებად,** ანუ სინამდვილეში **აფსუებად!** თუმცა, ქართველების გააფსუებას სხვა მიზეზებიც ბევრი ჰქონდა.

1866 წლის 26 ივლისს სოფელ ლიხნიში, ლიხნაშთას ველზე, დაახლოებით 7 ათასი შეიარაღებული აფსუა შეიკრიბა. ისინი შეეცადნენ, ვორონეჟში გარდაცვლილი **მიხეილ შარვაშიძის,** ანუ იმავე **ხამუთ-ბეის ვაჟი გიორგი შარვაშიძე** გაემთავრებინათ, რასაც რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაცია ცივი უარითა და ხიშტებით შეხვდა. მოკლედ, 1864 წლის 24 ივნისს აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამ და 1866 წელს თავად **მიხეილ შარვაშიძის** ვორონეჟში გარდაცვალებამ, თან იმ ფონზე, როცა რუსულმა ადმინისტრაციამ გარდაცვლილი თავადის მემკვიდრეს — **გიორგი შარვაშიძეს** აფხაზეთში გამთავრებაზე უარი უთხრა, აფხაზეთში მუჰაჯირობის პირველი ტალღა გააძლიერა და 1867 წლის მონაცემებით, ქვეყნიდან დაახლოებით 20 ათასი აფსუა გაასახლეს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ 1810 წლიდან მოყოლებული, რაც აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერიამ შეიერთა, აფხაზეთში არაერთი აჯანყება მოხდა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია **1821 და 1824 წლების აჯანყებები,** რომლებიც რუსებმა სისხლში ჩაახშვეს, ამასთან, ვიდრე შამილი არ დაატყვევეს და 1864 წელს აფხაზეთის სამთავრო არ გააუქმეს, აფხაზეთში ფეხი მკვიდრად ვერ მოიკიდეს. ამას ადასტურებს 1858 წლის 12 აგვისტოს აფხაზეთში განლაგებული რუსეთის ჯარების ხელმძღვანელის **ლორის-მელიქოვის** მიერ გაგზავნილი რაპორტი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის **გიორგი ერისთავისადმი,** სადაც ის წერს: ***„ჩვენ დავიკავეთ სოხუმი 1858 წლის 12 აგვისტოს. თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა და უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი გავლენა აფხაზეთში, პრაქტიკულად, არც გაზრდილა... ჩვენ კი არ ვფლობთ, მხოლოდ ვიკავებთ აფხაზეთს!“***

მუჰაჯირობის აუცილებლობას პეტერბურგის საიმპერატორო კარი ისევ და ისევ იმპერიის სამხრეთის საზღვრებზე სიმშვიდისა და უსაფრთხოების დაცვის მიზეზით ხსნიდა. ამ მხრივ მრავლისმთქმელია მთიანი კავკასიის ხელმძღვანელის **დიმიტრი სტაროსელსკის** 1866 წლის 27 ოქტომბრით დათარიღებული წერილი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ **დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისადმი,** სადაც ვკითხულობთ: ***„არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება სოხუმის სამხედრო დანაყოფის მხრიდან საფრთხის ასაცილებლად — ესაა აფხაზეთის მოსახლეობის თურქეთში გადასახლება!“***

1866 წლის აფხაზეთის აჯანყებიდან ერთი წლის შემდეგ, 1867 წლის ივნისში, გაზეთი „დროება“ წერდა: ***„აფხაზები ძალიან დასევდიანებულები არიან... სამურზაყანო შიშით კანკალებს, რომ შეიძლება გადასახლება მათაც შეეხოთ. წავიდნენ წებელდელები, დალელები, გუპელები. აბჟუას ოლქიდანაც (Уезд) ბევრი წავიდა. გააძევეს თავისი სამოსახლოდან ჭილოელები, ჯგერდინები...“***

მუჰაჯირობამ აფხაზეთის ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთი რაიონები მთლიანად უკაცრიელი გახადა... ამის სადემონსტრაციოდ მოვიტანთ ერთ ფაქტს. მაგალითად, 1867 წელს წებელდიდან და დალის ხეობიდან რუსებმა 15 ათასი აფსუა თურქეთში გადაასახლეს, რადგან ამ პუნქტებს სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, იმპერიისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ტერიტორიები ისე დაცარიელდა, 1874 წელს, როცა ინგლისელმა მოგზაურმა **ბროვემ** ყარაჩაიდან კოდორის ხეობის მიმართულებით იმოგზაურა, სინანული ვერ დამალა — **„ხეობის ზემო ნაწილი სრულიად უკაცრიელი იყო!“**

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მუჰაჯირობა სამურზაყანოს, ანუ, ფაქტობრივად, დღევანდელ გალის რაიონს, არ შეხებია. ამის მიზეზი ის იყო, რომ სამურზაყანო, ძირითადად, ეთნიკური ქართველებით — მეგრელებით იყო დასახლებული, რომლებიც ანდრია პირველწოდებულიდან მოყოლებული ქრისტეს რჯულსა და მცნებას ერთგულად იცავენ და აღიარებენ. ამას აფსუებზე ვერ ვიტყვით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მე-19 საუკუნეშიც კი წარმართი იყო და ხეებს ეთაყვანებოდა, ხოლო ნაწილი ისლამის მიმდევარი გახლდათ. **აფსუებს იმდენად არ უნდოდათ თურქეთში გადასახლება, რომ ქრისტიანობას სიხარულით ღებულობდნენ, მაგრამ მეფის რუსეთი თავისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების შესრულებისას შეუბრალებელი იყო. პეტერბურგის საიმპერატორო კარს მცირერიცხოვანი ერის მიმართ გამოჩენილი გულქვაობის მიზეზი ჰქონდა... საქმე ის გახლავთ, რომ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში აფსუები აშკარად ღალატის გზას დაადგნენ და რუსეთის წინააღმდეგ ომში თურქეთის მხარე დაიჭირეს!**

თუ 1853-1856 წლების ყირიმის ომში აფსუები და აფხაზეთის მთავარი **მიხეილ შარვაშიძე — ხამუთ-ბეი** რუსეთისადმი ერთგულებას არ ღალატობდნენ და იმპერიას ბევრი სასარგებლო საქმეც გაუკეთეს, 1877-1878 წლების საომარი კამპანიის დროს აფხაზეთში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. კერძოდ, **აფსუები,** რომლებიც სამთავროს გაუქმებისა და მუჰაჯირობის ყოვლის წამლეკავი პროცესის გამო რუსებზე დაბოღმილი იყვნენ, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში თურქებს მიემხრნენ. ამას საშინელი შედეგები მოჰყვა და აფსუების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რადგან 1877 წელს დაიწყო მუჰაჯირობის კიდევ ერთი — უკანასკნელი ტალღა!

აფსუათა ყოფა კიდევ უფრო აუტანელი გახდა მას შემდეგ, რაც 1880 წელს რუსეთის ხელისუფლებამ აფსუებს **„დამნაშავე ხალხის“** სტატუსი მიანიჭა და სოხუმსა და მის შემოგარენში, ასევე მთასა და ზღვის სანაპიროზე, დასახლების უფლება ჩამოართვა. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, **1880 წელს რუსებმა აფსუებს სოხუმიდან 20 კილომეტრის რადიუსში დასახლება აუკრძალეს!**

ადრეც ვთქვით და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ რუსეთის იმპერატორმა აფსუებს **„დამნაშავე ხალხის“** სტატუსი დიდი ქართველისა და დიდი აფსუის **გიორგი შარვაშიძისა** და ქართველი ერის საუკეთესო შვილების დაუღალავი მეცადინეობით მხოლოდ 1907 წელს მოუხსნა!

**უბედურება ის არის, რომ ამ ყველაფერს აფსუა ვაი-მეცნიერები ისე აშუქებენ და აღწერენ, თითქოს აფსუები აფხაზეთიდან რუსებმა კი არა, ქართველებმა გადაასახლეს!**

სწორედ ამ ვაი-მეცნიერების დამსახურებაა, რომ ერთ-ერთი სოხუმელი აფსუა რომელიღაც უკრაინელ ბლოგერს ამასწინათ პირდაპირ ეთერში უმტკიცებდა — **აფხაზეთში გვაქვს სვიმონ კანანელის სახელობის ტაძარი, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტეს მოსვლამდე ავაშენეთო!**

***დიტო ჩუბინიძე***



„მთიელები სოფელს ტოვებენ“. პეტრე გრუზინსკის ნახატი

## 1859 წლიდან 1920 წლამდე რუსეთის იმპერიამ კავკასიიდან დაახლოებით 2 მილიონ 500 ათასი ავტოქტონი მთიელი გადაასახლა!



## *ნიკო მარი:*

## აფხაზეთის ცენტრალური ეთნოგრაფიული ნაწილიც კი გაუკაცურდა... დარჩა მხოლოდ გაველურებული ეზოები, არ იყო არცერთი აფხაზი და არ ისმოდა აფხაზური სიტყვა!

### კვირგვინოსნები

**ნინო ნიღოსანი**
*პარლამენტარი*



არ დავიღლები კითხვით და მოწოდებით ჩვენი პარტნიორების მიმართ, რომ **იქნებ, აგვიხსნან, ჩვენი ოჯახების სიძლიერე როგორ უშლის ხელს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს.** „TV იმედი“

**ზრანისლავ ონდრუში**
*ევროპარლამენტარი*



საქართველოში არსებული ვითარება **ევროკავშირისა და აშშ-ის უსამართლო პოლიტიკის შედეგია,** ვფიქრობ, ევროპარლამენტმა და ევროკომისიამ უნდა დაიწყონ რაციონალური დიალოგი საქართველოს მთავრობასთან.

„პირველი არხი“

**ლუბოშ ბლაჰა**
*ევროპარლამენტარი*



მინდა, გულითადად მივულოცო „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გამარჯვება, **ოპოზიციამ წააგო.** „ქართულ ოცნებას“ აქვს მსგავსი პროგრამა, როგორც პარტია „სმერს“ სლოვაკეთში. **ჩვენ ვეწინააღმდეგებით რადიკალურ ლგბტ იდეოლოგიას და მაიდნის მსგავს რევოლუციებს**, რომლებსაც დასავლეთი აფინანსებს. დემოკრატია დასავლეთისთვის მხოლოდ მაშინ მუშაობს, როდესაც ისინი იგებენ.

„პირველი არხი“

**ეკა სეფაშვილი**
*პარლამენტარი*



საქართველოს მოქალაქეებს **უვიზო მიმოსვლის საშუალება** რომ მისცემოდათ, ქვეყანამ გასწია უზარმაზარი ძალისხმევა, ერთი ხელის მოსმით **უვიზო მიმოსვლის შეჩერება** არ მოხდება. „პირველი არხი“

# „სალომე ზურაბიშვილის მაგალითზე უნდა გვახსოვდეს, თუ რა ემართებათ ფრანგ აგენტებს!“


სალომე ზურაბიშვილი და ემანუელ მაკრონი

*ამერიკელი ჟურნალისტი, ჟურნალ „ვეტერანს თუდეის“ საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელი* ***ჯეფრი სილვერმანი*** ***გვესაუბრება საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე:***

— თეთრ სახლში **დონალდ ტრამპის** დაბრუნების კვალდაკვალ ვითარება შეიცვლება არამარტო ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში. **ტრამპი** თავის ხალხს სტაბილურობასა და ეკონომიკურ აღმასვლას დაჰპირდა, ხოლო მსოფლიოს — მშვიდობას. როგორც ჩანს, მან და **პუტინმა** უკრაინასთან დაკავშირებით უკვე მოილაპარაკეს და ომი, რომელიც თავიდანვე არ უნდა დაწყებულიყო, მალე შეწყდება. მსოფლიოს მოუწევს აღიარება, რომ ეს სისხლიანი ბაკქანალია უკრაინას თავს მოახვია ევროკავშირისა და აშშ-ის უგუნურმა პოლიტიკამ. უკრაინის დღევანდელი მდგომარეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს, როცა ქვეყანა ნებას რთავს გარე ძალებს, ჩაერიონ მის საშინაო პოლიტიკაში და მოაწყონ რევოლუცია. **საქართველოს ხელისუფლება სწორედ ახლა იგერიებს იმავე ძალებს, რომლებიც აგრესიული ოპოზიციის გამოყენებით ქვეყნის სტაბილურობას უთხრიან ძირს და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ცდილობენ.**

**— მიუხედავად არჩევნებში ოპოზიციის მარცხისა, ევროკავშირი მაინც აგრძელებს მის მხარდაჭერას...**

— ევროპარლამენტის ცალკეული წევრები იმავე მასალისაგან არიან ჩამოსხმული, რისგანაც საქართველოს ოპოზიციის უმეტესი ნაწილი და ისეთ ადგილს ეძებენ, სადაც ადვილად მოახერხებენ ჯიბეში ფულის ჩადებას. მათ აქვთ მხოლოდ ფინანსური ინტერესი და კარგად იციან, რომ აქაური ოპოზიციაც მხოლოდ ფულის სუნს მიჰყვება. ახლა იმუქრებიან, პარლამენტში არ შევალთო, თან ერთმანეთსაც არ ენდობიან, ყველამ ერთად უნდა ვთქვათ უარიო... ოპოზიცია და ყალბი არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს მხოლოდ უბედურებას მოუტანენ, ხალხი არ უნდა აჰყვეს მაგათ. რაც მთავარია, საქართველოს მთავრობა სწორი გზით მიდის და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა აქვს აღებულის.

**გამჭვირვალობისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონის მიღება იყო ის ქვაკუთხედი, რაზეც ეს სახელმწიფო უნდა აშენდეს!**

**— ოჯახურ ფასეულობებს უბრუნდება ამერიკაც...**

— ამერიკას შესაძლებლობა მიეცემა, დაუბრუნდეს ტრადიციულ ღირებულებებს და აკრძალოს სქესის შეცვლის ოპერაციები. ამერიკელებს აღარ შეეშინდებათ, ღიად განაცხადონ, რომ ქორწინება დასაშვებია მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის. ჯერჯერობით ევროპაში ისევ დაწინაურებულები არიან ერთი სქესის ადამიანების ქორწინების მომხრეები და ფინანსური კრიმინალები, სწორედ მათ ეყრდნობა აქაური ოპოზიცია. ამიტომ ქართველები უნდა იყვნენ ფხიზლად და ყურადღებით. **იმედს ვიტოვებ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის მზარდ განხეთქილებას ტრამპის პოლიტიკა რადიკალურად შეცვლის და მსოფლიო აზროვნებაში დიდი ცვლილებები მოხდება, რათა საზოგადოება დაუბრუნდეს მარადიულ ღირებულებებს.**

**— ჯერჯერობით რიგი სახელმწიფოები თავს იკავებენ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლების აღიარებაზე...**

**— მოუწევთ აღიარება. ვერაფრით ამტკიცებენ თავიანთ ვარაუდებს გაყალბებაზე. ესენი იმასაც ამბობდნენ, რუსეთს სანქციებს არ მოვუხსნით და არ დაველაპარაკებითო. არადა, რუსეთის ბანკებზე სანქციების მოხსნაც დაიწყეს და რუსული გაზის შესყიდვაც,**

ახლა უკვე იაპონია ავტომანქანების შეტანასაც აღადგენს რუსეთის ბაზარზე. შოლციც დაელაპარაკა პუტინს და რაღაცებზე შეთანხმდნენ. მანამდე გერმანია აცხადებდა, ვადამდელ არჩევნებს ვერ ჩავატარებ, ბიულეტენების დასაბეჭდი ქაღალდი არ გვაქვსო. მერე ჩამოყალიბდნენ და ჩანიშნეს არჩევნები თებერვალში. ჩემი კახელი მეზობელი ხუმრობდა, კიდევ კარგი, გერმანიაში ტუალეტის ქაღალდი არ გაუთავდათო. ასე რომ, გერმანიაში სავალალო ვითარებაა, ქარხნები იხურება და რაც იქ ხდება, ეს არის დღევანდელი ევროკავშირის წარუმატებელი მუშაობის შედეგი. სამწუხარო ის არის, რომ ამათ მითითებებს ჯერ კიდევ ასრულებს ჯერჯერობით ისევ პრეზიდენტის სავარძელში მჯდარი **სალომე ზურაბიშვილი,** რომელიც იმავე ნოტაზეა, რომელზეც „ვივამედის“ მუდმივი პაციენტი სააკაშვილი.

**— სალომე ზურაბიშვილს არაერთხელ შეახსენეს, რომ პრეზიდენტის სავარძელში სულ რამდენიმე პარასკევიღა იჯდება...**

— ზურაბიშვილი უკვალოდ გაქრება ქართული პოლიტიკური ლანდშაფტიდან. თუმცა, გამოვიძიებდი, რის სანაცვლოდ მოხდა მისი გადასვლა ოპოზიციაში. შეიძლება, მას და სააკაშვილს ერთად უნდათ სადმე წასვლა, მაგალითად, ჯოჯოხეთში. სააკაშვილი აქ სახელმწიფო გადატრიალების იმედით ჩამოვიდა და რაკიღა კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ეს მისია **ზურაბიშვილმა** იტვირთა. არადა, ყველა მისი მცდელობა ოპოზიციასთან ერთად წარუმატებელი აღმოჩნდა. **სალომე ზურაბიშვილის მაგალითზე უნდა გვახსოვდეს, თუ რა ემართებათ ფრანგ აგენტებს.**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



## ჯეფრი სილვერმანი:

# ზურაბიშვილი უკვალოდ გაქრება ქართული პოლიტიკური ლანდ-შაფტიდან!

## კვირგვინოსნები

**გიორგი კობერიძე**
*ანალიტიკოსი*



თუ **ტრამპი** დაინახავს, რომ **ჩვენი ხელისუფლება ამერიკის ინტერესების წინააღმდეგ არ მიდის,** პრობლემა არ ექნება. საქართველო კავკასიის გასაღებია და **ვინც აკონტროლებს საქართველოს, ის აკონტროლებს მთელ კავკასიასაც.**

„კვირის პალიტრა“

**მამუკა არეშიძე**
*უსაფრთხოების ექსპერტი*



**ტრამპი** შეუვალი იქნება **ლგბტ პროპაგანდასთან ბრძოლაში.** ამერიკელებს სჯერათ, რომ **ის დაიცავს ოჯახურ სიწმინდეებს, ტრადიციებსა და ღირებულებებს.**

დასავლეთში **მიმდინარეობს კულუარული მოლაპარაკებები** მსხვილ მოთამაშეებსა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის.

„კვირის პალიტრა“

**ზვიად ძიძიგური**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



პარლამენტში შესვლა იქნება **პოლიტიკური თვითმკვლელობა** — განვიხილავთ სხვადასხვა სცენარს.

„პალიტრანიუსი“

**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპული დემოკრატების“ გენერალური მდივანი*



**ვიზალიბერალიზაციის შეჩერება** შესაძლებელია, იყოს, მაგრამ **ეს იქნება უმსგავსო სისულელე ევროკავშირის მხრიდან.**

„ახალი თაობა“

**ნინო ფუჩხუა**
*ექსპერტი*



**ბვარამიების, მელიების, ჯაფარიძეების** ლეგიტიმაცია ახლად არჩეულ პარლამენტს არ სჭირდება, **დღევანდელ პარლამენტს ქართველი ხალხის ლეგიტიმაცია აქვს!**

„იმედინიუსი“






# გემრიელი იოდი

*არის ხილის ისეთი სახეობები, რომლებიც ისევე, როგორც ცხოველური საკვები პროდუქტი, ჭარბად შეიცავენ **იოდის** გარკვეულ რაოდენობას. აღნიშნული სახის ხილის სახეობებიდან გამოყოფენ განსაკუთრებით ორს, კერძოდ, **ხურმას** და **ფეიხოას** და ამ მხრივ მათ თვლიან ჩემპიონებად.*

ნებისმიერი ხილი ბაზარში შესაბამისად სხვადასხვა დროს შემოდის. ამიტომაა პრობლემური საჭიროებისამებრ მთელი წლის განმავლობაში ამ ხილის საკვებად გამოყენების შესაძლებლობა.

**საკვებად ხურმისა და ფეიხოას გამოყენებას კომპენსაციას უკეთებს ამ ხილის ჭარბად მიღება მათი სრული სიმწიფის პერიოდში, მითუმეტეს დაჩირვის, მშრალი ფორმით, ამ ხილის მიღების შესაძლებლობისათვის ზამთრის გარდა სხვა დროისთვისაც არ არსებობს პრობლემა.**

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფეიხოასა და ხურმის ნაყოფებს ადამიანი სამკურნალოდ ყოველთვის იყენებდა როგორც ტრადიციული, ისე კლასიკური მედიცინის მიმდევრები.

**ფეიხოას** ნაყოფი უაღრესად გემრიელია, რადგანაც მის ნაყოფში ჰარმონიული შეფარდებითაა წარმოდგენილი **მარწყვისა და ანანასის** გემო, მაგრამ გარდა ამისა, მისი ნაყოფის რბილობში ჭარბად შედის **ასკორბინის მჟავა, ორგანული მჟავები, პექტინი და სხვა ნივთიერებები. ფეიხოას ნაყოფის ზემოთ აღნიშნული ყველა ღირსება აშკარაა, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ მისი ნაყოფის რბილობი დიდი რაოდენობით შეიცავს იოდს, რომლის გემოც მისი საკვებად გამოყენების დროს აშკარად იგრძნობა. ფეიხოას** ნაყოფის კვებითი ღირებულების მნიშვნელობას კიდევ უფრო მაღლა სწევს მასში ჰიპერტონიის საწინააღმდეგო ვიტამინი P და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა. ყველა ამ ნივთიერებათა ზემოქმედებით ადამიანებში მკვეთრად იზღუდება გულ-სისხლძარღვოვანთა სისტემის დაავადებები; **ფეიხოაში ვაშლის მჟავას ჭარბი რაოდენობით შემცველობა უაღრესად უწყობს ხელს საჭმლის მონელებას, ამცირებს წყურვილის სურვილს, ხოლო მასში პექტინის ჭარბი შემცველობით ორგანიზმიდან გამოიდევნება მავნე ნივთიერებები და ამაგრებენ სისხლძარღვოვანი სისტემის კედლებს. ფეიხოა** საუკეთესო საშუალებაა **ვენების ვარიკოზული გაფართოების** სამკურნალოდ. გარდა ამისა, ფეიხოა კარგად მოქმედებს პიელონეფრიტზე. **ფეიხოა,** როგორც მატონიზირებელი საშუალება, **კუჭის დაქვეითებული სეკროტორული ფუნქციის დროს, კარგად მოქმედებს ქრონიკულ გასტრიტზე.**

**ფეიხოას** ნაყოფის ქსოვილში **იოდის** შემცველობა შეადგენს 3 მგ%-ს;

იოდის აღნიშნულ რაოდენობას არცერთი სხვა წარმოშობის პროდუქტი არ შეიცავს. აქედან გამომდინარე, ფეიხოას საკვებად გამოყენება, ფაქტობრივად, საუკეთესო საშუალებაა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლის დროს.

**ხურმა** არის მცენარე, რომლის მიერ მოცემული ნაყოფი ძალიან ბევრი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება, რომელთაგანაც შეიძლება გამოვყოთ **ფარისებრი ჯირკვალი, ქრონიკული გასტრიტი, ქრონიკული ფაღარათიანობა, გაცივება ხველებით, სისხლის დენა, წნევის რეგულირება და სხვ. ხურმის** ნაყოფის კვებითი ღირსება უკიდურეს კონკურენციას უწევს ისეთ ხილეულ ტიტანებს, როგორებიცაა ლეღვი და ყურძენი. **ხურმაში** წარმოდგენილი შაქრის თვისობრივ-რაოდენობრივი შინაარსი სასარგებლოა **გულით დაავადებული ადამიანებისათვის,** განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ადამიანი დაავადებულია **გულის მანკით.** ამ მხრივ **ხურმის შაქარი** ძალიან დიდ ფუნქციას ასრულებს გულის კუნთების მუშაობის სტიმულაციისათვის. გულით დაავადებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ **ხურმის ნაყოფის** ქსოვილში ჭარბი რაოდენობით შედის **კალიუმი.** ამას კი მაშინ აქვს უდიდესი მნიშვნელობა, როდესაც პაციენტი ჭარბად ღებულობს სითხისმდენ პრეპარატებს, რომლის დროსაც ადამიანი სითხის დაკარგვასთან ერთად, დიდი რაოდენობით კარგავს ასევე **კალიუმსაც. ხურმის** საკვებად გამოყენება ელექტროლიტური დისბალანსის გამოსწორებისათვის საუკეთესო საშუალებაა. აქედან გამომდინარე, როდესაც კავკასიაში ექიმები გულ-სისხლძარღვოვანი სისტემით დაავადებულ პაციენტებს **ხურმით თერაპიას უნიშნავენ** და ურჩევენ, დღეში საკვებად მიიღონ ამ ხილის 3-4 ნაყოფი, ჭეშმარიტი და გამართლებულია.

შარდკენჭოვანი დაავადების დროს **ხურმის** სამკურნალოდ გამოყენება ძალიან სასარგებლოა. **მკვლევარების მიერ დამტკიცებულია, რომ ხურმის ნაყოფი მდიდარია მაგნიუმით.** აქედან გამომდინარე ლოგიკურია, რომ **ხურმის** საკვებად გამოყენებამ აშკარად უნდა შეამციროს **კენჭების** წარმოშობის პროცესი.

ამრიგად, **ხურმა** თავის ქსოვილში ჭარბად შეიცავს და მრავალ ხილს უწევს კონკურენციას **კალიუმის, კალციუმის, ნატრიუმის, ფოსფორის, მაგნიუმის, რკინისა** და სხვა **მაკრო** და **მიკროელემენტების** შემცველობით, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმისათვის. ისრაელი მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ **ხურმის** ნაყოფი გაცილებით მეტ **ანტიოქსიდანტებს** შეიცავენ, ვიდრე **ციტრუსები. ვაშლს** იგი ადგილს უთმობს მხოლოდ და მხოლოდ **სპილენძისა** და **თუთიის** შემცველობის მხრივ და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, **ხურმაში** მეტია **კაროტინები,** ვიდრე **სტაფილოში.**

ცნობისათვის, **ხურმისაგან** ამზადებენ კონსერვირებული სტაბილიზატორის სახით როგორც წამალს, რომელშიც **იოდი** შედის 40 პროცენტამდე; აღნიშნული პრეპარატი წარმატებით გამოიყენება მსუბუქი და საშუალო ფორმის **თირეოტოქსიკოზის** სამკურნალოდ.

როდესაც საუბარი მიდის **ხურმის** ახალი ხილის სამკურნალოდ გამოყენებაზე, სასურველია, მისი ტექნიკური სიმწიფისა და შესანახი რეგლამენტის მთელ პერიოდში ადამიანმა ყოველდღე საკვებად გამოიყენოს 2-3 ცალი ხურმის ნაყოფი.

**რადგანაც ხურმა, როგორც ხილი, ჩვენს კარმიდამოს არცთუ ისე ხანგრძლივად ამშვენებს, ადამიანმა უნდა იჩქაროს, იგი რაც შეიძლება მაქსიმალურად და ხანგრძლივად გამოიყენოს საკვებად, იმ პერიოდისათვის მაინც, სანამ იგი ჭარბადაა საკუთარ ბაღში ან ბაზარში.**

ზემოთ წარმოდგენილი მასალა აშკარად იმაზე მიანიშნებს, რომ **ხურმის** ნაყოფი ადამიანის მრავალი დაავადების ნაწილობრივად ან მთლიანად განკურნებისათვის დიდ როლს თამაშობს. **ხურმის** ნაყოფის სამკურნალოდ გამოყენების შესაძლებლობების დიდი პროცენტი დამოკიდებულია მის ქსოვილში ელემენტ **იოდის** ჭარბად შემცველობაზე. სწორედ ამან განაპირობა, რომ მკვლევარების მიერ ჩამონათვალი დაავადებებიდან, რომელთა განკურნებაზედაც **ხურმის** ნაყოფი აშკარად დადებითად მოქმედებს, ამ ზემოქმედების მაღალი პროცენტი მოდის **ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის ნორმალურ მუშაობაზე. ხურმის** დადებითი გავლენა **ფარისებრი ჯირკვლის** ნორმალურ ფუნქციონირებაზე არაა მხოლობითი და არსებობს მცენარეთა საკმაოდ დიდი ჩამონათვალი, რომელთა ზემოქმედებაც ენდოკრინოლოგიური პროფილის მატარებელია და გარკვეულწილად ისინიც, ისე როგორც **ხურმის** კულტურა, გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმში ენდოკრინოლოგიური დაავადებების ნაწილობრივად, ან სრულად განკურნების პროცესზე.



**ხურმის ნაყოფის სამკურნალოდ გამოყენების შესაძლებლობების დიდი პროცენტი დამოკიდებულია მის ქსოვილში ელემენტ იოდის ჭარბად შემცველობაზე!**



**თარაზულად:** 1. „სიყვარულსა ... უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა"; 7. ცხენთა შეჯიბრება ჰენებაში; 8. კუნძული ტირენის ზღვაში, კლიმატური საკურორტო ცენტრი; 9. შეჯიბრების დაწყების მომენტი; 13. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სადგომი, გომური; 16. კოლუმბის ექსპედიციის ერთ-ერთი გემი; 17. ღვინით მოვაჭრე; 18. პატარა მტაცებელი ნადირი; 22. ტბა ჩრდილოეთ ამერიკის დიდი ტბების სისტემაში; 25. წვრილად დაჭრილი ხორცისა და ბოსტნეულისაგან გაკეთებული კერძი; 26. მართლმადიდებელ ეკლესიაში სალოცავი ლექსები ან გალობა რაიმე დღესასწაულის ან წმინდანის პატივსაცემად; 27. დაფა, რომელზეც წარწერილია დაწესებულების, ორგანიზაციის სახელწოდება; 32. სპეციალური ტანსაცმელი; 34. ლიტერატურის ჟანრი; 35. უგემოვნოდ დადგმული წარმოდგენა, უხამსი სანახაობა; 36. ერთ-ერთი ხელოვნური ენა, ესპერანტოს ვარიანტი; 41. რაიმე ადგილის საერთო ხედი, პეიზაჟი; 43. მუსიკალური ნოტი; 44. ძველებური რუპორიანი აპარატი, რომელიც გამოსცემს ფირფიტაზე ჩაწერილ ხმას; 45. საფრანგეთის ძველებური ხურდა ფული.

**შვეულად:** 2. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი; 3. მდინარე თბილისში, მტკვრის შენაკადი; 4. ზომიერების გრძნობა, თავაზიანი მოქცევა; 5. ფრანგ მეფეთა ყოფილი სასახლე, ამჟამად ხელოვნების მუზეუმი; 6. საიდუმლო დანაშაულებრივი ორგანიზაცია იტალიაში; 10. სოფელი ხარაგაულის რაიონში, რომელიც ცნობილია შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსით; 11. მშვილდით სატყორცნი მახვილწვერიანი წვრილი ჯოხი; 12. ძალა, არაქათი; 14. ბოლნისის საფეხბურთო კლუბი; 15. ამა თუ იმ დაწესებულებაში მომუშავეთა მთელი შემადგენლობა; 19. მცენარე, რომლის ფესვებისგან აკეთებენ წითელ საღებავს; 20. რაიონული ცენტრი საქართველოში; 21. გახეხილი თუ აზელილი კარტოფილის, ბოსტნეულის ან ხილისგან მომზადებული საჭმელი, საჭმლის საკაზმი; 23. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 24. მდინარე ევროპაში; 28. მანქანა, ხელსაწყო, რომლითაც სითხეს ან აირს იღებენ საიდანმე ან გადააქვთ რაიმეში; 29. თიხის ჯამი; 30. დასარტყმელი თეფში, რომელზედაც უკრავენ რბილთავიანი ჯოხით, იყენებენ სიგნალის მისაცემად; 31. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 33. სირიის ყოფილი პრეზიდენტი; 37. სახელდახელოდ თქმული გამკილავი შინაარსის ლექსი; 38. სამოთხე, ყველაფრით შემკული თვალწარმტაცი ადგილი; 39. სასაზღვრო სოფელი ხელვაჩაურის რაიონში; 40. ცნობილი კოლეჯით განთქმული ქალაქი დიდ ბრიტანეთში; 42. ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დამოუკიდებელი ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრი.

**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. მალვა; 7. მარულა; 8. კაპრი; 9. სტარტი; 13. ბოსელი; 16. „პინტა"; 17. სირაჯი; 18. ენოტი; 22. ონტარიო; 25. რაგუ; 26. ტროპარი; 27. აბრა; 32. უნიფორმა; 34. ესე; 35. ბალაგანი; 36. იდო; 41. ლანდშაფტი; 43. რე; 44. გრამოფონი; 45. სუ.

შვეულად: 2. ალაო; 3. ვერე; 4. ტაქტი; 5. ლუვრი; 6. მაფია; 10. უბისი; 11. ისარი; 12. ილაჯი; 14. „სიონი"; 15. შტატი; 19. ენდრო; 20. კასპი; 21. პიურე; 23. თაობა; 24. დუნაი; 28. ტუმბო; 29. ფიალა; 30. გონგი; 31. ომანი; 33. ასადი; 37. შაირი; 38. ედემი; 39. სარფი; 40. იტონი; 42. ნერუ.



*ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი* ***კახა საბახტარიშვილი*** ***იმ დაავადებებს ჩამოთვლის, რომელსაც თუთიის ნაკლებობა იწვევს და სპორტსმენებს აფრთხილებს, რომ, თუ მუხლის ტრავმა და ე.წ. აქილევსის მყესის გაწყვეტა ხშირად ემართებათ, ორგანიზმში თუთიის დონე შეიმოწმონ:***



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩიჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო-ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“ —** საიმედო დაცვა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**



# კახა საბახტარიშვილი: მამაკაცებს, რომლებსაც თუთია აკლიათ, სქესობრივი ლტოლვა დაქვეითებული აქვთ და უნაყოფობისა და იმპოტენციისთვის არიან განწირული!

— 2 ათასი წლის წინათ ჩინელმა მხედართმთავარმა **სუნ ძიმ** დაწერა უკვდავი ტრაქტატი **„ომის ხელოვნება“,** რომელიც მსოფლიოს ყველა სამხედრო სასწავლებელში ერთ-ერთ სამაგიდო წიგნად ითვლება. ერთგან სუნ ძი წერს: *„უმაღლესი ოსტატობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ას ომში ასჯერ გაიმარჯვო, არამედ იმაში, რომ მტერი ბრძოლის გარეშე დაიმორჩილო!“* ეს სიბრძნე თითქოს მხოლოდ სამხედრო სფეროს ეხება, მაგრამ მსგავსი პრინციპის ამოქმედება მედიცინაშიც არ იქნებოდა ურიგო. საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც კი დაავადება გამოვლინდება, სხვადასხვა ქიმიური მედიკამენტის საშუალებით მის განადგურებას მაშინვე ვცდილობთ და არ ვფიქრობთ იმაზე, რომ შესაძლოა, თავიდან აგვეცილებინა, თუ მისი გამომწვევი მიზეზები გვეცოდინებოდა. მაგალითად, ბევრმა არ იცის, რომ ყველაზე მეტად გავრცელებული არაერთი დაავადების მიზეზი შესაძლოა, ორგანიზმში თუთიის ნაკლებობა იყოს. თუთიის დეფიციტი თითქმის 3 მილიარდამდე ადამიანს აღენიშნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს თუთიის ნაკლებობით გამოწვეული დაავადებები უვითარდება.

**— მაინც რა დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს თუთიის ნაკლებობამ?**

— პრობლემის სათავე იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზმში თუთიის მარაგი არ არსებობს. იგი საკვების მეშვეობით განუწყვეტლივ მხოლოდ გარედან უნდა მივიღოთ. ყველაზე მეტი თუთია პროსტატის ჯირკვალშია. თუთიის გარეშე მამაკაცის სასქესო ჰორმონის — ტესტოსტერონის და სპერმის წარმოქმნა კი შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, მამაკაცებს, რომლებსაც თუთია აკლიათ, სქესობრივი ლტოლვა, ანუ ლიბიდო მკვეთრად აქვთ დაქვეითებული და უნაყოფობისა და იმპოტენციისთვის არიან განწირული. თუთიის ნაკლებობა სათესლე ჯირკვლის ატროფიასაც იწვევს... პროსტატის ჯირკვლის შემდეგ თუთიის ყველაზე დიდი „შემნახველი“ პანკრეასია. მოგეხსენებათ, მეორე ტიპის დიაბეტი უცბად, ერთ დღეში არ ვითარდება. ჯერ სახეზეა **ინსულინრეზისტენტობა,** შემდეგ — **პრედიაბეტი** და ბოლოს **დიაბეტი.** დიაბეტის დროს ინსულინის გამომმუშავებელი „ბეტა“ უჯრედები იფიტება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ პანკრეასის ჯირკვალში თუთიის მარაგი მცირდება და „ბეტა“ უჯრედები იწვება. თუთიის დეფიციტს ბევრი ნახშირწყლებისა და შაქრიანი პროდუქტების მიღება ქმნის. ამიტომ **ყველამ, ვისაც დიაბეტი აწუხებს ან არ აწუხებს, თუთიით მდიდარი პროდუქტი ყოველდღე უნდა მიირთვას!** თუთია შველის ინსულინრეზისტენტობასაც, ანუ იმ მდგომარეობას, როცა ორგანიზმში ინსულინი საკმარისად გამომუშავდება, მაგრამ თავის ფუნქციას ვერ ასრულებს.

**— ცნობილია, რომ იმუნიტეტის გასაძლიერებელი ბევრი წამალი თუთიას შეიცავს, რატომ?**

— მკერდის ძვლის უკან, გულის ზემოთ, მდებარეობს ძალიან მნიშვნელოვანი ჯირკვალი, რომელსაც **თიმუსი** ეწოდება. მას მჭიდრო კავშირი აქვს იმუნურ სისტემასთან. ის ერთგვარად ავარჯიშებს იმუნური სისტემის T უჯრედებს, რომლებიც ათასგვარ ვირუსსა და ბაქტერიას ებრძვიან. თუთიის დეფიციტის დროს იწყება თიმუსის ატროფია, რის გამოც T უჯრედებისა და ანტისხეულების რაოდენობა მცირდება. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ იმ ადამიანებს, ვისაც თუთიის ნაკლებობა აღენიშნებათ, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციები უხანგრძლივდებათ და უფრო მძიმედ გადააქვთ.




## „თუთიის გარეშე A ვიტამინის მიღებას აზრი არა აქვს!“

თუთია აუცილებელია სპორტსმენებისთვის, განსაკუთრებით კალათბურთელების, ფეხბურთელებისა და რაგბისტებისთვის. არის ერთი ღრმა კუნთი, რომელიც მუხლის სახსართან აქილევსის მყესს ემაგრება და დიდ დატვირთვას უნდა გაუძლოს. სწორედ ამიტომაც თუთიის ყველაზე მეტი კონცენტრაცია ამ კუნთში ფიქსირდება და დეფიციტის შემთხვევაში, ამ კუნთის ატროფია ხდება, რის შედეგადაც ხშირია მუხლის ტრავმები, მყესის გაწყვეტა... ამიტომ ყველა სპორტსმენს, რომელსაც ეს პრობლემა ხშირად აწუხებს, ვურჩევ, კარგად გამოიკვლიოს და დაადგინოს, თუთიის დეფიციტი ხომ არა აქვს?

**— კანის სამკურნალო მალამოების უმრავლესობა თუთიას შეიცავს, რატომ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ თუთიის ნაკლებობისას კანი მშრალი, უხეში ხდება და იქერცლება. იგი დიდ გავლენას ახდენს მხედველობაზეც. ბევრ ადამიანს აღენიშნება ე.წ. „ქათმის სიბრმავე“, როცა სიბნელეში ძალიან ცუდად ხედავს. ეს დაკავშირებულია A ვიტამინის ნაკლებობასთან, მაგრამ ბევრმა  არ იცის, რომ თუთიის გარეშე A ვიტამინის მიღებას აზრი არა აქვს! სწორედ თუთია ააქტიურებს A ვიტამინს...

საქართველოში თორმეტგოჯა ნაწლავისა და კუჭის წყლულით დაავადებულთა რიცხვი საკმაოდ მაღალია. გაცილებით მეტია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც გასტრიტი, დუოდენიტი ან კოლიტი აწუხებთ. ასეთი პაციენტები ანთების საწინააღმდეგო და წყლულების მოსაშუშებელ საშუალებებს ხშირად ღებულობენ, მაგრამ, თუ ამ ყველაფერს თუთიასაც დაუმატებენ, მკურნალობის ეფექტი საგრძნობლად გაიზრდება. აქედან გამომდინარე,

## ვისაც გასტრიტი და წყლული აქვს, აუცილებლად თუთია მიიღოს!

თუთიის დეფიციტი ყველანაირი ანთების რისკს მაღლა სწევს, ხოლო, თუ ნაწლავების ანთებასთან გვაქვს საქმე, მაშინ თუთიის ათვისება გაძნელდება და აუცილებლად გვექნება მისი დეფიციტი.

**— მაინც რა იწვევს თუთიის დეფიციტს?**

— თუთიის დეფიციტს იწვევს: 1. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები; 2. კუჭის წვენის სიმჟავის დამწევი პრეპარატები; 3. ტკბილეული და დიაბეტი; 4. სტრესი; 5. პრედნიზოლონის ჯგუფის პრეპარატები; 6. ალკოჰოლი; 7. ღვიძლის პრობლემები; 8. ვეგეტარიანული კვება...

**— რომელი საკვები პროდუქტებით უნდა შევივსოთ თუთიის მარაგი?**

— თუთიის შემცველობის მხრივ ჩემპიონია თევზი და წითელი ხორცი. თუთიას შეიცავს გოგრის თესლიც, რის გამოც ის მამაკაცური პოტენციის ასამაღლებლად და პროსტატის ჯირკვლის სამკურნალოდ საუკეთესო საშუალებაა. შეგვიძლია, თუთია საკვები დანამატის სახითაც მივიღოთ, რომელიც თითქმის ყველა აფთიაქში იყიდება. გვახსოვდეს, რომ სისხლის ანალიზით თუთიის დეფიციტის დადგენა შეუძლებელია, რადგან ის სისხლში თითქმის არ არის და ძირითადად უჯრედებშია.







## „ვისაც დიაბეტი აწუხებს, თუთიით მდიდარი პროდუქტი ყოველდღე უნდა მიირთვას!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## სოფიკო კოპალეიშვილი:

# დედამიწაზე ყველა პროცესს ჰაერი არეგულირებს, მათ შორის, ცოცხალ არსებათა სიმაღლეს, წონას, ჩონჩხის აღნაგობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას!



***რატომ ცოცხლობენ ადამიანები უფრო დიდხანს პამირის, ტიბეტისა და კავკასიის მთებში? რისგან შედგება ჰაერი და რატომ იმატა სიცოცხლის ხანგრძლივობამ მანქანების გამონაბოლქვით დაბინძურებულ მეგაპოლისებში? გამოიწვევს თუ არა ცვლილებებს მაგნიტური პოლუსების გადაადგილება და რას ნიშნავს ჰაერის მუტაცია? ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს ბიოქიმიკოსი, პროფესორი სოფიკო კოპალეიშვილი:***

— უხილავი ჰაერი აირებისგან შედგება: 21 პროცენტი ჟანგბადია, 78 პროცენტი — აზოტი, 1 პროცენტი — მხუთავი აირები: ნახშირორჟანგი, არგონი, ჰელიუმი, ნეონი, კრიპტონი. აზოტის საჭირო კონცენტრაციის გარეშე ვერ ვიცოცხლებთ. ის აკონტროლებს ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიურ რეაქციებს და აუცილებელია უჯრედის ზრდისა და განვითარებისთვის. მას სიცილის აირსაც უწოდებენ.

**— თინეიჯერები ხმას იცვლიან ხოლმე ამ აირით და ბევრს ხალისობენ.**

— სამწუხაროდ, ახალგაზრდებმა არ იციან, რომ მისი ჩასუნთქვა ძალიან სახიფათოა, ასე რომ, უფროსებს მეტი ყურადღების გამოჩენა გვმართებს.

**— მომწამვლელი აირების ჩასუნთქვა ჰაერთან ერთად სახიფათო არ არის?**

— ისინი უდიდეს როლს თამაშობენ ნივთიერებათა ცვლაში — პანიკური შეტევის დროს მინიმუმამდე დაჰყავთ ხელების ოფლიანობა და გულისცემა. ნახშირორჟანგის საჭირო კონცენტრაციის გარეშე შეუძლებელია სუნთქვა და ფოტოსინთეზი. მეცნიერთა მტკიცებით, ასწლიანი ხეების მიერ გამოყოფილი ნახშირორჟანგი ადამიანს ამშვიდებს. ასე რომ, ძველ ტყეში სეირნობა სტრესის დროს უაღრესად სასარგებლოა.

**— სტატისტიკის თანახმად, მანქანების გამონაბოლქვით დაბინძურებული მეგაპოლისების ცენტრში ადამიანთა სიცოცხლე 9 წლით გახანგრძლივდა. რასთან გვაქვს საქმე?**

— სუფთა ჟანგბადი ადამიანს შველის გულისა და ასთმის შეტევების, ასევე მხუთავი აირით მოწამვლის დროს, მაგრამ დიდი ხნით სუნთქვა სუფთა ჟანგბადით სახიფათოა — შეიძლება, ბრონქები დაწვას. თეთრ თაგვებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ სუფთა ჟანგბადმა საცდელ ცხოველებს სასუნთქი ორგანოები დაუზიანა, რაც მათი სიკვდილის მიზეზი გახდა.

**— ადამიანებზეც ასე მოქმედებს?**

— მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ სუფთა ჟანგბადის დოზის გადაჭარბების გამო ადამიანს ფილტვებში სითხე უდგება და მკერდში ტკივილი ეწყება. სახეზეა მოწამვლის სიმპტომები: პირღებინება, თავბრუხვევა, კრუნჩხვები, მხედველობის დაკარგვა და ჰალუცინაციები. პაციენტი შეიძლება, რამდენიმე დღეში დაიღუპოს კიდეც.

**— რა გამოდის, მანქანების გამონაბოლქვი აირები სიცოცხლეს ახანგრძლივებს, სუფთა ჟანგბადი კი ადამიანს კლავს?**

— ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენით პროცესში ჟანგბადი ენერგიას გვაძლევს, მაგრამ იმავდროულად სიცოცხლესაც გვიმოკლებს. მოკლედ, **ჩვენი ორგანიზმი რკინასავით იჟანგება, რაც თავისთავად სიბერესა და სიკვდილს იწვევს, მაგრამ ამ პროცესის შეწყვეტა ყველა ცოცხალი ორგანიზმის უცაბედი სიკვდილის მიზეზი გახდება.**

**— ჟანგბადის კოქტეილებზე რას გვეტყვით?**

— ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჟანგბადით გამდიდრებულ ფიტოჩაისა და ჰაეროვანი ქაფის მქონე წვენების სმა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულებს აჩენს და სიბერეს აჩქარებს.

**— გამოდის, რომ ჩახუთულ ოთახში უფრო ნელა ვბერდებით, ვიდრე კარგად განიავებულში?**

— დაბერების სიჩქარე ჩასუნთქული ჟანგბადის პროპორციულია. **პამირის, ტიბეტისა და კავკასიის მთების ბინადართა სიცოცხლის ხანგრძლივობის მიზეზად მეცნიერები ჰაერში ჟანგბადის ნაკლებობას მიიჩნევენ.** პაკისტანში, სამ ყველაზე მაღალ მთათა სისტემის — ჰიმალაის, ჰინდუყუშისა და ყარაყუმის — შესაყართან ცხოვრობენ ხუნძაკუტები, რომელთა საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა 120 წელია, ზოგიერთები კი 160 წელსაც აღწევენ. მათ არ იციან, რა არის კბილის ტკივილი ან მხედველობის დაქვეითება. მთელ მსოფლიოში მხოლოდ ისინი არ ავადდებიან სიმსივნით. მათთან ასულ მოგზაურებს თავიდან უჭირთ სუნთქვა და მოძრაობა ჟანგბადის ნაკლებობის გამო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ეჩვევიან — ორგანიზმში ჰემოგლობინის დონე იწევს და უჯრედები ჟანგბადს ეკონომიურად ხარჯავენ. მეგაპოლისების ცენტრებსა და მთიან რეგიონებში ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებაც ჰაერში ჟანგბადის ნაკლებობით და ჟანგვის პროცესის შენელებითაა გამოწვეული.






**— გასული საუკუნის დასაწყისში აკადემიკოსმა ვლადიმერ ვერნადსკიმ ჩვენი პლანეტა ცოცხალ ორგანიზმად გამოაცხადა. დედამიწაც აირებით სუნთქავსო — თქვა მოსწრებულად.**

— ქარვაში დაკონსერვებული ისტორიამდელი ატმოსფეროს კვლევამ დაადგინა, რომ 80 მილიონი წლის წინათ, მეზოზოურ ერაში, ჰაერის სიმკვრივეც და აირების შემადგენლობაც არსებითად განსხვავებული იყო, ხოლო ატმოსფერული წნევა დღევანდელთან შედარებით — 10-ჯერ მაღალი. ამჟამად უკვე მეცნიერულად არის დადგენილი, რომ დედამიწაზე ყველა პროცესს ჰაერი არეგულირებს, მათ შორის, ცოცხალ არსებათა სიმაღლეს, წონას, ჩონჩხის აღნაგობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას.

**— კონკრეტულად რა იწვევს ცოცხალ არსებათა სიმაღლისა და წონის ცვლილებას?**

— კლიმატის ცვლილებასთან ერთად იცვლება ატმოსფეროს შემადგენლობაც, რაც, თავის მხრივ, ცოცხალი არსებების სიმაღლესა და წონაზეც აისახება. მეცნიერთა ვარაუდით, ატმოსფერული წნევის მკვეთრმა დაცემამ გაანადგურა გიგანტური არსებები, რომელთა ჩონჩხებსაც არქეოლოგები დღემდე პოულობენ.

**— რამ გამოიწვია წნევის ასეთი მკვეთრი ვარდნა?**

— გიგანტურმა ასტეროიდმა, რომელიც 65 მილიონი წლის წინათ ჩამოვარდა დედამიწაზე და გლობალური გამყინვარება გამოიწვია. სხვათაშორის, დედამიწის ატმოსფეროს განადგურება ატომურ ომსაც შეუძლია.

**— არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვით, დედამიწამ უკვე ორჯერ დაკარგა ატმოსფერო. ამაზე რას გვეტყვით?**

— ბოლო გათვლებით, ატმოსფეროს დაკარგვის მექანიზმს წარმოადგენს მოლეკულების სითბური მოძრაობა მის განმუხტულ შრეებში. აირთა ელემენტების სიჩქარე ტემპერატურის მატებასთან ერთად იზრდება და სწრაფად გადის კოსმოსში, რის გამოც პლანეტა კარგავს თავის ატმოსფეროს. რაც შეეხება მის აღდგენას, კატასტროფის შემდეგ დედამიწაზე ჩნდება ახალი აირები და მაგნიტურ ველებთან მათი ურთიერთქმედებით კვლავ წარმოიქმნება ატმოსფერო.

**— ოზონის ხვრელებზე რას გვეტყვით?**

— **ოზონის შრის რღვევა** გამოგონილი პრობლემაა ისევე, როგორც **სათბურის ეფექტი,** მაგრამ ეს ტყუილი აწყობთ ე.წ. „ჰაერის გამყიდველებს“, რომლებიც გლობალური დათბობის თემას იყენებენ კონკურენტ ქვეყნებში წარმოებაზე შეზღუდვების დასაწესებლად. ასევე მოგონილია სათბურის ეფექტიც. ზოგიერთებს ავიწყდებათ, რომ დედამიწა სათბურივით ჩაკეტილი სისტემა არ არის და ნახშირბადს თავისუფლად შეუძლია ასვლა ატმოსფეროს ზედა შრეებში.

**— მაგნიტური პოლუსების შეცვლაზე რას გვეტყვით?**

— ბოლო 100 წლის განმავლობაში დედამიწის ღერძის გადახრის გამო მაგნიტურმა პოლუსმა 1000 კილომეტრით გადაიწია. მეცნიერთა ვარაუდით, პოლუსების შეცვლა ტემპერატურის სერიოზულ მომატებას გამოიწვევს უკვე 2030 წლისათვის.

**— ამ ბოლო დროს გახშირდა წყალდიდობები, ქარიშხლები და მიწისძვრები. რას უნდა მივაწეროთ ამგვარი ცვლილებები?**

— რაც დღეს ხდება, ადრეც არაერთხელ მომხდარა. პროცესი ციკლურია და ბოლოს ყველაფერი საწყის მდგომარეობას უბრუნდება, რაზეც ადამიანი გავლენას ვერ ახდენს. იმედი ვიქონიოთ, რომ ჰაერის მუტაცია ამჯერად კაცობრიობის წინსვლის მიზეზი გახდება.

**„ოზონის შრის რღვევა გამოგონილი პრობლემაა ისევე, როგორც სათბურის ეფექტი, მაგრამ ეს ტყუილი აწყობთ ე.წ. „ჰაერის გამყიდველებს“, რომლებიც გლობალური დათბობის თემას იყენებენ კონკურენტ ქვეყნებში წარმოებაზე შეზღუდვების დასაწესებლად!“**




*ესაუბრა*
***ნინო გოძიაშვილი***



# მიხეილ ცაგარელი:

# ზოდიაქოს ნიშნების რეიტინგი მათი შინაგანი ძალისა და სტრესის მიმართ მდგრადობის მიხედვით

*— რა უშლის ხელს ანდა რა ეხმარება ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენლებს სტრესთან გამკლავებაში? ამასთან დაკავშირებით, რატომ არ იცვლის თავის შეხედულებას მშვილდოსანი მაშინაც კი, როცა აშკარად ცდება? რა წარმოადგენს ლიდერული თვისებებით გამორჩეული ლომის სისუსტეს? რა არის სასურველი, პერიოდულად, საკმაოდ პრინციპული სასწორისთვის ანდა რისთვის არ არის მზად ზოგჯერ ქალწულის ნიშნით დაბადებული და შედეგად რას კარგავს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ განვალაგოთ თანმიმდევრობით ზოდიაქოს ნიშნები, თუ გავითვალისწინებთ მათ შინაგან ენერგიას, სტრესისადმი მდგრადობასა და რთულ სიტუაციაში მოქმედების უნარს. ამრიგად, რომელი მათგანი იკავებს ამ ჩამონათვალში მეხუთე საპატიო ადგილს?**

— **მე-5 ადგილი, უდავოდ, მშვილდოსანს** (21 ნოემბერი-21 დეკემბერი) **ეკუთვნის. ცეცხლის სტიქიის ეს ნიშანი რაღაცით ჰგავს კომიქსების დიდსულოვან, ძლიერ, ოპტიმისტ, პატიოსან, კეთილ, მომავლის რწმენით აღსავსე სუპერგმირებს. ამ ნიშნით დაბადებულებს უამრავ დადებით თვისებასთან ერთად გააჩნიათ ერთი ნაკლიც — ძალიან ჯიუტები არიან.** ნიშანდობლივია, რომ **მშვილდოსანი** იშვიათად იცვლის საკუთარ აზრს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით მაშინაც კი, თუ ეს აზრი და შეხედულება აშკარად მცდარია, ამიტომ გაითვალისწინეთ, თუ ოდესმე მისი მხარდაჭერა დაგჭირდებათ, ის აუცილებლად დაგეხმარებათ, ოღონდ იმგვარად, როგორც თავად საჭიროდ ჩათვლის და რაც, მისი აზრით, თქვენთვისაც მეტად სასარგებლო იქნება.

**მე-6 ადგილი კი ჩვენს რეიტინგში ეკუთვნის ლომს** (23 ივლისი-22 აგვისტო). **ამ ნიშნის წარმომადგენელთა ყველაზე დიდი ნიჭი და ძალაა გარშემო მყოფებზე წარუშლელი შთაბეჭდილებების მოხდენის უნარი და უბადლო ლიდერული თვისებები, ლომს შესწევს ძალა და უნარი, თავის გარშემო შემოიკრიბოს საინტერესო, განათლებული, წარმატებული, დადებითი თვისებების მქონე ადამიანები, გააერთიანოს ისინი ერთი იდეის გარშემო, მკაფიოდ დასახოს ამოცანა და ძალდაუტანებლად მათი საქმიანობაც მართოს. ლომს** არ აშინებს პასუხისმგებლობის სირთულე. ის მოწინააღმდეგეებს იოლად ამარცხებს დებატებსა და სიტყვიერი პაექრობისას და ამას ახერხებს ყოველგვარი შეურაცხყოფის, ლანძღვის თუ დამცირების გარეშე, რამეთუ მუდამ პატივმოყვარეობას ინარჩუნებს. მიუხედავად ამისა, ცეცხლის სტიქიის **ამ ზოდიაქოს წარმომადგენელსაც გააჩნია სისუსტე. მას ძალიან უყვარს ქათინაურები და ხშირად გარშემო მყოფთა აზრსა და შეფასებაზე არის დამოკიდებული.**

**მე-7 ადგილი კი ეკუთვნის სასწორს** (23 სექტემბერი-22 ოქტომბერი). **ამ ზოდიაქოს წარმომადგენელი მეტად პრინციპულია, ამიტომ ინტერესის არქონის გარდა, სხვა ვერანაირი გარემოება ვერ აიძულებს, დანებდეს და უარი თქვას თავის მიზნებზე. სწორედ ეს გახლავთ ჰაერის სტიქიის ამ ნიშანის ძირითადი სისუსტე, რომელსაც მუდმივად ებრძვის. სასწორს** ამის გარდა კიდევ ერთი უარყოფითი თვისება გააჩნია, მას ძალუძს, ერთდროულად რამდენიმე საქმით დაკავდეს, დაისახოს რამდენიმე მიზანი, ენერგია ყველასა და ყველაფერზე ხარჯოს, შედეგად კი ინტერესს კარგავს ყველაფრის მიმართ და ბოლომდე ვერცერთი საქმე ვერ მიჰყავს, ამიტომაც **ამ ნიშნით დაბადებულმა ცხოვრებაში მეტ წარმატებას რომ მიაღწიოს, სასურველია, ერთდროულად რამდენიმე რთული ვალდებულება არ დაიკისროს და პერიოდულად სხვადასხვა მასტიმულირებლებით გაიძლიეროს ენთუზიაზმი და მიზნისკენ სწრაფვის სურვილი.**

**მე-8 საპატიო ადგილს ამ რეიტინგით ქალწული** (23 აგვისტო-22 სექტემბერი) **იკავებს. ზოგჯერ ამ ზოდიაქოს წარმომადგენლებს, შინაგანი სიძლიერის მიუხედავად, უჭირს ირგვლივ მიმდინარე პროცესების სწორად შეფასება, ანუ ის ხედავს მოვლენებს, მაგრამ არ სურს მათი აღიარება. ეს არ გახლავთ სიჯიუტით გამოწვეული, უბრალოდ, იგი ამ მომენტისთვის მზად არ არის ამგვარი მოვლენებისათვის და ამიტომაც არ სურს, სამყარო მიიღოს ამ რეალობით.** ჩვეულებრივ, **ქალწულს** ძლიერი შინაგანი ძალა და სული გააჩნია, მაგრამ **ის საგრძნობლად სუსტდება, როცა ილლება რეალობით.** მაგალითად, თუ მზიანი ამინდის მოლოდინი აქვს და ამ დროს იწვიმებს, შესაძლოა, ისე წაუხდეს გუნება-განწყობა, რომ გარკვეული დროით მიმდინარე მოვლენებისადმი ინტერესი გაუქრეს. **ამ შემთხვევაში კი ამ ნიშნით დაბადებულის მთავარი დანაკლისი იქნება ინდივიდუალურობის დაკარგვა და საერთო დინებას აყოლა, რამეთუ, შესაძლოა, მთელი თავისი უზარმაზარი ძალა და ენერგია ამ დინებაში გაფანტოს.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 18-24 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
თავს სტაბილურად იგრძნობთ. მოიმატებს ახალი იდეები და ქმედითუნარიანობა. კარგი დროა შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, ხელოვნების სფეროში საკუთარი ნიჭის დემონსტრირებისთვის. ეცადეთ, არ მიაქციოთ ყურადღება უეცრად წარმოქმნილ წინააღმდეგობებს და დასახული გეგმის მიხედვით იმოქმედეთ. პირად ცხოვრებაში სიახლეებსა და ხშირ შეხვედრებს ხელს შეუშლის საქმეების სიუხვე. მოგზაურობები და მივლინებები დადებითად ჩაივლის.

**კურო** (21.04-20.05)
გაიზრდება კონტაქტების პირადი და საქმიანი საუბრების, მოლაპარაკებების რიცხვი. მეგობრების ან კოლეგების მეშვეობით გაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობა მომავალში კარგ შემოსავალს გპირდებათ. გაიზრდება თქვენი ინტუიცია და მიზნის მისაღწევად ადვილად ამოიცნობთ სარფიან საქმეებს. ოჯახის წევრები და საყვარელი ადამიანი ყოველმხრივ გაგიწევენ დახმარებას. სტაბილური ფსიქოემოციური განწყობა სტაბილური ჯანმრთელობის საწინდარი იქნება.

**ტყუპი** (21.05-22.06)
თუ თავდაჯერებულად იმოქმედებთ, ადვილად შეძლებთ შემოქმედებითი ჩანაფიქრების განხორციელებას. ადრე დაგეგმილი, გააზრებული და ახლა დაწყებული ახალი საქმე მომავალში მომგებიანი და წარმატებული აღმოჩნდება. უცხოელებისაგან შესაძლოა, საჩუქრები მიიღოთ. სასიყვარულო ურთიერთობებში მეტი სიფრთხილე გმართებთ, რათა თქვენს რჩეულს ეჭვიანობის გრძნობა არ გაუმძაფრდეს და ყურადღება არ გაამახვილოს იმ საკითხებზე, რაც ურთიერთობის გაუარესების მიზეზი შეიძლება გახდეს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ახალი იდეების განხორციელებაში ბევრი ადამიანი დაგეხმარებათ. საინტერესო პროექტები და საქმიანი აქტიურობა მომავალში კარგ შემოსავალს გპირდებათ. საზოგადოებრივი ღონისძიებები და ბავშვებთან ურთიერთობა მეტად სახალისო და დასამახსოვრებელი გახდება. ოჯახში დაძაბული საუბრები და გულგრილი დამოკიდებულება გაიძულებთ, თავი აარიდოთ კონფლიქტებს და ბევრი დრო დაჰყოთ მეგობრებისა და ახლობლების გარემოცვაში. ეცადეთ, არ გადაიღალოთ, რათა შეინარჩუნოთ მყარი ჯანმრთელობა.

**ლომი** (23.07-23.08)
კარგი დროა ახალი ნაცნობობისთვის, შეხვედრებისთვის, ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, ოღონდ ზედმეტად თავდაჯერებული ნუ იქნებით. გააკონტროლეთ ემოციები და მოერიდეთ ახალ სასიყვარულო ურთიერთობებს, რადგან ამის გამო შესაძლოა, არაერთი შეცდომა დაუშვათ, მათ შორის, ბიზნესსა და სამსახურის საქმეებში. ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ეცადეთ, მეტად რაციონალურად ხარჯოთ ფული. შემოქმედებითი სამუშაო და შეხვედრები კი მოგებას მოგიტანთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
სამსახურის საქმეებში წარმატებისათვის გამოიყენეთ არაორდინარული გზები და მეთოდები. ეს კარგი დროა სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, ახალი ხალხის გასაცნობად, უცხოელებთან ან უცხოეთში მყოფ მეგობრებთან საქმიანი მოლაპარაკებების გასამართად. კონტაქტები, გადაადგილებები, ახალი ნაცნობობა ერთიორად გაგიუმჯობესებთ განწყობასა და შეგმატებთ ხალისს. პირად ურთიერთობებში კი რეფორმებს ნუ დაიწყებთ და ეცადეთ, მეტად რბილი და ტაქტიანი იყოთ.




## 18-24 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
მოვალეობებისგან გათავისუფლების, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის სურვილი ახალ ადამიანებთან დაგაკავშირებთ და სამსახურის საქმეს ხალისიანს გახდის. სხვების დახმარების იმედი ნუ გექნებათ და ეცადეთ, დამოუკიდებლად მიიღოთ გადაწყვეტილებები. თქვენი პერსპექტივები იზრდება. ეს კარგი დროა ბავშვებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. პირადი უსიამოვნება კი ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი შეიძლება გახდეს. ენერგიის აღსადგენად ხშირად ისეირნეთ ბუნებაში.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
პოპულარობა ხელს შეუწყობს დამატებითი შემოსავლის მიღებას, თუმცა, ფინანსური საკითხების მოგვარებისას გაგიჭირდებათ სიმშვიდის შენარჩუნება. ოჯახის წევრებისგან მიღებული რჩევები დაგეხმარებათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. გაიზრდება მომხიბვლელობა, რაც თქვენს კომუნიკაბელურობასა და საწინააღმდეგო სქესის თაყვანისმცემლების რაოდენობას გაზრდის. ჯანმრთელობა კი დამოკიდებული იქნება თქვენს განწყობასა და ემოციებზე.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
დროებით მოერიდეთ თქვენთვის უცნობ სფეროში მუშაობას. ნუ ჩაატარებთ ექსპერიმენტებს. მოთმინებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით ადვილად დაძლევთ ბარიერებს. მატერიალური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება თქვენ მიერ გაწეულ სამუშაოზე. ეს კარგი დროა ცოდნის გასაღრმავებლად და მოკლე გადაადგილებებისთვის. მოერიდეთ საყვარელ ადამიანთან ან მეუღლესთან კამათს. განცდა და ნერვიულობა ცუდად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ენერგიული და შემოქმედებითი პერიოდია. გარშემო მყოფების მიმართ მეტად ყურადღებიანი იქნებით და მათი დიდი სიმპათიით ისარგებლებთ. გამოსწორებას დაიწყებს ადრე დაწყებული საქმეებიც, მაგრამ რისკსა და აზარტულ თამაშებს მოერიდეთ, რადგან ფულთან დაკავშირებულ მანიპულაციებში ფორტუნამ არ გიმტყუნოთ. გადაწყვეტილების მიღებისას ნუ იქნებით იმპულსური და ემოციური. ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ და მეტი ყურადღება მიაქციოთ სახლსა და ოჯახის წევრებს.

**მერწყული** (20.01-18.02)
სამსახურის ან პროფესიის შეცვლა მოითხოვს დამატებითი ცოდნის მიღებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. შესაძლოა სახლთან და ოჯახთან დაკავშირებული ძველი ჩანაფიქრების განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში ჯობს, დროულად წახვიდეთ დათმობებზე, რათა საქმიან, სამსახურებრივ და პირად ურთიერთობებში შეინარჩუნოთ კეთილგანწყობა და ნდობა. ჯობს, მოერიდოთ შორეულ მოგზაურობებს და შეძლებისდაგვარად გადადოთ სამედიცინო ოპერაციები.

**თევზები** (19.02-20.03)
ნიჭი და ენერგია მიმართეთ პროფესიული საქმიანობისკენ. ფანტაზიის უნარი კი დაგეხმარებათ ნებისმიერი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში. მომგებიანი ოპერაციები ჯობს, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად ჩაატაროთ. დიპლომატიური იყავით საყვარელ ადამიანსა და ახლო ნათესავებთან. ამგვარად ადვილად მიაღწევთ საწადელს და არც არავის გააღიზიანებთ. დაძაბულობა კი ცუდად აისახება ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ამიტომ უმჯობესია, პერიოდულად დაისვენოთ და ჩაიტაროთ წყლის პროცედურები.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**19, 20, 23 და 24 ნოემბერი**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 18 ნოემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.54 საათზე, ჩადის 16.38 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.43) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 18.38 საათზე, ჩადის 19 ნოემბერს 10.00 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 18.33 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.00 საათიდან 12.50 საათამდე. **ტენდენციები:** ხელი შეეწყობა აქტიურობას. ამავდროულად, დიდია ილუზიის, მოტყუების ალბათობა. სიმშვიდე დაიცავით. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, ვაჭრობისთვის, რაიმეს შესაძენად, ხერხემლისა და ძვლოვანი სისტემის, სახსრების მკურნალობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, სესხის აღება, ბინის შეცვლა, მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ტოპაზი, ზურმუხტი, რაუხტოპაზი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 19 ნოემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.53 საათზე, ჩადის 16.37 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 19.39 საათზე, ჩადის 20 ნოემბერს 10.57 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 19.48 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს კარგია შემოქმედება, კულინარიული საქმიანობა, ვაჭრობა. კარგი დღეა ახალი წამოწყებებისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, რაიმეს შესაძენად, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად, არ არის სასურველი ზედმეტი ემოციურობა, ქორწინება, სესხის აღება, ბინის შეცვლა, საბუთებზე ხელმოწერა (ჯერ კარგად შეამოწმეთ), ტკბილი გაზიანი სასმელებისა და საკონდიტრო ნაწარმის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, ოპალი, მარჯანი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 20 ნოემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.56 საათზე, ჩადის 16.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.52) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 20.49 საათზე, ჩადის 21 ნოემბერს 11.42 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 21.00 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.21 საათიდან 17.52 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა შვილებთან ურთიერთობისთვის, ახალი შთაბეჭდილებების მისაღებად და მსოფლმხედველობისთვის, შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის, კულინარიისა და ფოტოგრაფირებისთვის. შედეგიანია ძვლოვანი სისტემის, ხერხემლის, კბილების, სახსრების, მუხლების მკურნალობა. არ არის სასურველი ქორწინება, ხელშეკრულების დადება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, გული, სისხლძარღვები. **ქვები:** ზურმუხტი, ოპალი, მარგალიტი. საღამოს — ბრილიანტი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 21 ნოემბერი, ხუთშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (23.58) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 06.58 საათზე, ჩადის 16.36 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 21.59 საათზე, ჩადის 22 ნოემბერს 12.16 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 22.40 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** მზე გადაინაცვლებს რა **მშვილდოსნის** ზოდიაქოს ნიშანში, გაამახვილებს ოპტიმისტურობას, კომუნიკაბელურობას, მგზავრობისკენ მიდრეკილებას და ასევე სულსწრაფობას, უყაირათობას, დიქტატორულობას, სარკაზმს, აგრესიულობას. დღეს კარგია მოგზაურობა, სულიერ მოძღვართან ურთიერთობა, პარტნიორთან რთული საკითხის გადაწყვეტა. შედეგიანია თვალების, ნერვული სისტემის მკურნალობა. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, სერდოლიკი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 22 ნოემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 06.59 საათზე, ჩადის 16.35 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 23.05 საათზე, ჩადის 23 ნოემბერს 12.43 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 23.03 საათზე. მე-3 ფაზა); **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.16 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** სასიკეთო დღეა სპორტული და კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ძვირფასი ნივთების, საჩუქრების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარების, კოსმეტიკური ნაწარმის შესაძენად, ახალი სამსახურის დასაწყებად, თანამდებობის დასაკავებლად, მეგობრული კონტაქტებისთვის. შედეგიანია თვალების, ნერვული სისტემის, ვენების მკურნალობა. არ არის სასურველი ქორწინება, ნერვიულობა, სიმძიმეების აწევა, ალკოჰოლის მიღება, ბინის შეცვლა, ხელშეკრულების დადება, ფინანსური გარიგება. გულს გაუფრთხილდით! **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 23 ნოემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.00 საათზე, ჩადის 16.35 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.35) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 24 ნოემბერს 13.06 საათზე (მთვარის 22-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა იწყება 05.30 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 03.02 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს პროვოკაციებს მოერიდეთ, ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ და მეტი დრო ყოფით საკითხებს დაუთმეთ. იმატებს კრიტიკულობა, წვრილმანებში ჩაძიება, პირდაპირობა. შედეგიანია თვალების, ღვიძლის, ლიმფური და ნერვული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, აუდიტისთვის, სწავლისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ვაჭრობისთვის, დიეტის დასაწყებად. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, გამოცდის ჩაბარება, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 24 ნოემბერი , კვირა

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.01 საათზე, ჩადის 16.34 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 00.08 საათზე, ჩადის 13.25 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 01.22 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ურთიერთგაგებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ფოტოგრაფირებისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის, ციფრული მასალის ანალიზისთვის. შედეგიანია თვალების, ლიმფური და ნერვული სისტემის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მკურნალობა. არ არის სასურველი ქორწინება, ახალი ნაცნობობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, თხოვნის გარეშე სხვის საქმეში ჩარევა, ზედმეტი კრიტიკულობა, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

✝ **18 ნოემბერი. ორშაბათი.** მოწამეთა გალაქტიონისა და ეპისტიმიასი; მოციქულთა: პატრობისა, ერმისა, ლინესი, გაიოზისა, ფილოლოგისა, 70-თაგანთა; გრიგოლისა, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; იონასი, ნოვგოროდელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ **19 ნოემბერი. სამშაბათი. პავლესი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა, აღმსარებელისა;** ქალწულმოწამეთა: ტეკუსასი, ალექსანდრასი, პოლაქტიასი, კლავდიასი, ევფროსინესი, ათანასიასი და მატრონასი; ღირსისა ლუკა ტავრომენიელისა; ღირსისა ვარლამ ხუტინსკელისა.

✝ **20 ნოემბერი. ოთხშაბათი.** მელიტინელ 33-თა მოწამეთა: იერონისა, ისიხისა, ნიკანდრესი, ათანასესი, მამანტისა, ბარაქისა, კალინიკესი, თეაგენესი, ნიკონისა, ლონგინოზისა, თეოდორესი, ვალერისა, ქსანთესი, თეოდულესი, კალიმაქესი, ევგენისა, თეოდოქესი, ოსტრიქისა, ეპიფანესი, მაქსიმიანესი, დუკიტესი, კლავდიანესი, თეოფილესი, გიგანტისა, დოროთესი, თეოდოტესი, კასტრიკისა, ანიკიტესი, თემელისა, ევტიქისა, ილარიონისა, დიოდოტესი და ამონიტესი; ღირსისა ლაზარე გალისიელისა, სასწაულმოქმედისა; მოწამისა თეოდოტესი; მოწამეთა: მელასიპესი და კასინიასი და ძისა მათისა ანტონინესი; მოწამეთა: ავქტისა, ტავრიონისა და თესალონიკიასი.



**23 ნოემბერი – დღესასწაული წმიდისა დიდებულისა, დიდმოწამისა და ძლევამოსილისა გიორგისა**

✝ **21 ნოემბერი. ხუთშაბათი. კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და გაბრიელისა და სხვათა წმიდათა უხორცოთა ზეცისა ძალთა.** მთავარანგელოზთა: რაფაელისა, ურიელისა, სელაფიელისა, იეგუდიელისა, ვარახიელისა და იერომიელისა. მთავარანგელოზების ეკლესიების დღესასწაული: ქუთაისის მწვანეყვავილას, მენჯის, ალგეთის, ჯუმათის, დიმის, ერკეთის, გრემის, შუამთის. **მთავარანგელოზობა.**

✝ **22 ნოემბერი. პარასკევი.** მოწამეთა ონისიფორესი და პორფირისა; ღირსისა მატრონასი; ღირსისა თეოქტისტასი; მოწამისა ალექსანდრე თესალონიკელისა; მოწამისა ანტონისა; ღირსისა იოანე კოლოვისა; ღირსთა ევსტოლიასი და სოსიპატრასი; ნექტარისა, პენტაპოლელი მიტროპოლიტისა, ეგინაზე მოღვაწე სასწაულმოქმედისა; **დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „მსწრაფლშემსმენელი“.**

✝ **23 ნოემბერი. შაბათი. წმიდისა დიდებულისა, დიდმოწამისა და ძლევამოსილისა გიორგისა, რაჟამს დაჭკრეს ურმის თვალსა; დიდმოწამისა კოსტანტი კახისა, ქართველთა მთავრისა;** მოციქულთა: ერასტისა, ოლიმპისა, როდიონისა, სოსიპატრესი, კუარტისა და ტერტისა, 70-თაგანთა; მოწამისა ორესტი მკურნალისა; მღვდელმოწამისა მილისა, სპარსელი ეპისკოპოსისა და ორთა მოწაფეთა მისთა; ღირსისა არსენი კაპადოკიელისა.

✝ **24 ნოემბერი. კვირა.** დიდმოწამისა მინასი; მოწამეთა ბიქტორისა და სტეფანიდასი; ღირსისა თეოდორე სტუდიელისა, აღმსარებელისა; მოწამისა სტეფანე დეჩანელისა.



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 58-ე წელია,

მცხეთის სალობიეში

გეპატიჟებათ!




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. სალიერი; 11. ტეტანუსი; 12. ნატანები; 13. რევერსი; 14. ნატრიუმი; 15. ციანოზი; 16. ნაკლი; 18. ავატარი; 22. ოდრა; 23. სტიქია; 26. აი. 27. ალტი; 28. დიქტოფონი; 29. გირაო; 31. მირაბო; 33. კალედონია; 34. რაინდი; 35. ტროა; 38. მირიკინი; 42. კლავესინი; 45. ვარდი; 46. რიველინო; 47. დეკემბერი; 48. კინტო; 50. ერუდიტი; 55. ლენონი; 56. პროვიზორი; 57. პლანერი; 58. მესტია; 60. ბალისტიკა.

შვეულად: 1. ატონია; 2. სტატია; 3. ანგინა; 4. სირია; 5. ლავანდა; 6. ევრიკა; 7. ინიციალები; 8. შტრაუსი; 9. ანტონიმი; 10. აბრისი; 17. არიფი; 19. ვაიმარი; 20. ტატრები; 21. რაფსოდი; 24. ანონიმი; 25. ინგირი; 29. გლასე; 30. რენდი; 32. რიო; 35. ტრაპი; 36. აკიდო; 37. ბანკი; 38. მორზე; 39. რევიუ; 40. კოლტი; 41. ნანტი; 43. საბონისი; 44. ნარინჯი; 48. კარმა; 49. ნავოი; 51. რული; 52. დანა; 53. ტურა; 54. ტომი; 55. ლიმა; 59. აქ.

**სტელაჟიგოლონებიერატოკაიმანიოკაპიურემიდასი**
**ბოლივარიანტიკვარიათინათიაგურიელიოტიტიროლი**

| თაროედი | მწერლები ანი და სერჟ ... („ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა“) | ლირიკული პოეზიის ბერძნული მუზა | ნიანგის სახეობა | ჟირაფების ოჯახის ცხოველი | თვლებიანი საზიდარი | თეატრალური კოლექტივი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქვის ფილა წარწერით | დაქირავებული კავალერი | შორენას წყვილის სახელი | უნგრული ღვინო | ტროპიკული მარადმწვანე ბუჩქი | აზელილი კარტოფილი | ფრიგიის მეფე (ბერძნ.) |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. იტალიელი კომპოზიტორი; 11. მწვავე ინფექციური დაავადება, გაშეშება; 12. სოფელი ოზურგეთის რაიონში; 13. მედლის უკანა მხარე; 14. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 15. კანის ლურჯი შეფერილობა; 16. დეფექტი; 18. ჯ. კამერონის ფილმი; 22. მდინარე პოლონეთში; 23. ბუნების მძლავრი მოვლენა; 26. ჩვენებითი ნაწილაკი; 27. ოთხსიმიანი ხემიანი საკრავი; 28. აპარატი, რომლითაც ზეპირი მეტყველების ჩაწერა ხდება; 29. ვალის წინდი; 31. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე; 33. დიდი ბრიტანეთის უძველესი სახელი; 34. ე. ნინოშვილი — „ჩვენი ქვეყნის ...“; 35. ილიონი; 38. მაიმუნის სახეობა; 42. ფორტეპიანოს წინაპარი საკრავი; 45. ყვავილთა დედოფალი; 46. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 47. ზამთრის თვე; 48. ძველი თბილისის კოლორიტული ფიგურა; 50. დიდი ერუდიციის მქონე ადამიანი; 55. ჯგუფ „ბითლზის“ წევრი; 56. აფთიაქის მუშაკი, უმაღლესი განათლების მქონე ფარმაცევტი; 57. უმოტორო საფრენი აპარატი; 58. რაიონული ცენტრი სვანეთში; 60. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ჭურვის მოძრაობას ცეცხლსასროლი იარაღის ლულიდან.

შვეულად: 1. ორგანიზმის ქსოვილების და კუნთების მოდუნება; 2. წერილი გაზეთში, ჟურნალში; 3. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება; 4. აზიის ქვეყანა; 5. ეთერზეთოვანი მცენარე; 6. არქიმედეს შეძახილი — ვიპოვე; 7. სახელისა და გვარის პირველი ასოები; 8. ავსტრიელი კომპოზიტორი, ვალსების „მეფე“; 9. სიტყვა, რომელსაც სხვა სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს; 10. საგნის მონახაზი, კონტური; 17. გამოუცდელი, ხალხში გამოუსვლელი; 19. ქალაქი გერმანიაში; 20. მთათა სისტემა ევროპაში; 21. მოხეტიალე მომღერალი ძველ საბერძნეთში; 24. რაიმე თხზულების უცნობი ავტორი; 25. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 29. ნაყინში შერეული რძიანი ყავა; 30. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფულის ერთეული; 32. ქალაქი ... დე ჟანეირო (ბრაზილია); 35. თვითმფრინავის კიბე; 36. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; 37. საკრედიტო დაწესებულება; 38. წერტილ-მძიმეების ანბანი; 39. საესტრადო წარმოდგენა; 40. ღორის ჯოგი; 41. ქალაქი საფრანგეთში; 43. ბალტიისპირელი ექსკალათბურთელი; 44. ციტრუსოვანი მცენარე; 48. ბედისწერა ბუდიზმში; 49. უზბეკი პოეტი; 51. თვლემა; 52. მჭრელი იარაღი; 53. ძაღლისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 54. რაიმე თხზულების კერძო წიგნად გამოცემული ნაწილი; 55. მოდელი ადრიანა ...; 59. ამ ადგილას, ანუ?

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ვენესუელის ფულის ერთეული | ძველებური იშვიათი ნივთებით მოვაჭრე | ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული მზის სხივი | სამშენებლო მასალა | ინგლისელი მწერალი ქალი | მხარე ავსტრიაში |
|---|---|---|---|---|---|

| კვამლი | ამბის ერთ-ერთი ახსნა | სოფელი ხელვაჩაურის რაიონში | ქალის სახელი | ქართველი მოჭადრაკე ქალი | ყურის ანთება | მსახიობის სახე ფილმში |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 18 – 24 ნოემბერი №48 (1566)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლღინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**


გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol